


№2. 2017 ვ.  
დამწერა



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი“

იალანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის  
აფქიო - კონა-კონებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - ნანა ჩანტარიძე

„საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორი

მხატვრული რედაქტორი - ნანა ჯავაშიძე

ირმა ირემაძე

პასუხისმგებელი მდივანი - ვახტანგ ზეჩარიძე

იალანი - დაარსებულია 1996 წელს

მხატვალი - დალი მუხაძე

აფქიო - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს



### საგამომცემლო ჯგუფი:

სალომა კაჭარავა, ნატო კოლსახიძე, ნინო ვახანია, გალა ჩქვანევა, ნაგზარ მგალობლივილი, ოთარ ჟორჯაძე, სოსო ჭავაგარიძე, დიმა ჯაინი.



ნოდას ღებმბაძე ის შემოქმედია, ხმელიც კომიტეტს უქმნის მაკოთვეებს, უვარავებებს ხელის გაცემა დადგებებს სთავაზობს, უიმდებს მასთან მიხვდას და გულაბყვიციმაც აფიქსირებს, ხა აღვიდა, წერა ასე. თუმცა თუ ჩაუღრმავება, მიხვდება, ხა იღი შემოქმედებითი წვის შეღებად იქმნებოდა მისი ყოველი ნაწარმოები, ხმბობი იღი ტავიცილით, განცდილი, სიყვარულით.

«გული» - ასე ჰქონდა ნორა ღემბაძის წევის, ხმელის ეძღვნება აფხაზ  
ხატებს, აფხაზეთს, ხმელითანაც ბაკუნ ნორას იყო ხნის მეგობრმას, სიყვაჩელ  
აკავშირებდა და საღაც გაასახა ბავშვობის წლები, საღაც კამხავი ნათესავი, ნაცნობ-  
მეგობაში და გულშემატებივაში ჰყავდა.



ნოდარ დუმბაძე

**მნექანი ჩვეული უბისოფებით, სიცალითა და სიობოთი წესს აფხაზეთშე, ქათვეც ხოდარ დუბაძ**  
და აფხაზ ხარხს შორის კეთიღანნყობაზე, სიყვაჩეზე, ხომელიც აფხაზეთში სულევდა და ხომელიც ახდა  
ძარიან გვენატება.

«გური» მანქანის აფეთქების ომამრე 10 წლით არჩე.

δ γ θ η

ნოდარ დუმბაძე

ამას წინათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი “აფხაზური კანტატა” წავიკითხე. ჩემი ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა. ლექსმა ჯერ სიხარულით ამაგსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს – შური. დიახ, კუთილი შურით ვწერ ამ წერილს.

- დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა გამოართვა კაცს სათქმელი სიტყვა პირიდან?!.

“ჩემი მორდუ აფხაზეთში  
იზრდებოდა თარბებთან,  
ბადეს შლიდა და მშვილდ-ისრით  
ტყეში ნადირს არბევდა.

ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები  
ჩაუქად და რაინდად,  
ბეჭზე ორბად შეუფრინეს  
“ურაიდა-რაიდა”.

ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარ?! ნესტორ  
ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი  
მერცხალივით ბიჭი, რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი  
იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა  
ქუჩაში. ასფალტზე მუხლგადაყვლეფილს იოდს როგორ  
მასხამდა შეწუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს,  
როგორ მითათუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ  
მაწყნარებდა, გაჩუმდი, ვაჟებაცის ტირილი ვინ გაიგონაო.  
რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის, ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და  
დეიდაჩემის, მაროს, საკვდურიანი ხმა მესმის, ბიჭო, სულ  
„სარა ბარა ბზია ბზბოიტი“\*\*, როდემდე უნდა იძახო, სხვა  
რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად ქმრის ხათრით ისეთი  
აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხოვა  
დაწერა და გამოაქვეყნა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძახემიც კარგი მოქართულე იყო და



ნოდარ დუმბაძე და  
კოკა ლვინჯილია. სოხუმი\*

\* – ქოქა – ნოდარ დუმბაძის სოხუმელი დეიდაშვილი; „ჰელადოსის“ პერსონაჟის, ქოქას პროტოტიპი.

\*\* — მე შენ მიყვარხარ.



ეთერ კოდონია (აფხაზი მსახიობი)  
და ნოდარ დუმბაძე

აფხაზის ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს.

“ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი  
მოყმის გამდევლო,  
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი  
უსაქართველოდ!

მაგ ტკბილ კალთაში თაგს ჩაგიდებ  
და გავუჩდები,  
ლოცვით, მადლობით,  
აღსარებით მითრთის ტუჩები.”

მკედარი მიმიტანეს სოხუმის მეორე  
საავადმყოფოში. თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი,  
სომები, რუსი, აფხაზი, ქართველი – ყველა ერთად  
მადგას თაგზე. არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალური იყო.

ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინგუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს  
ვხედავ; ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპბების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს  
ვარჩევ.

თბილისიდან გადმოცვენილ ექიმებს ვხედავ, ნათესავებს ვხედავ, სისხლსა და ხორცს  
ვხედავ ჩემსას. ვიცი, ამათი ბახალა ვარ და ამათ უნდა მიტირონ, მაგრამ ამათ რაღა  
უნდათ, უზარმაზარ ამრასავით რომ მადგანან თაგზე და მათბობენ?! ცოტა რომ მოვიკეთვა,  
მოწყალების დები მიამბობდნენ რიგრიგობით:

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, სულ დამეკარგა ვენა, ვერაფრით ვერ მივაგენი და  
ნემსი ვერ გაგიკეთეთ!

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, იმ წერტილში ვიპოვე ვენა და გაგიკეთეთ ნემსი,  
თორებ მაგას რა იპოვიდა, სულ არ გქონდათ წნევა!

...ამ რამდენიმე წლის წინათ გუდაუთაში ერთი კაცი ამიხირდა “ბენზოკალონკასთან”,  
გინდა თუ არა, ურიგოდ უნდა გამიშვაო.

– რატომ? – ვეკითხები.

– იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურს!

ვატყობ, ნასვამია, აშკარად შარზეა და ჩხუბი უნდა, თან ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა  
უზის, ანგელოზი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, არ წავეჩხუბე, ურიგოდ გავუშვი.

...მოსკოვში ვარ, რესტორანში ვსხვდვართ მე და ერთი იქაური ჩემი ნაცნობი.  
ოფიციანტს შამპანური და შოკოლადი მოაქვს.



ნოდარ დუმბაძე,  
ბელა ახმადულინა, იგანე თარბა

– ეს მოგართვეს! – მეუბნება.

– ვინ? – ვეკითხები.

– ვინაობა არ უთქვამს, აი, იმ ახალგაზრდამ!

გამახედა ოფიციანტმა. რესტორნის კართან ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი დავლანდე. ვხედავ, მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის. მეღიმება.

– ვინ იყო? – მეკითხება თანამოსაუბრე.

– ჩემი აფხაზი მეგობრის ვაჟი! – ვპასუხობ.

– მერე რატომ თვითონ არ მოვიდა? – უკვირს ჩემს მეინახეს.

ახლა ამას როგორ აფუხსნა, რატომ არ მოვიდა აფხაზურ ღჯახში აღზრდილი გაჟერაცი მამამისის ტოლ კაცთან, რატომ არ მომიჯდა გვერდით, რატომ არ გადადო ფეხი ფეხზე, რატომ გამომიცხადა ასე შორიდან სიყვარული და უხმოდ რატომ წავიდა?! – ალბათ, ეჩქარებოდა! – ვეუბნები როყიოდ.



...զուգաց որո տիամհօրյելո մուսֆազլոյ ցողոնա մաշոնդյեծա: յրտո - այսածո, մշորյ - յարտզյելո. սանաբարույմ՛՛ մինակյլյէս ազաժմպոյցո, տազունտո ծալուս ցորտուռեալո և լումոնո մոմիցանյէս տանայլասյելյեծուս սաելուոտ. զուգրյ հյմտան ուցնեն, ծալուն պահաջագ ուսեճնեն, մաշրամ ուշալյեծու ցրյմլյեծու քյոնդատ սաշեց. րոմ վազուցնեն, այցնուցան շաճացեցյ. ամառ մերյեծոյ մեռլու անցյլունյեծու յեւճնեն և տաչիայինդրյուլնո մուգուցնեն, հյմու նաեւու քանացրյուլյեծու, ալնատ, ումյու ցագայի՞ցյուցատ, ամաս ըա ցագաարհյենեմու?!

- ցագացրի, հյմու մզորյաւու ցողոնյեծու, և ոյ քամոյածեծու, ուս տէշենո մուբանուու լումոնո և ցորտուռեալու ոմ պայլա ամերուցյու և ցյրմանյու վամալնյոյ շոյրո մոմուեծա. մագլունծյելու ցար, տէշեն շյմոցյելուու հյմու սուցուցելոց!

...ևյլ աելասան յրտ հյմու սետորուկուս մյցոնձարս ցուեաց, հյշենո սետորուցյու վարսյուլուան այսածու և յարտզյելուա մմոնծու րամյե լումածո ամնացո ցանեսենց-մյուտյու. քունեան ույոյշա, մյշրյ շարպոյուս նունաց տացո ցանինու.

- ըա ոյո? - ցուուեյ ցագուրյունյուլմա.

- արմոնծու ամնացո ցյր ցանեսենյ և ուս րոցորուա ցանեսենու?! - ասյ մուկասյեա.

յե ան ծրմյենո յացուս մոցոնուու սուցրյոյա, ան մարտլաց ասյ ոյո. պացյու շյմուցյանի, հյմու լորմա րվյմյենու, հյշենմա շցուլյեծու և շցուլունյուլյեծու ասյ շնուր ուցուցնեն.

և շնուր ուցուցնեն հյշենցան.

մյ ևյլ մշամ մաեսեաց այսակո վերյուլուս, յոնեթանցունյ ցամսաեշրդուաս, լուր յուսինյու և սեցատա շյմուլյու յացու րոցորու սուցրունուու շնուր շյեեւու այսածու ցյլուս սումյեն. յե հյմու այսած մմյեծացու շնուր աեսեաց յացուցաւ, յարտզյելուա ցյլուս սումյեն. րոմ շյեեծուան եռլմի.

մուսարուա, նունուանուու յենում լումածու րոմ շյեեւու հյշենո ցյլյեծուս սայրուու. մյ րոմ աելու ամ վյրուու ցիշր, շոյրո տացուսյուլուա և լումոնու տաց, րագան մվյրալուա յացմունի այսածյուտուս սածկուս տացմջալումարյ ցար, շմաճլյեսո սածկուս ցյէշի արյու, այսածյուտուուան արհյշյուլո. այսածյուտու մոցյու և լումոնու և լումոնու ելումյուրյու.

լումոնու արյմու րոմ մոցուց, ատասու լումոնու մոմուցու և այշամ նաեցարնյու մյէրո այսածյուտուու ոյո. սեցա րոմ արայշրու, սամաճլունյելու մյէշտյոնուս և ցամնու կուցաւաց. և ասյը րոմ առ ոյուս, սյլաց մացու թլցուս պորաս, այսածյուտու, մուցաս ուժա.

“իսես ուցյեծոյ յուլետա լուրի,

լուրի սումոն-չոյշուրուս

և այսածյուր ցեյնուս նալու

ացարունաց մուրյուլո”.

մուսա նունուանուու լուրյուս յուտեցա րոմ իսցատաց, ցյլյու յեսամցյելու սուտօն իսմյշարա, ացյույնու և հյմու սուցուցելունյու յուրացաւ մոցյեծնյ լուրյուսունի ցյլուս ցանմարյեծա.

ցյլու - շմտացրյուս նախուու ցեցաց յուլուա մոնացանո ացյելյուլյեծուս, րոմլուսցանաց մույշցանուս սուսելու պացյելուաց մարդուա մոնա - ասյ վյրու լուրյուսունի.

այս, ըա լուրյու պացրյա և ցագրունուու սկուրդյա ուշրմյ ցյլու!



Խոջար ԾՇմիձամյ  
Կողմորուս Սանապորուստան



Խոջար ԾՇմիձամյս մուսալուս ուտան ցյլուուցի մունի



1453 წელს თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ საქართველოსა და ევროპას შორის მიმოსვლა შეწყდა. ურთიერთობის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ XVII ს.-ში, როდესაც კათოლიკე მისიონერების\*

შესაძლებლობა მიეცათ, ემოგზაურათ საქართველოში.

სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ მოდგაწეობასთან ერთად ისინი კულტურულ საქმიანობასაც ეწვეოდნენ; ხსნიდნენ სკოლებს, საუკეთესო მოსწავლეებს აგზავნიდნენ რომში სწავლის გასაგრძელებლად.

საქართველოს ხელახალ აღმოჩენასა და ევროპისათვის მის გაცნობას მიაწერენ პიეტრო დელა ვალეს, რომაელ მოგზაურსა და მისიონერს, ქართველების დიდ გულ შემატებიარს.

1614-26 წ.წ.-ში მან იმოგზაურა აღმოსავლეთის ქაფნებში; 1623 წელს ჩავიდა სპარსეთში, სადაც მოინახულა დატყვევებული ქეთევან დედოფალი და ანუგეშა იგი.

სპარსეთშივე შეირთო თურმე ცოლად დედასთან ერთად ტყვეობაში მყოფი, როგორც თვითონ ამბობს, ქართველი ქალი – თინათინ ციბა. ტყვეობიდან გამოიხსნა და სახელად დაარქება – მარიუჩა.

სავარაუდოდ, თინათინ ციბა აფხაზეთიდან ტყვედ წაყვანილი ერთ-ერთი აფხაზი გოგონა იყო.



დიმიტრი გულიას შალვა დადიანმა აფხაზური მწერლობის მწვერვალი – „ერცახუ“ უწოდა, გიორგი ლეონიძემ კი – „აფხაზეთის აფხიარცა“.\*

ჩვენ ის გვაქვს საერთო, რომ მე „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნე გერმანულად, გულიამ კი აფხაზურად. ჩვენ რუსთაველმა დაგვაძმობილა, – წერდა ავსტრიელი პოეტი, ჰუგო ჰექერტი.

თვითონ დიმიტრი გულია კი აღნიშნავდა: „ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათ-წესის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი მმა, ვიდრე აფხაზებია. აფხაზებიც ასე მიიჩნევენ ქართველებს.“

მწერლის მამას, დარიბ გლეხს – ურის გულიას აფხაზური ფაცხა ედგა კოდორის ნაპირებთან, სოფელ აძიუბეჯავარჩას შემოგარებში.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-78 წ.წ.), მუჭაჯირობის წლებში, როცა აფხაზები მასობრივად გადაასახლეს თურქეთში, ურისის ოჯახს ასკერები (თურქი ჯარისკაცები) მიუსია მეზობელმა აზნაურმა, ვინმე მაანმა.

გულიებს ფაცხა გადაუწევს და ამ სახლის მობინადრეები, დედაბუდიანად, ტრაპიზონში გადაასახლეს.

მათ შორის ყოფილა პატარა დიმიტრი გულიაც.

„ადოქმული ქვეყნის“ ნაცვლად, რასაც რუსები მათ პპირდებოდნენ, იქ დახვდათ საშინელი სიდაბაცე, შიმშილი და უიმედობა. ბევრმა მათგანმა მაშინვე დაიწყო ზრუნვა სამშობლოში დაბრუნებაზე: მუჭაჯირებს ფარულად, პატარა ხომალდებით აბრუნებდნენ შინ.

სწორედ ერთ-ერთმა თურქმა მეთევზებმ მალევე თავისი ფელუკით (მომცრო იალქნიანი გემი) გულიები ბათუმში გამოაპარა.

დიდი გაჭირვებისა და შიმშილის შემდეგ ისევ აძიუბეს, მშობლიურ კერას დაუბრუნდა ურის გულია.

ჯერ კიდევ კავკასიის ომის დამთავრებამდე, 1864 წელს, მეფისნაცვალი – მიხეილ რომანოვი თბილისიდან იმპერატორ ალექსანდრე II-ს პირად წერილში წერდა:

„ვიმოქმედებთ წინდახედულად, გაბედულად, რათა საბოლოოდ და მთლიანად გაგწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო“.

მუჭაჯირება, აფხაზების ერთიანი გადასახლება თურქეთში,

რუსების გერაგული გეგმის –

„სანაპიროს გაწმენდის“ – ნაწილი იყო.



XIV ს.-ის 30-იან წერებში საქათვეროში დასხელდა მონოლიტური თითოების ასწოვანი ბაჟონობა, ჩაკ, ახსებითად, გიორგი ბენიუნვარის (1314-1346 წ.წ.) სახელს უკავშირება.

მაგრამ მშვიდობის ხანა ღირებას ას გაგებებებულა. XIV ს.-ის 80-იანი წერებით თათართა მბერძნების, ღაენობები თემებ-ცენგის შემოსევებიდან ისევ იწყება საქათვეროს ისტორიული პერიოდი (მან ქვეყნა 8-ჯე ღარაშება).

საქათვეროსთვის პოლიტიკური ვითაქება სხვა მხევარი გათვარდა: 1453 წელს თუქუ სამაცებმა ღაიკავეს კონსტანტინოპოლი. ჩვენს ქვეყნას უკვე აღა გააჩნეა ევროპასთან ერთა კავშირების უზრუნველყოფის (ჩაკ მთავარის, პატიონის სახელმწიფო).

მეტიც: საქათვეროს სამხეთით შეიქმნა მhn ეძღიუების მაპმარინები სახელმწიფო - სამაცებითი და ყიზირაშები იჩნი. ისინი იმთავითებ ღაეპისტონები ერთმანეთის, მაგრამ ქათვერი მათთვის მაინც საერთო მუნიც ხატი იყო.

სწორებ ამ მhn სახელმწიფოს ნაკეზებით XV ს.-ის 70-იანი წერებით მესურამენტის სამყარომ (ძირითადი, სსმაცებმა და ყიზირაშებმა) ბერძნი ღაინუს საქათვეროს ნინაალმება. მეტიც შემოსევები მh საკუნძულო მესამანს გაგებება.

ჩოგორი მემაკანები მიმინდევნ, მაშინ ჩვენი ეhn გადაშენებისაგან იხსნა 1659 წელს შეთქმეცებამ, ჩოგორი საქათვეროს ისტორიაში «ბახეიონის შეთქმეცებითა» ცნობილი.

სწორებ ამის შესახებ იქადაგა მხევრის ნინაშე იმ ღლეს ანჩისხაუის ღეკანოზმა, მამა აკაკიმ (მეგრელიშვილი), ისახება ქვეყნის ისტორიაში ამ ძალზე მნიშვნელოვანი მოვცენის ჩოგორე.

ამჯერად ჩოგორი და ანა ქათვერისა და ქათვერის კავაგებას.

საკუნძულოს ნინი მღამა ღეკანოზმა XVII ს.-ში შეიქმნილი ეძმიშეს პოლიტიკური ვითაქებაკ შეაფასა და ქათვერის ეთავის და სულიერი სიმუშიცის მაღლაც აზიანა მოცვევები.

1659 წელს ბახეიონის ბერძნი - ესაა იჩანერ დამცუხმბით ნინაალმება კახეთის აჯანყების გმიჩერი ეპიზოდი, სალვო იმი, ჩოგორი კახეთის დამასტება აღმოჩინა საქათვეროს.

ბენებითი, მამა აკაკიმ ანჩისხაუის კაძაში შეიჩებიდ მხევრი მოაგონა ამ შეთქმეცების მოთავენი, ეს შენიერი და ნიმინდანებად შეხატები ბიძინა ჩილოცაშვილი, ძმები - შალვა და ერიშბაზ ქსნის ეჩისთავები, სხვა გმიჩების (ნიმინდანთა ხელების ღლეა 1 ოქონმბეჲი).

## ჭანჭლიონი შეთქმულება. ანუ ერთად ლეომის ეპი

მამა აკაკი (მეგრელიშვილი)

XVII საუკუნე - ესაა ქამი საქართველოში სისხლის წვიმების, ყოფნა-არყოფნის დრო, გულის შემზარევი ხანა დავთისაგან განდგომისა და გასაოცარი თავგანწირვა ქრისტიანობისთვის, ანუ საქართველოსთვის.

ამ ისტორიულ ეპოქას ყველაზე ნათლად წარმოაჩენს წინასწარმეტყველი ეზეკიელი: „და მან განგრაგნა წიგნი იგი წინაშე ჩემსა და იყვნეს მას შინა დაწერილი გოდება, გმინვა და ვაება“.

საქართველოს მძიმე განსაცდელი მოუღლინა უფალმა - იგი მაპმადიანთა სათარეშოდ იქცა.

„ყველა ის ბოროტება, რაც შაპ-აბასმა ქართველთა ქვეყანას თავს დაატეხა, არ ძალგვიძს მოგითხოვთ, რადგან ის სიტყვის ძალას აღემატება“, - წერდა XVII ს.-ის სომეხი ისტორიკოსი, არაქედ თავრიზელი.

მაგრამ დასახანია სხვა რამეც: შაპ-აბასმა მის კარზე შემოკრებილ, სწორედ გათათოებულ ქართველთა მეოქებით განამტკიცა ქვეყნის სამხედრო-სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. მეტიც: სპარსეთი ააყვავა ალავერდი-ხან უნდილაძემ, რომელიც შაპის მერე მეორე კაცი იყო.

„სპარსეთში, შაპიდან დაწყებული უდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათია ადამიანი, ქართული სისხლი რომ არ ერიოს“, - წერდა ფრანგი მოგზაური, უან ბატისტ ტავერნიე.

ირანის მაშინდელი ხელმწიფებისთვის, ჯერ შაპ-აბას I-სა და მერე უკვე შაპ-აბას II-თვის

ქრისტიანული რუსეთის მომედე კახეთის პოლიტიკა მიუღებელი იყო (როგორც აღნიშნავენ ისტორიკოსები, ირანმა კახეთი ექსპერიმენტული პოლიტიკის საცდელ პოლიგონად აქცია).

„კახეთი, ყოვლის მხრივ, ნადირივით შუაში უნდა მოვიმწყვდიოთ. მათი ურჯულო მამაკაცები საღვთო იმის ელვარე მახვილებით მთლიანად უნდა ამოვშულოთ, ქალები და ბავშვები დაგაბუგევოთ, გავანადგუროთ დაუმორჩილებელი, ჯიუტი კახეთის გურჯები და წავშალოთ ცეცხლით კვალი ყოველივე აღშენებულისა, ყოველივე სულდგმულისა“, - ბრძანა შაპ-აბას I-მა და კიდევაც შეასრულა: ნახევარი მილიონი ქართველი გაწყვიტა და 200 ათასი დედაბუდიანად ტყვედ გარება.

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მდუღარე



ალავერდის ციხე. XVII ს.



## ქათევან დედოფალი

ინიციატივის მიუწვდომელია ჩვენთვის. სწორედ ასეთ სასტიკ ქამს საქრისტიანოს გადასარჩენად უფალმა თავისი ერთგული მხედრობა გამოარჩია. ამ საუკუნეში შეუერთდნენ ზეციურ საქართველოს დიდმოწამენი – ქათევან დედოფალი, მეფე ლუარსაბ II, 6 ათასი გარეჯელი ბერი, დიდი ევლემოზ კათალიკოსი, ბერი თევალერე კველთელი; დვოისა და ერის სადიდებლად ამ საუკუნეში აღესრულა ცხრა მმა ხერხეულიძე და, რა თქმა უნდა, ბახტოონის აჯანყების გმირები, სხვა „უსახელო უფლისციხელინი“.

XVII ს.-ის დასასწყისში შაპ-აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა საქართველოში,

იგივე პოლიტიკის გამტარებელმა, შაპ-აბას II-ემ კი 50-იან წლებში ქართლ-კახეთში დიდი ჯარი შემოხიზნა. მერე კი 80-ათასამდე თურქმენი ჩამოასახლდა აქ (შაპ-აბას I-ის მიერ განადგურებულ კახეთში ამდენი ქართველი მამაკაცი არც ცხოვრობდა). მათ საუკეთესო მიწის დაურიგეს და ყველანაირი პირობა შეუქმნეს. თურქმენ მეჯობეებს მიწის მადლისა არაფერი გაეგებოდათ: უმოწყალოდ ჩეხედნენ, სპობდნენ ნარგავ-ნათესს, ბაღ-ბოსტანს საქონელს უსევდნენ, ქართველს მშობლიურ ეზო-კარში არ ახარებდნენ.

თურქმენთა გამორჩეული სამიზნე მაინც ეკლესია-მონასტრები იყო, რომელსაც ალში ხვევდნენ. მწუხარისა და ცისკრის ლოცვის ნაცვლად მაკმადისადმი ვედრება აღესრულებოდა. დილაობით კახეთს მოეძინეს\* ყვირილი აღვიძებდა.

ასეთი იქო კახეთის დამორჩილების ირანული პოლიტიკა. და გადაწყვიტა ირანის მმართველმა, დაეწყო სადვოო ომი (ჯიპადი) ურწმუნო გურჯებთან, საცხოვრისის მოშლითა და ნასახლარ-ნაფუძარზე ისლამის დამკვიდრებით; იღუპებოდა ქვეყანა, უარესზე უარესი ამბები ხდებოდა.

შეუძლებელია, მშეგიდად წაიკითხო სირცხვილითა და ტკივილით გულდამძიმებული ბერი ეგნატაშვილის ჩანაწერი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა:

„მგზავრი ვინმე ერთი კახი ხუცესი მარტო მივიღოდა გზასა თვისესა კახეთში, ხოლო დამთხვევით შეემთხვივნეს გზაზედა მდვდელსა მას თათარი რაოდენნიმე. და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა. შეკრეს ხუცესი იგი მძლავრებითა და შეამთხვივეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური“.

შაპმა თავის სარდალს – ალავერდი-ხანს დაავალა კახეთში სამი ციხის აგება: ბახტრიონის, ყარაჯალისა და ალავერდის, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააქცნა (ციხეების ასაგებად კახეთში ირანიდან გაუებ ზავნია ხუროთმოძღვრები, პალატოზები, საჭირო თანხაც).

კახეთის ბარის მოსახლეობაში ნელ-ნელა აგორდა უკმაყოფილების ტალღა. იგი მოედო კახეთის მთიანეთსაც, ქართლსაც. დიდმა განსაცდელმა ერი ერთ მუშტად შეკრა. შეთქმულება გარდაუვალი იყო. აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა კახეთის გამგებელუფოლმა, ზალ არაგის ერისთავები იკისრა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ქვეყნის მხენელი გმირები – მთა და ბარი საომრად ემზადებოდა, იჭურვებოდა თურქმანთა სისხლის საქცევად. თუშები ზეზვა გაფრინდაურს მოჰყავდა, ხევსური ჯვაროსნები ნადირა ხომარაულს, ფშავნი – გოგოლაურს, შველიძეს, საღირაშვილს. მთიდან მმები

ცხექებს მოაგელდებოდნენ ბარში მმების სამგელად. ერის გადასარჩენად კახეთის ბარში დიდი შეთქმულება უმავე აგორებულიყო. მეთაურებს, დვთის ნებას მინდობილებს, ბიძინა ხოლოყაშვილს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებსა და ეპისკოპოსს, ამბა ალავერდელს სჯეროდათ გამარჯვების.

ალავერდსა და ბახტრიონს ქართველები ნაშავადამევს ერთდროულად დაეცნენ (მტერს მეომართა მთავარი ძალა ამ ციხეებში ჰყავდა გამაგრებული). ალავერდი იმ დღის გმირს, ბიძინა ხოლოყაშვილს უნდა აეღო. ასეც მოხდა. ბახტრიონის გალავანსაც გადააფრინდნენ მთიელები. ალავაფის კარები პირებები ზეზვაშ შეანგრია, მერე ციხეში შეიჭრნენ შალვა და ელიზბარი, ასევე, ქსნის ერისთავების და არაგველთა რაზმები.

ყიზილბაშ შეციხოვნეთა დიდი ნაწილი მაშინვე განადგურდა. მეომართა მხოლოდ მცირე ჯგუფმა მოახერხა ბახტრიონიდან გაქცევა, რომ ალავერდის ციხისოვის შეეფარებინა თავი, მაგრამ, რა იცოდნენ, ისიც უკვე ქართველების ხელში რომ იყო. ორივე ციხიდან ბედად გადარჩენილი ყიზილბაშები შუა გზაზე, ალვანის ველზე მოაციეს გმირმა კახელმა და მთიელმა მეომრებმა. ვიდრე გონს მოეგებოდნენ, დამფრთხალმა თათრებმა იქ პპოვეს სამუდამო

მეფე ლუარსაბ II



განსახვენებელი.

იმ მინდორს, სადაც მტერს განკითხვის დღე მოუწყეს, დღესაც „გაწყვეტილი“ ჰქვია. ისიც უნდა ვთქათ, რომ ჩენოვის უწვეულო სისახტიკა გამოუხენიათ ქართველებს. მეციხოვნეთა გაელეტის შემდეგ აჯანყებულები მათ მიწაზე ჩასახლებულ სხვა უცხოტომელთ დაერივნენ და „ამოსწყვიტეს დედაწულითურთ და, აკგანში, რომელშიც ყრმანი იწვენ, იგინიცა დახოცეს, სადაც ქახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს“ (ბერი ეგნატაშვილი).

და მაშინ უთქამს ზეზგა გაფრინდაურს: „როცა დახოცილი მტერი ასე დათიბული ბალახივითაა, ხმალი უნდა შეაეცნო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცოდო არს ადამიანი... პო, ასეა, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც ადამიანია“.

სახალხო მრისხანება დაუნდობელი და სამართლიანი აღმოჩნდა. კახეთი თურქმენებისგან გაიწმინდა. ბახტრიონის აჯანყებამ მართლაც ისხნა ქვეყანა.

ქართველები ემადლიერებოდნენ უფალსა და ერის მფარველ წმინდა გიორგის, რამეთუ, როგორც ამბობენ, ბრძოლის ველზე ქართველთა შემწედ და მეოხად თურმე „ცხადად იხილვებოდა მთავარმოწამე წმინდა გიორგი ცხენსა ზედა სპეტაქსა“.

სპარსეთის ხელისუფლებამ ხელახლი ლაშქრობის მოწყობა ველარ გაბედა, მაგრამ შაკმა აჯანყების მოთავეთა დასჯა მოითხოვა.

პირველად ზაალ არაგვის ერისთავი მოაკვლევინებ ვახტანგ მეფე შაკნავაზე, მის პირად მტერს. იგივე შაკ-ნავაზმა დიდი ევდემოზ კათალიკოსი მეტების ციხიდან გადმოაგდო (რჯული არ შეიცვალა და იმიტომ).

გათათებულ ქართველს შაკმა ახლა ელიზბარის, ბიძინასა და შალვას მისთვის გადმოცემა უბრძანა. ბახტრიონის გმირები უშიშრად დაადგნენ უკანასკნელ გზას. კარგად იცოდნენ, რომ მათ არ დაინდობდნენ. ისიც, რომ წაუსვლელობის შემთხვევაში ქართველთმოძულე შაკ-აბასი მოაოხრებდა ქვეყანას.

თავიდან შაკმა პატივით მიიღო ქართველი მეომრები. ამის შემდეგ კი მათგან რჯულის შეცვლა მოითხოვა. მათ უპასუხეს:

„თქვენი საბოძარი არ გვინდა, ჩვენ ზეცათა მეფის მონები ვართ, მხედრად ქრისტესად განწესებულნი. და მისთვის ყოველგვარ ტანჯვას დავითმენთ“.

ცემეს და ათრიეს სამივე. ბიძინას შალვასთვის უთქამს:

„სიკვდილი დაბადებიდან თან ახლავს კაცს. მას ვერავინ აღუდგება წინ. მაშ, მოვავდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის. დავიმკვიდროთ სასუფეველი!“

გაუტეხელნი თურქმენებს მიუგდეს საწამებლად. ბიძინა კი ვირზე დაუსვამთ და ქალის ჩადრითაც შეუმოსავთ (სახედარზე მამაკაცის შემოსმა ყველაზე სამარცხვინოდ ითვლებოდა). რა იცოდნენ უგუნურებმა, რომ ბიძინა ჩოლოფაშვილი ცის იერუსალიმისაკენ, დმერთან შესახვედრად სახედრით, როგორც მაცხოვარი, მშვიდად მიემართებოდა.

ბიძინა ასო-ასო აქნეს. ეს მოხდა 1661 წელს.

დამით მათ ნათელი დაადგა. ბიძინას ნეშტი კათოლიკე ბერებს მოუპარავთ. შალვა და ელიზბარი კი სომხებს გადაუმალავთ და მათი გვამები მეუდღებს გამოუხსნიათ. ისინი დღეს ქსნის ერისთავთა საგვარეულო იკორთის მთავარანგელოზთა მონასტერში არიან დაკრძალულნი.

ბახტრიონის აჯანყება, რომელმაც სპარსთა ბატონობას საბოლოოდ შეურყია საფუძველი, ქართველი ხალხის გამარჯვების ზეიმია ყველა დროსა და ეპოქაში.



ბიძინა ჩოლოფაშვილი,  
შალვა და ელიზბარ  
ქსნის ერისთავები



XVII ს.-ის თბილისი. გრავიურა შექმნილია ფრანგი მოგზაურის, უნ ბატისტ შარდენის მეგობრის, მხატვარ გრელოს მიერ, რომელიც საქართველოში ყოფნის დროს შარდენს თან ახლდა.




ანა ქალანდაძე.  
მხატვარი – გოგი თოთიბაძე

x x x

ხელი ვებ გასაღოს,  
სახის სას კერძოს დახუროს,  
კ...  
მე და კარგი!  
ეს ცოდნა  
ყელი სახისა!

1989



ზე წერ დებული რიტორის  
ე ლა უნდები  
ხელი ლა უნდები ფინანს,  
ო, ვერა ჩერა...  
ვ ვერა წერ ყელ ცემას,  
ჭრის ვერა წერა,  
ო ლა წერ ე წერ უნდები ვერა!

1955





On your

շ. 21 Խելա Եղիշմէկհով Օպան,  
 Հ. 21 Ազգի յարական եկատ  
 Յ. 21 Խելա Եղիշմէկհով Զայտ  
 Եղիշմէկհով : Եղիշմէկհով...  
 Խ. Հայից թշու Եղիշմէկհով?  
 Խ. Հայից ? Յութիսու, Հիմուն!  
 շ. 21 Խելա Եղիշմէկհով Օպան,  
 Հ. 21 Խելա Եղիշմէկհով Եկատ

1945



10

1970



ლიანა  
სამადალაშვილი

## მხატვრული ფილმი „მიმინო“ - 40 წლისაა

გიორგი ღანცენის შექაშებერი ფილმი „მიმინო“ 40 წლისაა (სუენაშის ავტორი - ჟიზო გაბრიაძე). 1977 წელს გადაღებული ყინოსუჟათი, ღიმირისა და სიკეთისთვის შემნირი, ღლესაკ ნებისმიერი ასაკის მაყუჟებულსთვის ფსიქოლოგიურ-სანახობივი კასიკაა, რომ გაუძლო და ამიტომაც მუდამ ექიმის გალეცებს, გაბენიერებს, ბურვა.

ქართველი ვალიუსა (მსახიობი - ვახტანგ კიკაბიძე) და სომები ჩებიკას (მსახიობი - ფქენია მეტირიანი) ფილმში მაგალიუბად ასე უვად გაბრენერი ხარასი ითარებები და ცალკეული გამონათვამები ხალხმა ფრთიან ფრთხებად აქცია. გერით შეიცვალა სახასიათო ეპიზოდის შექაშებული კომედიური, ამასთან, ყველაზე ესიამო განცყობის ღმისაც იმედოთ და სიკოსტერათან გაიგოვებერი სევიანი პეჩონავები.

2011 წლის 14 ოქტომბერის "მიმინოს" მთავარი გმიჩებს (ვარიკო, ჩებიკა, ივანე) თბილისში, მეტერავალებული "ავაბაძათან" ძეგლი ღაუღეს (ბინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკების ავტორი ზურაბ ნერიერია). იგივე ქანდაკება ღაიღგა ღიღიანში - ფქენია მეტირიანის მშობლიურ ქადაჭმი (სომხეთის ეს პატარა ქადაჭმი); ვახტანგ კიკაბიძე კი მის საპატიო მოქადაჭე ათების.

"მიმინოს" საიუბილეო თაშილის გამო "იარენა" საჭირო ჩათვარა, ღაფავშინებოდა სომხეთში ქათურ სათვისტომოს "ივერია" (იგი ღამის გაბრიაძის 1997 წელს მისი პეტიონტური, აკადემიკოს თინათონ ასათანის მიერ). სათვისტომოსთან ასებული საკვითაო სკოლის ხელმძღვანელმა, ქადაჭმნმა ღიანა სამაღალაშვილმა (ღაბალებელია და გაზრდილი საქათვეველში) სიამოვნებით მიიღო უენიანის გამოწვევა, ინდ ხელოვანსა და პირველებაზე, ფქენია მეტირიანზე მოქიდებინა მასალები და ყოფილი პეტიონის თანაავტორი.

გიორგი ღანცენისა და ჟიზო გაბრიაძის თავდაპირებელი სუენაში ქათურ ვარიკო უმეგობრება ასა სომები ჩებიკას, ახამედ ჩებიკა ივანეს (მსახიობი - ევგენი ლეონოვი), ყაცე, რომელიც ქათურებას ასწებს, ფრთისთვის ხელი გაიკავს კიბეზე. მაგან გადამლები კიბეფისთვის, ყოველ შემთხვევაში, უმხავესობისთვის, მიულებელი აღმოჩნდა ამ თვისებითი გამოჩერები ჩესის ფსიქოტიპი.

ჩაგანაც ქათურ-სომხეთი საუკუნოვანი ქათურითობები ისკონიური მოცემულებაა, მაგან „მიმინოს“ ას იყოს, ჩვენ ეხიმანეთში კიდევ ჩალაც-ჩალაცებს ღაუსხელებული ისევ ვაჟავევთ, ამ როტე ფქენიას ღამუკისება იყო ძალებ ზესტი სვერა, იკვეთებოდა ბენებივი კავკასიერი ქანდაკები, - ამბობს ბაცონი ვახტანგ კიკაბიძე. ამგვარ გაჩინდა ფილმში ქათურ-სომხეთი სიუერები ხაზი, რომელიც მეგობრობის ცაგენია ღერა და ღერა მეტანა ქათურ-სომხეთი ეხიმითობაში.

## „სულ სხვა ფრუნზია“\* სევლიანი, მაგრამ მხიარული აღამიანი

ლიანა სამადალაშვილი

დიდი მსახიობისთვის ფრუნზია მერტიჩიანისათვის სავიზიტო ბარათად იქცა ფილმი „მიმინო“, სადაც მან ბრწყინვალედ ითამაშა მძღოლის – რუბიკ ხაჩიკიანის როლი. მისი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად (მსახიობი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა გულის შეტევით, ძილში), თეატრსა თუ კინოში შესრულებული როლებით მომავალ თაობას მან უძვირფასესი მექანიზრება დაუტოვა.

ეს იყო ადამიანი, რომელიც ხალხს დიმიდს ასწავლიდა და ყოველდღიურ სირთულეებს იუმორით უმსუბუქებდა. მას „სევლიან, მაგრამ მხიარულ ადამიანს“ უწოდებდნენ, რადგან ეკრანზე ყოველი მისი გამოჩენა იწვევდა სიცილს და განწყობაც იყო გადამდები.

და ეს მაშინ, როცა, ეკრანისაგან განსხვავებით, ფრუნზიას ცხოვრება მართლაც ტრაგიული იყო. ქალ-გაუგის შეძენიდან რამდენიმე წლის შემდეგ მის მეუღლებს, დონარა მერტიჩიანს (ფილმში „კავკასიერი ტავა ქალი“ დონარა მისი ცოლის როლს ასრულებს) შიზოფრენიის დიაგნოზი დაუღინდა და დარჩენილი ცხოვრების წლები ფსიქიატრიულ კლინიკაში გაატარა. დედის დაავადება დაბჟვა ვაჟსაც, რომლის განკურნება, მამის ძალისხმების მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა.

უმაწვილმა სიცოცხლე ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულა. უფრო მოგვიანებით, განუკურნებელმა სენმა შეიწირა დიდი მსახიობის ქალიშვილიც.



ფრაგმენტი ფილმიდან „მიმინო“


ამ სტრიქონების წაკითხვაც სულიერად გამძიმებს, გასევდიანებს. დიდი მსახიობის იუმორს კი აღტაცებაში მოძყვავდა მაყურებელი. თითქმის შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ყველასთვის ასე საყვარელი ფრუნზია შველაზე უიდბლო მამა და მეუღლე იყო.



როდესაც ფრუნზიკას ეკითხებოდნენ, არსებობს თუ არა ისეთი როლი, რომელიც  
მას არ მოსწონს, გაოცებული პასუხობდა: „წარუმატებლობის შემთხვევაშიც  
როგორ შეიძლება, არ მიყვარდეს ჩემს მიერ განსახიერებული რომელიმე როლი.  
მშობლისთვის არსებობს ცუდი შვილი, რაგინდ ცელქი და დაუდევარი არ უნდა იყოს  
იგი? გაგიყვირდებათ, მაგრამ ასეთი როლები მე უფრო მიყვარს. თითოეული როლის  
შესრულებისას მე ხომ ბოლომდე ვისარჯები.“

ვრუნზიგას სცენარის ტექსტში მუდამ თავისი კორექტივები შეჭრნდა. „სცენარის ტექსტი მსახიობმა უნდა გაითავისოს, გახიადოს ბუნებრივი, რომ მერე ზედმეტი სიტყვები თავისთვად ამოვარდეს, – ამბობდა ის, – ისეთ ბრწყინვალე რეჟისორებს, როგორებიც არიან გიორგი დანელია და პეტრიკ მაღარანი, გადაღებისას არ სჩვევიათ, ზედმეტი შენიშვნებით შეზღუდონ მსახიობის თავისუფლება. ისინი მსახიობს კომუნიკაციას უქმნიან, ისეთს, ზინაგან ემოციას ზუსტად რომ გამოხატავს თავისი ქმედებით. აღარც ცალკეულ დეტალებზე ფიქრობ, პერსონაჟის ხასიათი უკვე ბუნებრივად იძერწება.“

ასე დაიბადა გამერის წინ რუბივ ხაზიკანის პოპულარული ფრაზები: „Я так думаю“, „Я тебе один умный вещь скажу, только ты не обижайся“.



„მიმინოს“ აფიშა

რომელ საგირზეა მსოფლიოში უირეანის წყარი?

„მიმინოს“ გადაღების შემდეგ ფრუნზიერა და ვახტანგი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან თბილისში, ხანაც ერევანში. მასეოვს, მასთან ერთად ერევანში ვსეირნობდი, — იგონებს ბუბა, — და უცებ, საბურავების დამუხრუჭების ხმა მოგვესმა. შევტრიალდით: ჩვენს უკან ავტობუსი იდგა. იქიდან გადმოვიდა მძღოლი, მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა, შემდეგ ჩაჯდა ისევ ავტობუსში და გზა გააგრძელა.

ერთხელ ფრუნზე გადასცილდა მარტინ და, ბუნებრივია, შექმნა ვახტანგის. ჩემზე დღეუმენტურ ფილმს იღებენ, ეტყობა, გვკვდებით, უთქვამს სევდიანად მეგობრისთვის (უპვე ცეროზით იყო ავად). დარეკვისთანავე ვახტანგი ლოგინიდან სიცხიანი წამოდგა (გრიპი ჰქონდა). ერთმანეთს რესტორანში შეხვდნენ. მთელი საძამის განმავლობაში ფრუნზე თურმე დიდი სითბოთი და სიყვარულით წმენდდა ვახტანგს გაოფლილ შუბლსა და ლოფებს (ეს კადრებიც დაფიქსირდა ფილმში); დაელებურად ოხუჯობდნენ და გულიანად იცინოდნენ კიდევ.

რესტორანში, სადაც ისინი ისხდნენ, ფიროსმანის ერთ-ერთი ნახატი ეკიდა. შეზარხოშებულ ფრუნზიკას ვახტაგისთვის უთქმაშ:

— შეხვდე ამ ნახატს. იცი, რომ ფიროსმანი რადაცით სომქენა? მის ბევრ ნახაზზე ხომ სომხური წარწერებია. ამბობენ, როცა ნიკალა კალანჩაროვთან\* ცხოვრობდა, სომხურსაც და რუსულსაც მისგან სწავლობდა.

ვახტაგს დიმილით შეუხდავს ფრუნზიკასოვის, ზუსტად ვალიკო მიზანდარივით (როცა მასთან საუბარში რეზიკ ხაზიკანი დილიქანის წესლს მსრულებით გამოიჩეულად მიიჩნევს):

— ფრენზია-ჯან, იცი, რას გატვი? ფიროსმანი იმდენად სომეხია, რამდენადაც დილიქანის წყალს უქირავს მსოფლიოში ქეთრე აღიიბი.

ორიგი გაფლიანად იცინოდა და უხაროდათ ერთმანეთის გვერდით ყოფნა.

ՏԵՂ ԲՈՎԻՐԴԱՅ ԲԵՇՐՈՒՄ ԲՏՏ ՇԵՂՋՐՈ

ინდოეთში ფილმს „ალიბაბა და 40 ყაჩაღი“ იღებდნენ. მიწვეული იყო ფრუნზიკაც. ეგზოტიკური და ზღაპრული ინდოეთით მოხიბლულმა მსახიობმა გადაღებების შემდეგ თავისუფალი დრო გამონახა და ქალაქის დათვალიერება განიზრახა. დაინახა რიქშა\*\*, რომელშიც შებმული იყო ახალგაზრდა. ის ორთვალას ეწერდა და ეტყობოდა, პურის ფულსაც ამით შოულობდა. ფრუნზიკა რიქშაში ჩაჯდა. ახალგაზრდამ ძლიერ დაძრა ორთვალა.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ ფრუნზიქაძ გააჩერებინა რიქშა, გადმოვიდა და ახალგაზრდას ანიშნა, დაეკავებინა მისი ადგილი. ყმაწვილს გაუკვირდა შეთავაზება და იუარა, მაგრამ ფრუნზიქაძ ჟესტებით იგივე მიანიშნა.

მერე კი მოხდა ამ ბიჭუნასთვის წარმოუდგენელი რამ: უცნობი მგზავრი რიქშაში თვითონ შეება და ადგილიდან დაძრა. ყმაწვილი უხერხელად იშმუშნებოდა და აქტო-იქტ დამფრთხალი იყერებოდა. მათ ირგვლივ ხალხი შეაგროვდა.

ფრუნზიკამ დამშვიდობებისას ბიჭუნას „მგ ზავრობის საფასური“ გადაუხადა. ემაწვილი უარობდა. რა იცოდა ბიჭუნამ, განგებამ რამდენად კეთილსინდისიერ და ღირსეულ პიროვნებასთან შეახვედრა. ალბათ, ამ დღეს არასოდეს დაივიწყებს ფულის საშოვარზე ქუჩაში გამოსული უბრალო ინდოელი ქმაწვილი.

ასე მოქცევა მხოლოდ ფრუნზიას შემძლო.



## ფრუნზიძე მარტინიანი („მიმინო“)

\* – ემიგრანტი სომები, ვისთანაც ბაკუშობის გარემოებით წლები გაატარა დაობლებულმა ნიკალამ.

\*\* – მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი.



ფრუნზიგ მკრტიჩიანი

## „მსახიობის თავისი შინაგანი თეატრი გასჩენის“

ამონარიდები ფრუნზიგა მკრტიჩიანის ჩანაწერებიდან:

გასტროლებს ყოველთვის განსაკუთრებული მღელვარებით ველოდები. მოუთმენლად ველი ჩემთვის უკვე ნაცნობ მაყურებელთან ახალ შეხვედრას. იცხოვრო ჭეშმარიტი ხელოვნებით, ეს ბედნიერებაა. ჭეშმარიტ ხელოვანს თავისუფალი დრო არა აქვს.

უსიყვარულოდ მსახიობი ვერ შესძლებს რაიმე დირსეულისა და მარადიულის შექმნას.

ათასობით შესრულებულ როლს შორის მხოლოდ ერთია გამორჩეული, რომელიც მისი თავშესაფარია.

მე ვიცი, როგორ პროფესიასაც ვეუფლები: საკუთარი შესაძლებლობები სრულად რომ გამოვავლინო, ერთი სიცოცხლე არც მეყოფა.

მსახიობს თავისი შინაგანი თეატრი გააჩნია, რომელ სცენაზეც არ უნდა მოღვაწეობდეს ის.

თეატრის ერთ როლს კინოს ათ როლზეც არ გავცვლი.

არ მიყვარს უდირსობა. ადამიანის ყველაზე დიდ ნაკლად პატიოსნების დეფიციტი მიმაჩნია.

მეზიზედება მშიშარა ადამიანები. ქვეყნად ყველაზე დიდ დალატს ლამზები სჩადიან. შემზარავია ისიც, როცა ადამიანი ტყუილს ამბობს.

იგრძნო და შენში განცდილი გადასცე სხვას ტირილით ან სიცილით, ერთმანეთის ტოლფასია.

მინდა, ხალხს სინამდვილე ლიმილით გადავცე.

დიდმა კომიკოსმა ფრუნზიგ მკრტიჩიანმა ხანმოკლე სიცოცხლე მართლაც ლიმილით განვლო, ისე, რომ მისი ტკივილი ვერავის ეგრძნო. სომხეთში დღესაც ძალიან უყვართ მსახიობი, მეტსახელად „მგერ“ (სომხურად – მზე).

მამაკაცები არ ტირიან, მამაკაცები – ნაღვლობები, – ესეც ფრუნზიგ მკრტიჩიანის ჩანაწერია.

ჩა თქმა უნდა, ოჯახში ვერციერ ბაჟონ ვასტანგ ყიქაბიძესაც. ბინაში მისურთ ლაგვევა საქაბისათვის მყერები, ყომფონის გაქემო, იჩვირი ცოცხალი ყვავილებით, საამაყო ნინაპებისა და ცნობილი ხელოვანების უკერძებზე განთავსებული ექმავი ფოტოთი, საინცეულო განვითარებითი და სახეულამ ექსპონატებით (ღიღი ჰორის ექიმები უკერზე მექუინიანის, ხოგონის ბება ყიქაბიძე მას უწოდებს, „სომხეთის მთავარი ქავისის“ მაცემა ლიმილი მოგვიცახა). და ლაგვევა კათიღანნუყობილი მასპინძელი. ახამაქუმ „მიმინოსთან“ ღაერაშიჩებული ეპიზოდები გაისუნა ბაჟონმა ვასტანგმა (ჩაც მასალა ვერ დაისა).

მაინც, ჩა საინცეულონი ახიან ეს პოპულარული აღამიანები!



ვახტანგ (ბუბა)  
გიგაბიძე

„მიმინოს“ სცენარი ჩემთვის დაიწერა. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა საბჭოთა კავშირში.

თავდაპირველად ფილმს ერქვა „არაფერი განსაკუთრებული“. „მიმინოდ“ იგი რეჟისორმა გია დანელიამ გადააკეთა („მიმინო“ ფილმ „არ დაიდარდოს“ დირექტორის ზედმეტი სახელი იყო).

თავდაპირველად სცენარი იდიოტურადაც გვეჩენა, მაგრამ უკვე მერე ფილმის გადაღების პროცესი საინტერესოდ, ხალისიანად გაგრძელდა.

იქვე ვისხედით, როცა სცენარში კორექტივები შექმნდათ. ფრაზებიც იქვე იბადებოდა და სიცილით ვიხილებოდით (ასეთია გია დანელიას მუშაობის სტილი). მაშინაც, როცა ფილმი ეკრანზე პირველად გნახეთ (სულ რამდენიმე თვეში), სიცილისგან, ლამის, სკამებიდან ხამოვცვივდით. მივხვდით, რომ კარგი რამ გამოვიდა.



## ცაში აფრენილი... ყავისფრად შეღებილი ძროხა

ფილმისთვის პატარა სოფელ შინაგაში სტუდიამ იყიდა 5-6 სახლი. სოფელში ცხოვრება, ადგილობრივ ხალხთან ურთიერთობა მეტად საინტერესო იყო. ყველა ცდილობდა, რითაც შეეძლო, დაგეხმარებოდა. იყო კურიოზებიც.

ფილმისთვის ერთ-ერთი ქალბატონისგან დავიქირავეთ ძროხა. ყველას ასესოვს კადრი, როცა ვერტმფრენს პარტში აჟავს პირუტყვი. ოპერატორებმა დაიჩვლეს, კარგად არ ჩანსო, რადგან ძროხა თეთრი

ფრაგმენტი ფილმიდან „მიმინო“



ფერის იყო და ცის ფონზე ჭირდა მისი გარჩევა. იდეა დამებადა, პირუტყვი ყავისფრად შეგვეღვძა. მართლაც, ამ აზრმა გაამართლა და კადრიც შესანიშნავი გამოვიდა.

მაგრამ ახლა პატრონი აგვიშარდა, ეს ყავისფერი ძროხა ჩემი არ არისო. ბოლოს ქალს ასე მოვურიგდით: თუ სადამოს პირუტყვი სახლს მიაშურებდა, უველავერი მოგარებულად ჩაითვლებოდა. მიღის ძროხა, 40-კაციანი გადამღები ჯგუფი უკან მივყვებით. ბოლოს პირუტყვი ქალის ჭიშკარს მიადგა და მიაზმუვლა. გადავრჩით!

## ჰელიკონის კურსონაები, რომელიც უწესებად შეინიოს

გია დანელიამ ჩაიფიქრა ტრაგიკომედია, მაგრამ ცენზურამ 6-7 ეპიზოდი ამოქრა და ამით ფილმის მოელი ფილოსოფიაც დაირღვა.

თავდაპირველი სცენარით ფილმში უნდა ყოფილიყო ერთი პერსონაჟი, სახელად პეტრე, რომელიც რეჟისორმა განსაკუთრებული მხატვრული აქცენტისთვის შემოიყვანა. მაგრამ, სამწუხაოდ, პეტრეს კადრები, არაორდინალური ფინანსით, შეიწირა ცენზურამ და დაირღვა ჩანაფიქრის ერთიანი სიუებული ხაზიც. გავიხსენებ თავდაპირველ ვარიანტს:

პეტრე მჭედელია. ვალიკო ემზადება რუსეთში წასახლელად და პეტრე ეკითხება, მართლა საზღვარგარეთ იფრენო? თუ ასეა, იქიდან ნალები ჩამომიტანე წარწერით, „Made in USA“ (სხვათა შორის, მიმინომ სათამაშო ნიანგრა ერთად ნალებიც იყიდა). კავკასიის თავზე ფინალური კადრიც სხვანაირი იყო. დიდი ხნის განშორების შემდეგ მიმინომ მშობლიურ კუთხეში ბრუნდება და, ბუნებრივია, აღელვებულია. სტიუარდესას უმნიშვნელო შენიშვნაზე დიზიანდება, უხეშადაც შეეპასეუბება მას. თუმცა მერე უბოლიშებს განაწყენებულ ქალიშვილს და მზად არის, თვითმფრინავიდანაც გადაეშვას. მართლაც, კარებს აღებს და ხეგბა (რა თქმა უნდა, პარაშუტით). ქვემოთ ხვდება მჭედელი პეტრე, რომელსაც ეკითხება, ჩემები როგორ არიანო. პეტრე გაცეირვებულია, შენ საიდან მოხვედიო? ვალიკო ჩვეული იუმორით პასუხობს, ფრენა არ იყო და უეხით წამოვედი, თან ნალებიც ჩამოგიტანეო. უკვე ნალები ადარ მინდა, არხეინად პასუხობს პეტრე, ბოსტონთან დავმეგობრდით, ახლა ლურსმნები გვჭირდება.

ვალიკო მხრებს იჩეჩას, განაწყენებული გატრიალდება და მიღის. პეტრე კი მიაძიებს, უკან შარვალი გაგხვიაო.

– შე, მამაცხონებულო, მე რას მომჩერებისარ, ირგვლივ მიმოიხვდე, აქეთ იალბუზია, იქით მყინვარწვერი!

ვალიკო მიზანდარის ამ ფინალური ფრაზით პერსონაჟი ხნის ფილმის მხატვრულ კონცეფციას: სილამაზეს დანახვა უნდა, დანახვას კი ნიჭი!

## „არ ლაილარლო“ ლილმა ფერინმა ორჯერ ნსხს

„მიმინოს“ გადაღებამდე უკვე შესრულებული მქონდა ბენემენის როლი გია დანელიას ფილმში „არ დაიდარდო“. ეს როლი გამოირჩეული იყო ჩემს სამსახიობო კარიერაში. პრიზიც კი მერგო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (ქალებს შორის, მონიკა ვიტის); მაგრამ ესპანეთის ქალაქ კარტახენაში მე და სერგო ზაქარიაძე არ გაგვიშვეს (სადაც ტარდებოდა კინოფესტივალი). სხვათა შორის, „არ დაიდარდო“ მსოფლიოს 100 საუკეთესო ფილმს შორის დასახლდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდმა ფელინმა ზედიზედ ორჯერ ნახა ეს ფილმი.

უნდა გინდოდეს უკეთესი პრიზი ან შეფასება?!

„მიმინოს“ გამოჩენა კინოთეატრებსა თუ ტელეეკრანებზე ბომბის გასკდომას ჰგავდა. მაყურებელმა შეიყვარა ფილმის ფრაზები, დისკიც გამოვიდა „მიმინოს“


გამონათქმამებით, რაც მაშინ ასე იშვიათი მოვლენა იყო.

უსაზღვრო იყო ხალხის რეაქცია. მოდიოდა წერილები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. მასხოვებს, ვიდაც მწერდა რუსეთიდან, უულს ვაგროვებ მანქანისათვის, ცოტა მაკლია, მასესხეთ, თქვენ ხომ მიმინო ხართო.

პატარა კაციც რომ საჭიროა, ეს მითხვა თავისი წერილით უცნობმა მაყურებელმა.

მიხარია, რომ „მიმინო“ დღესაც პოპულარულია, არ ძველდება, არ ბერდება. ჩვენ, მსახიობები მივდივართ, წლები გვემატება, ფილმი კი მარად ახალგაზრდა რჩება.

როდესაც ავლაბარში ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებულ ძეგლს დგამდნენ „მიმინოს“ პერსონაჟებით, გახსნაზე წასვლა არ მინდოდა: უკვე აღარ იყვნენ ჩემი პარტნიორები, არც ფრუნზიკ მერტიჩიანი, არც ევგენი ლეონოვი, რომელთა გვერდით ყოფნა გამიხარდებოდა.



„მიმინოს“ აფიშა



„მიმინოს“ პერსონაჟები.  
ქ. დილიჯანი. ავტორი -  
ზურაბ წერეთელი



## ლილი კომიკოსი ნალვერიანი თვალებით

საოცარი ფერმენტია ფრუნზები მკრტიჩიანი: დიდი კომიკოსი ნაღვლიანი თვალებით. ტრაგიული პიროვნება რომ იყო, უფრო გვიან შევიტყვა. დადიოდა ეს კაცი უზარმაზარი დარდითა და ტავილით გულში და მაყურებელს აოცებდა და აცინებდა.

როცა გადასაღებ მოედანზე კამერის წინ მარტო რჩებოდა, რეჟისორულ ჩანაფიქრთან ერთად იბადებოდა ახალი პერსონაჟი, განუმეორებელი სახასიათო მანერებით.

### ფრაგმენტი ფილმიდან „მიმინ“

ცეკვის სცენა დასამახსოვრებელი და კურიოზული იყო. ეს ეპიზოდი რესტორან „როსიაში“ შეადამით, 12 საათის შემდეგ უნდა გადაგვედო. იქ მისულებს თაყვანისმცემლები დაგვევდნენ პურ-მარილით. საკმაოდაც დავლიერ ორივემ, თუმცა ეს რეჟისორს არ გაუგია. კადრის დასრულებისთანავე გია დანებიამ შეგვაქო, რა კარგად ცეკვავდით, რა ბუნებრივები იყავით მთვრალების როლშით.

გასაკვირი არ იყო, ადკოპოლს რომ ერანებოდა. თუმცა გადაღებებისას მუდამ ფხიზელი იყო.

მე და ფრუნზები უკვე გვჭონდა ერთად მუშაობის პატარა გამოცდილება („არ დაიდარდოში“ ეპიზოდურ როლს თამაშიოდა, თურქს განასახიერებდა). მასინძელი კიყავი და მცხეთაში წავიყვანე ძეგლების დასათვალიერებლად. სერიცხოველზე ძველქართული კუთხოვანი ასოები რომ დაინახა, იხუმრა, თურმე ესეც სომხებს აუშენებიათო (ძველქართული და სომხური ასოები ხომ ძალიან ჰგავს მოხაზულობით ერთმანეთს).

მე გულში ჩავიდე, როგორმე გადამეხადა სამაგიერო, რა თქმა უნდა, ხუმრობითვე. დავურეკე შეადამისას, გავალვიძე და ვეუბნები: ისეთი რამ გავიგე სომხებზე, დილამდე ვერ მოვითმენდი. არქეოლოგებს რადაც ქვა აღმოუჩენიათ, ქრისტიანობამდე თარიღდება და ზედ აწერია: „სომხეთის კომკაფშირი 500 წლისად“. ფრუნზები მიხვდა, რა ოინიც ვუყავი და ენამოსწრებულად მიპასუხა: იმ დალოცვილებს, არ შეეძლოთ, ის ქვა ცოტა სხვა დროს ეპოვათ, ასე გვიან რომ არ გაგედვიძებინე?

## როგორი კაციც გაიზრდები, ლმერთიც ისეთი გეყოება

ჩემი პირველი სიტყვა „ბუბა“ ყოფილა. ამიტომაც დამარქებს ეს მეტსახელი. ახლა იგი ყველას ჰქვია. საინტერესო ისიც, რომ სვანეთში მდინარე და ეკლესიაცაა „ბუბას“ სახელწოდებით.

გვარი „კიკაბიძე“ XVI ს.-დან მოდის სვანეთიდან. თვითიან კიბობიანები ვეოფილვართ.

მორწმუნე დედა მყავდა, ბაგრატიონის ქალი, 11 წელი ეკლესიაში გალობდა.

როგორი კაციც გაიზრდები, ისეთი ღმერთი გეგოლებაო, მეუბნებოდა დედა. ვფიქრობ, მშობელი არ დამიდალაგებია. თუმცა, უხერხეულია საკუთარ თავზე საუბარი, ისევ სხვს მოვუხმობ.

ნოდარ დუმბაძეს ჰკიოხეს, გვითხარით რამე ბუბაზე. რა გითხარათ, ჩემი შეილი 4 წლის არის და ამბობს, რომ გავიზრდები, ცოლად ბუბას უნდა გავვეო.

ეს ხუმრობით, მაგრამ მთელი ცხოვრება მართლაც ვგრძნობდი ხალხის სიყვარულს, როგორც დვოის დიდ წელი.

P.S. ჩოგონ ბებანა ბაჟონმა ვახუანგმა? ნების მიუხედავად, "მიმინ" ახალგაზრდათ. ჩა თქმა უნდა, ბაჟონმ ვახუანგ, ოჯახში ამიტომაც გენვიევა, შეგანუხეთ. მაგამ ჩვენს სათქმელსაც გეკუცით: ჩა ეხმა ან უნდა გავიღეს, იმ პირველი მაყუჟებისა ას იყოს, ვაღიერ მიზანებისა და ჩები ხაჩიუანის სამსახუობმ ღერცი თაობებისთვის ჩება ბენეფისად, ჰემიუხად, სახალხო ღლესასნაურა; ნების გავიდა იმ ნებმა ვეხაფეები გაუგო ესასაკა "მიმინს". ნიჭი ნიჭია, მაგამ თუ სურის ნანიღი ას გაიღე, თუ შენი შეემნიღით ას თქვი, ჩო აღამანები უთიოჟითობები სიკეთის ყოველოუები გაკვეთიცა, "მიმინსავით" ცამი ვე აიჭები.

ბაჟონმა ვახუანგმა ჭიშქამერ მიგვაციდა და დამშვილებისას გვითხათ, ეუჟნაცი ჩომ ღაიბეჭება, ას გამომაპახოთ. სასიამოვნო გაჩიგება კი შეება:

ბაჟონმა ბებამ მაღილების ნიშნაც სუჟილების  
ბაჟათი, საკუთარი ავტოგანაფით გვისახსოვანი, ჩვენ კა მას "იატენის" ნომერს მივაჩიმევთ.

ჰუბიკაციის ბოროს პოპულარული მსახიობის ტურების მიწერაც ჩვენს უფლებაც ღავისუვეთი: საქახთველოს სახალხო ახტისცი, კინომსახიობი და საესტურო მომღერალი, სცენარისცი, კინოჩეინისტი, სიმღერების ავტორი, სახელმწიფო ჰერმიტი... დაუხეაცი, ახაეთი საექსაშონის სიმღერის და კინოფესივის დაუხეაცი...

ეუჟნაცი ურა ფეხი კულებები  
რა არ მიდის მეგ  
ურა ფეხი, სირა და სირა  
ურა ფეხი, სირა და სირა  
ურა ფეხი, სირა და სირა  
ურა ფეხი, სირა და სირა

ვახუანგ (ბუბა) კიკაბიძის ავტოგრაფი



ალექსანდრე მაკედონელი

საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთზე გალაშქრება გადაწყვიტა. მაკედონიიდან გამგზავრების წინ მან მთელი თავისი ქონება მეგობრებს დაურიგა.

როდესაც ჰკითხეს, ყველაფერი გაეცი და შენ რაღა დაგრჩაო, მან ამაყად უპასუხა:

— მე დავიტოვე იმედი!

იქვე მდგომა მისმა მეგობარმა აღფრთოვანებით შესძახა:

— მაგ განძიდან წილი მეც მინდა, მეფევ!

და უარი თქვა დოვლათის წილზე, რაც იმპერატორისგან ებოდა. ამბობენ, მას სხვებმაც მიბაძესო.



სანკტ-პეტერბურგში, პეტრე I-ის ძეგლის გახსნამდე რუსეთში არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი არ იდგა.

ეკატერინე II-ემ იგი ჩამოასხმეულია ფრანგ სკულპტორს, ეტიენ მორის ფალკონეს, რომელიც რუსეთში სამუშაოდ 8 თვით ჩამოვიდა.

მანამდე ფალკონე მხოლოდ ფაიფურის მინიატურულ სკულპტურებს ამზადებდა.

პეტრე I-ის ცხენის ნატურად თურმე გრაფ ორლოვის საჯინიბოდან 2 საუკეთესო ცხენი, „კაპრიზი“ და „ბრილიანტი“ შეარჩიეს.

პეტრე I-ის ძეგლი  
სანკტ-პეტერბურგში

ალბერტ აინშტაინი

ერთხელ გაზეთებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქველმოქმედო კონცერტს, სადაც ალბერტ აინშტაინი თურმე ვიოლინოზე უკრავდა.

დიდი მეცნიერი ამაყობდა ამით. ყველას უჩვენებდა საგაზითო სტატიას:

— აი, ხომ ხედავთ, მე, უპირველესად, ვარ კარგი მუსიკოსი, მერე კი — ფიზიკოსი!



პიტლერელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დღეებში პიკასოს სახელოსნოში გერმანელმა ოფიცრებმა შეიარეს.

მხატვარმა გესტაპოელს, რომელიც განსაკუთრებულად დაინტერესდა ხელოვანის ნაწარმოებებით, თავისი ერთ-ერთი

ტილო უსახსოვრა, შემდგომში ყველაზე ცნობილი.

ნახატზე გამოსახული იყო

ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქ გერნიკას განადგურება.

გესტაპოს აგენტმა ჰკითხა მხატვარს:

— ესეც თქვენი ნამოღვაწარია?

— არა, თქვენი! — უპასუხა მშვიდად პიკასომ.



პაბლო პიკასო. „გერნიკას განადგურება“



სულხან-საბა ღრბელიანი

## ზრდენი და მდიდარი იგავი

იყო ერთი კაცი ბრძენი, რომელიც ვაჭრობის სიმდიდრისაგან გადატაპებულიყო. მოვლო ქვეყანა ბევრი და ჩავიდა ინდოეთში. იქ იყო კაცი დიდად მდიდარი და თან დგომის მოშიში. გაიგო მისი სახლი, მივიდა მასთან და უთხრა:

— მათ, მე შენ ამას წინათ 40 ლიტრა\* ვერცხლი გასესხე, ახლა დიდად მეჭირვება და დამიბრუნები!

მან მდიდარმან უარყო. რაც არ ემართა, რას მისცემდა?

უთხრა:

— როდის გასესხე? ან მოწმე ვინ გყავს ან ხელითწერილი სად გაქვს? მან კაცმან უპასუხა:

— მაშინ საქმიანად იყავი და ასრე მითხარი, ახლა არა მცალია, ხვალე მოდი, ხელითწერილს მოგცემო. მეც დაგიჯერე, თან მაშინ მეც სხვა საქმით ვიყავ დაკავებული და ხელითწერილის მოცემა დამავიწყდა. ახლა მოვედი და ჩემსას ვითხოვ. მე თუ მტყუანი ვიყო, შენ სახელი დგომისა დაიფიცე, რომ ჩემი ვერცხლი არ გევალოს და უკან გავბრუნდები.

დგომის მოშიშმა მდიდარმა გაიფიქრა:

— ამა მცირეთსა ზედა რისათვის ვიფიცო სახელი დგომისა. 40 ლიტრა ვერცხლს მივცემ მას, სხვას მე მოვიხმარ და ღმერთსაც არა გავიწყორმო.

კაცსა მისცა, რასაც ითხოვდა. მან კაცმან, რომელმან წარიდო ვერცხლი, ეგრე თქვა:

— ღმერთო, მართალო და ჰეშმარიტო! შენ ხომ უწყი, ჩემისა სიგლახაკისათვის ვქმენ ესე. აწ თუ გამიმართლებს სავაჭროსა ამასა ზედა, ყოველ მონაგებს ამ კაცს მივუძღვნი და მერე ყველაფერსაც ვაუწყებ.

წავიდა იგი კაცი ჩინ-მაჩინს.\*\* ივაჭრა და წელთა მერე ისე გამდიდრდა, რომე მასზე უდიდესი ვაჭარი აღარ ითქმოდა. დაბრუნდა ისევ იმ ქალაქად, მონახა მდიდარი და შინ დაპატიჟა. მან მდიდარმან ვერ იცნო.

შეიყვანა სალაროსა თვისსა და რაც რომე გააჩნდა, აჩვენა. გაუკვირდა მდიდარს სიმდიდრე და სიმრავლე უნჯთა,\*\*\* მოუწონა და შეუქო ყოველივე.

მერე მან კაცმან ამოიდო კლიტე მისი სალაროსი, მიართვა, ხელზე აკოცა და მოახსენა:

— ესე ყოველი შენია და ღმერთმან გაუფლოს!

მდიდარმა პკითხა კაცს მისი ვინაობა. მან ყოველი მოახსენა:

— ჩემმან სიგლახემ გამაკეთებინა ყოველი, თვარა შენ ჩემი არა რა გევალა. მე რა მქონდა, რომ გამესესხა. ესე ყოველი შენია, დაეპატრონე!

გაუკვირდა მას მდიდარსა კაცისა სიმართლე და გულკეთილობა. ერთი სარტყელიც აიღო, ერთი საპერანგეც და ეგრე უთხრა კაცს:

— რადგან შენი ეგეთი კეთილობა ვინილე, ჩემი რაც არის, იგიც შენი იყოსო! ღმერთმან შენ მოგახმაროს!



ვაგბერებით უიღესი ქახთველი მოაზროვნის, სერხან-საბა აბერიანის «სიცუვის კონიცან» ამოქებიდი ცალკეული სიცუვების მეითხველისათვის ნახევინებას. ვერნობით ზოგიერთ, ამ თითქმის მივიწყებელ, ამჯერად უავა ღამისიერ ნიმუშად ქსევე სიცუვებსა და შესაცვის განმატებებს და სამი საუკენის შემღებას მაღლიერი ვაჩერებით ესოდენ ნიგნიერებისა და ერთვნელი ფასეულობებისადმი განსაკუთრებული დამოუიღებელის გამო.

პახადელისათვის ალვნიშნავთ, რომ საფრანგეთის მერნიერებათა აკადემიის წევებმა ფრანგელი ენის ღესისუნზე იმუშავეს 36 წლის მანძილზე (1638-1674 წ.წ.).

ამ ესმს კი თითქმის შეეძლებად მიგვაჩნია, რომ იგივე ლვანი გასწის ექომა ადამიანმა და 33 წლის განმავლობაში შეაღინა ანალოგიური ხასიათის ქახთველი ნაშრომი, რომელიც პირველ ფრანგელ ღესისუნს ახალით ამოვახდება.

მეტიც: ღიაქაუმიერი მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ სერხან-საბას «სიცუვის კონა» თავისი მნიშვნელობით ალემატება უდევს ფრანგელ ვეხსიას.

თითოეული ქახთველისათვის სამაგილი ნიგნის ავტორი, როგორც თავად ამბობს, მეღამ «სოფლისა საქმისაგან ეცალ», ამასთან, იყო საუცხოო მთაგმნელიც, ლვოსმეცყველიც, ღიაპლომატიც, კატოლიკიც.

უავა 27 წლის ასაკში (1685 წ.) ღესისუნგაფას «სიცუვის კონის» პირველი ჩერაქია მზად ჰქონდა.

## — 3 —

**ცანდალი** – ფე(რ)ხსაცმელი, სანდალი

**ცანდი** – ქვაბის საკიდარი ჯაჭვი

**ცაცუნი** – ხელი მოსმა

**ცახე** – რა მზის შუქი სახლსა შინა  
შედგეს, ვითარცა მტვერი აღმავალი –  
მას მცირესა ეწოდება

**ცეკვა** – ფერხის თითებით როკვა

**ცელქი** – ყრმა დაუწყნარებელი

**ცეცება** – ბრმა პირუტყვის სვლა

**ციალი** – მცირე რამ ელვარება

**ციბა** – ჩიბა; ასაკმცირე ძაღლი

**ციბაკი** – ციბაცედა; ცედი ძაღლი

**ციბამტკაველი** – მაიმუნი (ყაპუზუნა, ქია)

**ციერი** – ცის გარსეკვლავნი

**ცილება** – ორნი რომელს ირჩოდეს

**ცილი** – ტყეილთაგანი

**ციმციმი** – მცირე(დ) წყალთ მდერა

**ცინტალი** – კატის კნუტი (მოდიდო)

**ცისარტყელა** – ცის მშვილდი

**ცისიერი** – პაერთა შინა რაც იქმნების:  
ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, სეტყვა

**ცისკრის გარსეკვლავი** – მთიები

**ციცა** – კატა (ფრანგულია); ქართულია –  
ციცა

**ციცა** – ნიგვზისა და თხილის ყვავილი

**ცოდა** – ცოდვა ქნა

**ცოლეურნი** – ცოლის მოძმენი

**ცოლი** – ქმროსანი

**ცრემლი** – თვალის წყალი

**ცრიატი** – ცივი დღე, ღრუბელთ აშლილი

**ცრინტილა** – სენი გადამდები (მცირე  
სურდო)

**ცუდდიდება** – მოგონებული დიდება

**ცუდვა** – გაპერვა

**ცუდმავალა** – უსაქმოდ მოარული

**ცუდმოუბარი** – ლაყაფი

**ცუნდრუკი** – თვალის დაწამწამებით  
მოყვასის ბოროტი ძრახვა და ვერა  
პირისპირ თქმა

**ცუცუნა** – მეტად პატარა

**ცუცურაგი** – მხცოვანი ცელქი

**ცქაფი („გეფხისტე“)** – ხელფერხსწრაფი

**ცქიმურა** – წვრილი თევზი

**ცქურინა** – პატარა ზუთხი

**ცხებული** – მეფე, გინა ქრისტე, გინა  
კურთხეული

**ცხრაფეხა** – კიბორჩხალი



დაჩი ახვლედიანი

«სოხუმი ყოველთვის ეხოთ გუნი იყო» - სათაქმის გამოცანა სათქმელი ახალგაზის პრეზიდენტისმა დაჩი ახვლედიანმა. სწორები დასწორები მოტივინმა, ხაც მიზე მხახეს, ენგურის ბარმა თუ გამოლმა მყოფს, მხებში თამაზა გასწორების საშეაცებას ას ძღვეს.

დაჩი ახვლედიანი, ხმელის თავის თავს შეამავალს უწოდებს დაკაბეც, მოწყვეტილ სამყაროსთან, უშეალო თვითმხილვების თვალით დანახეც აფხაზეთს გვიხადავს; გვაცნობს მეორე ნაპირზე დაჩინირთ, ხმელის იგივე მოყვასის და ხმელის, ამავე ტემას, ჩვენ თვითონ ვახოთ.

ავტომობილის ქმნის ქიმიური ზოგად ფსიქოლოგიურ პოტენციალს, ხმელის უბისი ას შეეძინა მცხობა, იმიურმა, ხმი უკასს მიზე მას.

მოთხოვთ გვეჯნება, ხმი ჩვენ, აფხაზებსა და ქათველებს, თვითონვე შეგვიძინა, შევცვალოთ ჩვენი საერთო მომავალი, იმიურმა, ხმი სოხუმი ყოველთვის ეხოთ გუნი იყო!

## სოხუმი ყოველთვის ეხოთ გუნი იყო

დაჩი ახვლედიანი

არ ვიცი, როგორ დავწერო ან საიდან დავიწყო? ხომ შეიძლება, ჩემს ნაწერს თვალი მოავლოს რომელიმე დევნილმა?! მაშინ მე მათვის შუამავალი ვიქნები მოწყვეტილ, დაკარგულ სამყაროსთან. ან იქნებ, უბრალოდ, ერთ-ერთი იმ ბედნიერთაგანი, რომელსაც, მიუხედავად კველაფრისა, ბედმა გაუდიმა და აფხაზეთში ცხოვრობს; განსხვავებით იმ 200 ათასზე მეტი დევნილისგან, ვინც მხოლოდ მოგონებებით, სურათებით, ჩანახატებით, მოსმენილი ან წაკითხული ისტორიებით უკავშირდება აფხაზეთს.

შესაძლებელია, მანაც წაიკითხოს ჩემი ნაწერი, გისაც დევნილობით გამოწვეული ტკიფილი არ განუცდია, მაგრამ მაინც ახსოვს სოხუმი, ქალაქის კუთხე-კუნძული თუ არა, ცენტრალური ქუჩები მაინც. ეს ორმაგად მაკისრებს პასუხისმგებლობას, ყველაფერი ზუსტად გადმოგცეთ.

არ ვიცი, რამდენად დაგამშვიდებოთ, თუკი გეტევით, რომ „გაღმა“ ყველაფერი კარგადა; ან ის, რომ იქ, აფხაზეთში, ერთი სული აქვთ, როდის გადმოკეთოვთ ენგურს და გააქრობოთ უჩვეულო საზღვარს. ან იქნებ, გითხრათ, რომ, თუ არა ცისფერჩაფეტებიანი „მშვიდობის დამკველები“, ჩვენ ისევ ერთიანნი და მთლიანი ვიქებოდით; ან თუნდაც ის, რომ უთქვენოდაც კარგად ვცხოვრობთ.

არა, ჩემს სათქმელს სხვა ათვლის წერტილი აქვს. ერთი პატარა ისტორია მაქვს მოსაყოლი. არ ვიცი, დაინახავთ თუ არა მასში სინათლეს. განსჯა თქვენთვის მომინდვია.

სოხუმში წვიმიანი დღეები ხშირია, განსაკუთრებით, ზამთარში. მაგრამ

წვიმაშიც კი ის ერთ-ერთი თბილი ქალაქია საქართველოში.

2012 წლის შემდეგ ხშირად ვერ ჩავდივარ სოხუმში. თბილისის უნივერსიტეტში ვწავლობ და მხოლოდ არდადებზე თუ გახერხებ იქ სტუმრობას.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ზაფხულზე მეტად ზამთარში მიყვარს სოხუმში ჟოფნა. როცა სანაპირო ზოლი გადათეთრდება და ქალაქი მაღებს იკრებს ყინულის ბორეკილების დასალეჭად. ამ დროს აქ ისეთი სიმშვიდეა, რომ სურვილი გიჩნდება, იარო მის ქუჩებში და გულიც გადაუშალო.

ბავშვობიდან მიყვარდა სანაპიროზე მარტო სეირნობა. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს ამ ქალაქში, მაგრამ, წესად მექცა, რომ ის ჯერ მარტოკამ უნდა მოვინახულო.

ერთ-ერთი ასეთი „შემოვლა“ გასული წლის დეკემბერს დაემთხვა. იქ ყოფნით თითქმის გული ვიჯერე და, წესით, „ამრაში“ სტუმრობით უნდა დამესრულებინა ჩემი „სოლო რეიდიც“; ამ დროს მობილური ახმიანდა. დედახემი მირეკავდა.

არ ვიცი, ალბათ, ძალიან ხმამაღლა ვსაუბრობდი ქართულად; როდესაც ლაპარაკი დავასრულე და გზა განვაგრძე, ვიდაცამ ქართულად დამიახა.

მოვტრიალდი და დავინახე, რომ ჩემს წინ იდგა ორმოცდაათიოდე წლის, მაღალი, გამხდარი, ანაფორით შემოსილი მღვდელი.

- წლებია, ქართული სიტყვაც კი არ მსმენია, შენ კი შუა სოხუმში ქართულად ისე გაიღეს, ვითომც არაფერი, - მშვიდად წარმოსოთქვა მან.

უცებ გავიფიქრე, უცნობი, ალბათ, გააღიზოანა ქართულმა საუბარმა და ის ერთ-ერთი იმ აფხაზთაგანია, რომელიც ომმა გააუბედურა, ახლობელი ან ოჯახის წევრი დაედუპა და ამიტომ ვერც ქართველებისადმი სიყვარულს მოხსოვ-თქმ. მაგრამ მის თვალებში ვერც სიბრაზე ამოვიკითხე და ვერც გაოცება. ისეთი მშვიდი და იდუმალი მზერით მიყურებდა, რომ ხმა ვერ ამოვიღე, სიჩუმე ისევ მღვდელმა დაარღვია.

- არა, ქართულს კი არ ვემართლები, უბრალოდ, დიდი ხანია, რაც აქ ქართულად არ



დაპარაკობენ. ალბათ, ქართული დაავიწყდა კიდევ ჩემს ქალაქს...

კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ საუბარი შევაწყვეტინე და, რაც შემეძლო, მკაცრად „შევუსწორე“:

— ჩვენს ქალაქს, მამაო, ჩვენს ქალაქს! ხწორედ ამიტომ, თქვენ თუ არა, მე მას მხოლოდ ქართულად ვესაუბრები!

ძღვდელს გაეცინა:

— პასუხი ქარგია, მაგრამ დღეს თუ მე და შენ ერთმანეთს გარგად გაფიცნობთ ჩემი დამტვრეული და შენი გამართული ქართულით, მგონი, შევძლებთ, უფრო მეტად გაგახსენოთ სოხუმს იგი...

რამდენიმე წამის შემდეგ კი დაამატა:

— იქნებ, მეც მჭირდება ეს უკეთ გახსენებისთვის, — თქვა და ხელი გამომიწოდა, — მე მამა ანდრიას მექახიან სოხუმში.

ისევ გაიღიმა და შემდეგ უკვე, საღლაც ფიქრებში წასულმა, ჩაილაპარაკა:

— ოდონდ მამა ანდრიას ქართულად არავინ მექახის.

მალიან მესიამოვნა მასთან საუბარი. გადმომდო თავისი დადებითი მუხტი, სიმშვიდესთან ერთად საოცარი განწყობა და იმის თქმაც შევძლი, რომ დღეიდან მამა ანდრიათი მას მე მივმართავდო.

საღამომდე შემოვრჩით გადათოვლილი სოხუმის სანაპიროს.

ვფიქრობი, იქნებ, ჩვენს ქალაქს მართლა არ დავიწყებია ქართული, ეს დღე მართლაც უწვეულო იყო ჩემთვის: ქართულად მესაუბრებოდა აფხაზი ძღვდელი, რომელსაც მონატრებოდა ქართული სიტყვები.

მისი დამშვიდობებაც ერთ-ერთ ყველაზე ფაქიზ მოგონებად დამრჩა:

— მადლობა, ჩემო პატარა მეგობარო, იმისთვის, რომ დღეს ჩემს ძალიან დაღ და უშფოთველ ბავშვობაში დამაბრუნე. რა ხანია, ამ სანაპიროზე ქართულად არ მიღაარაკია. ომმა წამში დაანგრია ყველაფერი.

მის თვალებში იმდენი სინაცვლი და ტკივილი ამოვიკითხე, ვერ გავბედე, ზედმეტად რამე მეტითხა. ის კი გავიფიქრე, ალბათ, ოდესმე ისევ შევხვდებით ერთმანეთს და მეტსაც გავიგებ მის შესახებ. ამასობაში ხელთ მამა ანდრიას ტელეფონის ნომერი შემრჩა, თვითონ კი უკვე ჩემს სიახლოვეს აღარ იყო.

ყოველთვის, როცა სოხუმში ვინმე ასაკოვანს გავიცნობ, ვიცი, რომ მან ჩემზე ბევრად მეტი იცის ომზე, ომაბრე ცხოვრებაზე და, ზოგადად, აღამიანებზე, ომმა ერთმანეთის საპირისპირო მხარეებად რომ გაგრიყა. მაშინ ვცდილობ, ვიპოვო ყველაფერი, რაც ომს გადაურჩა. არასდოროს მაქვს სურვილი ჩვენს შორის მტყუან-მართლის მოქებისა და გარჩევის; უბრალოდ მინდა, მეტი ვიცოდე იმ დროზე, ყველანი ერთად, მშეიდობიანად რომ ვცხოვრობდით.

ჩემი არდადებები იწურებოდა. მალე თბილისში უნდა დაგბრუნებულიყავი, მაგრამ რაღაცა თითქოს არ მასვენებდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ მამა ანდრია არ იყო ის ადამიანი, ადვილად გულს რომ გადაგიშლიდა. იქნებ, მასთან ხელახალი შეხედრა და საუბარი ამიტომაც მიხდოდა ასე ძალიან.

მამაჩემს ვკითხე, იცნობდა თუ არა სოხუმელ მამა ანდრიას (გვარი არ ვიცოდი). მამაჩემმა თავის აფხაზ მეგობართან, რევაზ ჩაჩასთან წასვლა მირჩია (ნომერი, რომელიც მამა ანდრიამ დამიტოვა, გამორთული იყო).

ჩვენ „მაიაჟში“ ვცხოვრობდით, რევაზი კი კელასურში; სანამ იქამდე მივედი, უფრო გამიმძაფრდა ცნობისმოყვარეობა. აუცილებლად უნდა მომექებნა მამა ანდრია.

უნდა ვაღიარო, რომ, მიუხედავად ჩემდამი დიდი პატივისცემისა, რევაზი ქართულად არ მელაპარაკებოდა; მაგრამ, თუ შეეძლო, არანაირ თხოვნაზე უარს არ მეუბნებოდა. ისიც იცოდა, თუ აფხაზურად დაველაპარაკებოდი, საქმე განსაკუთრებულ შემთხვევას შეეხებოდა.

რევაზთან მისვლადე გზაში შემომაღამდა.

შესვლისთანავე გამაფრთხილა:

— ამაღამ აქ დარჩები, დიდი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხარ; თბილისში რომ ხარ სულ, სოხუმს ამიტომაც აღარ კადრულობ უკვე!

როგორ არ დავრჩებოდი, ოდონდაც კი დამხმარებოდა. ამიტომ ვახშამზევე აფხაზურად დავიწყე მასთან საუბარი.

რევაზს გაეცინა:

— მეც არა ვთქვი, დახის მოვენატრე და მინახულაო?

მერე თავის ცოლს, აიდას, გადახედა, სანაძლეოს ვდებ, ჩემთან თხოვნითაა მოსულიო.

როგორც ყოველთვის, რევაზი ამჯერადაც შეეცადა, გაეგო ჩემთვის:

— რა საქმე გაქვს მამა ანდრიასთან ასეთი, ან საღ გაიცანი? არ მითხა, აჩადარაში დავდივარ წირვის დასასწრებადო...

რევაზის უნიჭო ხუმრობაზეც გამეცინა გახარებულს. მთავარი იყო, მას მამა ანდრიამდე მივეყვანე. ასეც მოხდა.





დილის 9-საათიან წირვამდე უპეე ვიყავით აჩადარაში. აჩადარა, სოხუმს რომ აქრაგს, ძევლი, ძალიან ლამაზი სოფელია. ხალხიც განსაკუთრებულად სტუმარობოვარეა აქ და, სოხუმისგან განსხვავებით, ისევ უბრალოდ ცხოვრობს. ამ სოფელს ჩვენი ქალაქისგან ისიც გამოირჩევს, რომ დღეს აქ უმეტესად აფხაზები (ცხოვრობენ. მშვიდი, წყნარი უბანია.

როდესაც პატარა საყდარში შევედიო, მაგა ანდრია  
ლოცვებს კითხულობდა. თავი ჩავინდრე და წირვის  
დასრულებას დაველოდე. დამთავრებისთანავე ჩემთან მოვიდა:  
— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, — მითხრა ეს და საყდრის  
ეზოსკენ მანიშნა, იქ დამელოდეო.

ეპლესიაშივე შევამჩნიე, რომ მამა ანდრიასი კველას ერიდებოდა. ამან დამაგვეგა, მაფიქრებინა, რომ ეს ადამიანი სასულიერო ცხოვრებისთვის არ იყო მოწოდებული.

ცხადია, ინტერესი გამიმდაფრდა. რაც მეტს ვფიქრობდი, უფრო გრწმუნდებოდი, რომ რაღაცას, ძალიან მნიშვნელოვანს, არ ამობდა. წირვის შემდეგ საკუთარ სახლში დამპატიუა და მეც უყოფმანოდ და მიწვევა.

ნამდვილი აფხაზური ოდა დამხედა მის ეზოში. მღვდელი მარტო ცხოვრობდა, შესანიშნავი მზარეულიც აღმოჩნდა.

უხმოდ გისადილეთ. დიდხანს ვერ ვტელავდი დუმილის დარღვევას, ზედმეტად

კინ გვეხმარება.

Յորդագործօս պայմանագիրը կազմվել է 2010 թվականի հունվարի 1-ին ՀՀ Կառավարության կողմէն՝ ՀՀ Կառավարության 2010 թվականի հունվարի 1-ին առաջարկությամբ:

სან საუბარი დაგიწყეთ ყვავილებზე, რომელიც მრავლად იყო მის ქოში, ხან კი იმ თევზებზე, სადილად რომ მივირთვით და რომელიც მამა ანდრიას იმდღევანდელი ნადავლი აღმოჩნდა.

„შავე გამოვლითოდი სახლიდან, როცა კედელზე ჩამოკიდებული, ორი მომლიმარი ბიჭის შავ-თეთრი ფოტო დაგინახებ და ბაღში გამოსვლისთანავე სწორედ მასზე ვკითხებ მამა ანდრიას.

ის გაფიორდა, ძალიან აღელდა და ვინანე პიდევც, ჩემი ვითომ უწყინარი შეკითხვით სიმშვიდე ამდენად რომ დაგურდვის.

კოტა ხანს სიჩუმე ჩამოწვა.

მაგა ანდრია საბამზე იჯდა თაგნეაქინდრული და ვებედავდი, სატურაო ფიქრებს როგორ ებრძოდა; ბოლოს კი თითქოს ჩვეული სიმშეციდით გააგრძელა საუბარი:

— ეს სურათი ამ ხახლში დამხვდა, ის ბიჭები აქ თურმე ჩემამდე ცხოვრობდნენ. ჩახლართული ისტორიაა ეს, შეიძლო, ძალიან ჩახლართული.

მართლდა ვერ წარმოვიდგენდი მაშინ, რომ მამა ანდრიას ასე ავალაპარაკებდი. არ ვიცი, რამ შემაგრესანა, მაგრამ უკეთ გავთამამდი და პირდაპირ გვითხე:

- օվենդ, մռմոցայտ մատზե, մամա...

ამ კითხვაზე იგი შეცდა და, ჩემდა მოულოდნელად, უხეშადაც შემომიტია:

— შენ ვინ მოგცა წარსულში ქექვის უფლება?! გგონია, უკელაფერი მარტო დრო და ვადებია? შენ რა იცი, აქ რა ხდებოდა?!

ამჯერად პასუხი არ დავაყოვნებ:

— მართლა არ ვიცი, მაგრამ სწორედ ამიტომ ვცდილობ, მეტი გავიგო და გავერკვე რადაც-რაღაცებში. იციოთ თუ არა, მამაო, თბილისში რომ ხავდივარ, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენმა მეზობელმა „შვიდობის მყოფელებმა“ გადამიშვეს, რა სდება დევნილთა კორპუსებში, სადაც ხშირად მიწვეს ყოფნაც, ცხოვრებაც?

აინტერესებულ ხართ, საკუთარი მიწა-წყლიდან იგორ კხოვრობს? გინდათ, ამ ყველაფრის შეს

მღვდელმა თავი დამიქნია და მეც განვაგრძელო:

- ერთხელ თბილისში მოხუცი ქალი გავიცანი, სოხუმი ინჟინერი ქარი და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი

შეადგინ. ორივე მმმა წაართვა. და მაინც, იციო, რა დამატარა?

მთხოვა, „მაიაგში“ მომექმნა მისი სახლი და ერთი, თუნდაც, შორიდან გადაღებული, ამ შენობის ფრთი ჩამოტანა მისთვის. კალაზე მკტად იმან



გამაოცა, რომ ის ქალიც, მისი ქმარიც და ერთადერთი შვილიც აფხაზები იყვნენ და ომა არც ისინი დაინდო. არ მინდა, ჩემმა თაობამაც იგივე ტკივილებით იცხოვროს, იგივე განიცადოს. ამიტომაც ვცდილობ, ჩვენი თანაცხოვრების ისტორიები, რაც შეიძლება, მეტი მოვისმინო...

მაგა ანდრია ჩაფიქრებული მიყურებდა. ასე გავიდა წამები, წუთები, არ ვიცი, რა დრო. იმედი თითქმის გადავიწურე, რომ სიტყვას მაინც მოვისმენდი მისგან. მოულოდნელად დაიწყო:

— ის ბიჭები, სურათზე რომ ნახე, ძალიან ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ. ინადა არძინბა სოხუმელების ცენტრალური თავდამსხმელი იყო და მრავალი წელი ახარებდა გულშემატკივრების გულს უზადო და ლამაზი გოლებით. მეორე, გიორგი შერვაშიძე კი, საუკეთესო მარჯვენა მცველი მთელს საბჭოთა კავშირში. დიდი ხანი ცდილობდნენ რუსები მათ გადაბირებას მოსკოვის „დინამიტში“, მაგრამ მათ სოხუმი ძალიან უყვარდათ და ვერც სოხუმელებს უდალატებდნენ. ერთხელ, ინალის ტრავმის გამო მოსკოველებთან თამაში წავაგეთ. ამ ორი ფეხბურთელიდან თუ ერთ-ერთი მაინც აკლდა თამაშს, გუნდი მოშლილი იყო. როცა ორივე თამაშობდა, მაშინ კი გუგუნებდა სოხუმი. ვიმარჯვებდით და კულანი ერთად გზებიმობდით არაერთ გამარჯვებას. არადა, რა პატარა ბიჭები იყვნენ მაშინ?!

ომის შემდეგ არც ერთს აღარ უთამაშია ფეხბურთი.

ადარ იყვნენ ერთი გუნდის წევრები.

ომმა ყველაფერი მიწასთან გაასწორა.

ისინი ერთმანეთს ესროდნენ.

— ინალს მთელი ოჯახი დაეღუპა და, მარტო დარჩენილი, ამბოხებულ აფხაზებს შეუერთდა. გიორგი ქართველების ერთ გუნდთან ერთად ბოლომდე იბრძოდა აფხაზეთის მისადაღომებთან. გუმისთასთან შეტაკებისას გიორგი ტყვედ ჩავარდა და ერთი კვირა ბაგრამიანთა რაზმს ჰყავდა მძევლად. ეს იყო სექტემბრის დასაწყისში, როცა უპირატესობა აფხაზთა მხარეს გადავიდა. ინალს ხმა მიაწვდინეს, გიორგი ტყვეობაშიაო. ახლაც არავინ იცის, ეს ვისი დამსახურებით მოხდა, მაგრამ გიორგი ტყვეობიდან გამოაქვიეს. სოხუმის ფეხბურთის გუნდიდან მათზე მხოლოდ ეს მცირე ისტორია შემორჩა. მე კი ვინ ვარ, ერთი ჩვეულებრივი დვთისმსახური, რომელმაც ამაზე მეტი არაფერი ვიცი.

ამის შემდეგ მამა ანდრია კიდევ  
ორჯერ მოვინახულე. გასულ ზაფხულს კი  
ჩასვლისთანავე შევიტყვე, რომ ის გულის შეტევით  
გამოიცვლილიყო.

მის აფხაზურ ოდას შეგუარე.

კარი ლია დამხვდა და ვიფიქრე, ჩემსავით, ალბათ, ბეგრი მოდის მამა ანდრიასთან სასაუბროდ.

მეც, როგორც ადრე, ბევრი ვერაფერი ვუთხარი,  
მაგრამ ცოტათი დავმშეიძლი მაინც.

გამობრუნებას ვაპირებდი, როცა ფეხბურთელი ბიჭების ფოტო გამახსენდა. ჩამოგხსენი სურათი კედლიდან და წაღება დავაპირე. მაგრამ გამახსენდა, რამდენად ძვირფასი იყო ეს ფოტო მამა ანდრიასთვის და მაინც აქ დატოვებას ინდომებდა. ისევ კედელზე რომ ვკიდებდი, სურათის უკან წარწერას მოვკარი თვალი და დამაინტერესა.

„ჩემი ბაგშვილის მეგობარს – დაჩის. გაუფრთხილდით ერთმანეთს – ცხოვრება ხანმოკლეა. გახსოვდეთ, სოხუმი ქლველთვის ერთი გუნდი იყო!“

არ ვიცი, ბავშვობის მეგობარი რატომ მიწოდა, მაგრამ ახლა ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ეს ყველაფერი საკმარისხვი მეტი იქნა.

ავილე სურათი და გავუყვარ გზას სოხუმისკენ.

უცემ ვიღებამ რიხიანი ქართულით შემომძახა მანქანიდან:

- ვეხით რას დაიარები, ბიჭო!

რევაზ ჩახბა ანადარიშვილის გარადის გასაკეთობლად მოსულა. და იმ დღეს მოხდა ის, რაც არასდროს მომხდარა: რევაზ ჩახბა ქართულად დამეტებაპარაგა.

მანქანაში რომ ჩავუჯეტი, განაგრძო:

— ალბათ, არ იცოდი, რომ საწყალი ინალი ერთი თვის წინ გარდაიცვალა. კიცოდი, გეწყინებოდა და ამიტომ არ გეჟებნებოდი.

კერ მიგხვდი, ორმეტ ინალს გულისხმობდა და კითხვის თვალებით შევხვდე რევაზს.

რევაზის მიხვდა:

- მამა ანდრია მისი სასულიერო სახელი იყო, ერობაში კი ის ინალ არძინბა იყ.





# „ვინ არის ეს ქალი?“

## ივანე ხამსარის „უცნობი ქალი“



ივანე კრამსკოი.  
აგტომორტრეტი

მიმდინარე წელს შესრულდა XIX ს.-ის ცნობილი რუსი ხელოვანის, განრული და პორტრეტული ფერწერის დიდოსტატის, მხატვარ-აკადემიკოსის – ივანე კრამსკოის (1837-1887 წ.წ.) დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 130 წელი.

მხატვრის ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებად ითვლება „უცნობი ქალი“. მას ხშირად „რუსულ ჯოკონდასას“ უწოდებენ. კლასიკური შედევრისადმი ინტერესს ამბავრებს „უცნობი“ მანდილოსნის ვინაობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო ვერსია.

ივანე კრამსკოის არც პირად წერილებში, არც დღიურებში არასოდეს უთქვამს, ვინ იყო მისი მუზა. დასხვა რა ამით უამრავი კითხვის ნიშანი, ხელოვანმა მეტი სიმძაფრე შესძინა ნახატს. ხელოვნებათმცოდნებისათვის „უცნობი ქალი“ დღემდე ცხარე პოლემიკის თემაა.

იმთავითვე ზოგიერთი მკვლევარის ვერსიით, მხატვრის მიერ შექმნილი პერსონაჟი ლევ ტოლსტოის ანა კარენინას პროტოტიპი იყო, სხვები კი მას თეოდორ დოსტოევსკის „იდიოტის“ გმირთან, ნასტია ფილიპოვნასთან აიგივებდნენ.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრებაც: როცა ეს ტილო იქმნებოდა, კრამსკოის წინაშე პოზირებდა მისი ქალიშვილი, სოფია კრამსკაია. მართლაც, თუ „უცნობ ქალი“ შევუდარებო ივანე კრამსკოის ნახატს, სახელწოდებით „გოგონა კატასთან ერთად“, დავინახავთ მსგავსებას „უცნობ ქალსა“ და ქალიშვილის პორტრეტს შორის.

„გაუგებარია, ვინ არის იდუმალებით მოსილი ეს ლამაზმანი, მედიდური გამოხედვით? წესიერი, დირსეული მანდილოსანი თუ საზოგადოებისთვის მიუღებელი ზნის ქალბატონი, მიუხედავად ყველაფრისა, მთელ ეპოქას რომ იტევს?“ – სვამდა კითხვებს საზოგადოება.

ეჭვს არ იწვევს ერთი რამ – რომ ტილოზე ასახულია პეტერბურგული ეპიზოდი ნევის პროსაექტზე (ცნობილი შენობების ფონზე). კოსტიუმების ისტორიის სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მდიდრულ ეტლში ჩაბრძანებული ქალბატონის სამოსი სრულად აასესობს იმდროინდელი მოდის მოთხოვნებს.

ფრანგული ქადა, ნატიფად გაწყობილი მსუბუქი ბუმბულებით, თხელი ტყავისაგან შეკერილი შვედური ხელათმანი, ცნობილი მწარმოებლის, სკობელევის პალტო, დამშვენებული სიასამურის ბეწვითა და ლურჯი ატლასის ბაბთებით, მუფთა, \* მაჯაზე ოქროს სამაჯურით – თითოეული ეს დეტალი XIX ს.-ის 80-იანი წლების მოდური აქსესუარია.

ბოლოს და ბოლოს, სპეციალისტები შეთანხმდნენ ორ ვერსიაზე, რომელიც დღემდე ყველაზე სარწმუნოდ მიიჩნევა. ორივე შემთხვევაში მითი და რეალობა ერთმანეთს ისე შეერწყა, რომ საზოგადოება უკვე დაინტერესდა არა ლიტერატურული, არამედ რეალური პიროვნებებით. პუბლიკიაში ვისაუბრებთ ორივე ვერსიაზე.

ივანე კრამსკოის ეს ყველაზე ცნობილი ფერწერული ტილო შეიქმნა 1883 წელს.



უკვე აღვნიშნეთ, რომ „უცნობი ქალის“ პროტოტიპიად მიჩნეულია ორი რეალური პიროვნება, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ისტორიებით.

აი, ერთ-ერთი ვერსია: კურსკის გუბერნიის ფატექის მაზრაში დიდგვაროვან ბესტევევებს ჰქონდათ მამული. ერთხელ ამ სამოსახლოს ეწვია სანკტ-პეტერბურგელი ნათესავი, ახალგაზრდა ბესტევევი.

კეთილშობილი აზაური მოიხიბლა უმშვენიერესი გოგონათი, დეიდას მოახლით, რომელიც იმ ოჯახში ახლო სოფლიდან სამუშაოდ იყო ჩამოყვანილი. ბესტევევმა მალევე მიიღო გადაწყვეტილება, ცოლად შეერთო ულამაზესი მატრონა საკიშნა.

წაიყვანა პეტერბურგში და დაუქირავა ცეკვისა და მუსიკის მასწავლებლები; ნელ-ნელა აჩვევდა ქალიშვილს მაღალ საზოგადოებაში თავის დაჭერის, თავაზიანი ქცევისა და ეტიკეტის ელემენტების წესებს. მატრონას აღმოჩნდა სასიამოვნო სხმა. მისი სილამაზე ყველას ატყვევებდა. ბესტევევებთან გახშირდა სტუმრიანობა.

ერთ დღესაც მატრონა პეტერბურგში, ნევის გამზირზე სეირნობისას, შემთხვევით გადაეყერა თავის ყოფილ ქალბატონს. უძღიდრეს სამოსში გამოწყობილმა ყოფილმა მოახლეობა დაბიჯულობა არ შეიმჩნია; მეტიც, მისალმების ღირსადაც არ ჩათვალი და ამავი მზერით ჩაუარა



ივანე კრამსკოი.  
„გოგონა კატასთან ერთად“



მისი საქციელით შეურაცხყოფილ დიდგვაროვან ქალბატონს. სახლში მისულმა კი, როცა ბესტუჟევი აღდებულ მეუღლეს ქურქს ხდიდა, დაიტრაბახა კიდეც, ამას კი მართლა შეხვედრა ერქვაო.

სწორედ იმ დღეს ბესტუჟევების ოჯახში სტუმრობდა მათი მეგობარი, ივანე კრამსკო, რომელმაც თავად მოისმინა ეს ისტორია. როგორც ამბობენ, მხატვარმა ტილოზე სწორედ ეს რეალური კანონით აღმდება: მატრონა სავიზნას, ყოფილი მოახლის, მედიდური გამოხედვა.



არსებობს „უცნობი ქალის“ უფრო საინტერესო და, არანაკლებ, სარწმუნო მეორე ეერსიაც, საქართველოსთან დაკავშირებული.

ცნობილმა რუსმა ქურნალისტმა, იგორ ობოლენსკიმ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა წიგნი, გარეგანზე სწორედ ამ პორტრეტითა და ასეთი სათაურით: „სილამაზის ხვედრი – ქართველი მანდილოსნების ისტორია“.

როგორც ამტკიცებს რუსი ქურნალისტი, „უცნობის“ პროტოტიპი უმშვენიერესი ქართველი ქალბატონი, ბარბარე თურქესტანიშვილია. ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი ლამაზმანის, ბარბარე თურქესტანიშვილის, იგივე ვარია თურქესტანოვას სახელი, XIX ს.-ის რუსეთის იმპერატორის კარზე უველამ იცოდა. იმპერატორის დედის – მარია ფიოდოროვნას სეფექალი და ალექსანდრე I-ის ფავორიტი, თავად ბადურ თურქესტანიშვილის შვილიშვილი იყო, იმ დიდგვაროვნის, რომელიც რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ეს ახლდა და პეტრე I-თანაც დიაკლომატიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა.

თურქესტანიშვილების დამსახურებაზე მეტყველებს ისიც, რომ მათი გვარი 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში 81 კეთილშობილ განას შორის მეორე აღგილზე მოიხსენიება.

ბარბარე 20 წლის იყო, როცა მშობლები დაკარგა. უდედმამო გოგონას მფარველად მოევლინა იმპერატორის დედა-ქალბატონი. თავადის ასულმა თავისი კეთილი ბუნებით, გონიერებითა და მრავალმხრივი განათლებით სამეფო კარის კეთილგანწყობა მოიპოვა. მალე სასახლეში ისიც შეამჩნიეს, რომ ალექსანდრე I განსაკუთრებულ ყურადღებას იხენდა ქართველი სეფექალისადმი. როგორც ჩანს, გულგრილი არც ბარბარე ყოფილა. „ის იმპერატორი რომ არ იყოს, ვინაზრებდი, მოვწონებოდი, რადგან მე ის საოცრად მხიბლავს“, – წერდა თავის მეგობარს.

იმპერატორი უფრო და უფრო ცდილობდა მასთან დაახლოებას, ანგელიკრებდა საჩუქრებითაც. „ის, ვისაც ირჩევთ თქვენ, გირჩევთ თქვენ“, – დაწერა ალექსანდრე I-მა ბარბარესადმი სახსოვრად მიღვნილ ფაიფურის ერთ-ერთ მინიატურას. თუმცა სიყვარულის ეს ისტორია ტრაგიკულად დასრულდა. ბარბარე ცდილობდა, იმპერატორთან მისი ახლო ურთიერთობა სამეფო კარისთვის, საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დარჩენილიყო (მით უფრო, რომ ალექსანდრე I დაოჯახებული იყო).

სამეფო ოჯახთან ერთად ევროპაში მოგზაურობის დროს ბარბარემ თავი შეუძლოდ იგრძნო. აგსტრიელმა ექიმმა იმპერატორის სეფექალი ყურადღებით გასინჯა და უთხრა, რომ ის ბაქშეს ელოდება. მომავალი დედისთვის ეს თავზარდამცემი ცნობა იყო. 1819 წლის 20 მარტს განწინა გოგონა, რომელსაც მარია (მიმი) დაარქვეს. ბავშვის დაბადებიდან ორი თვის შემდეგ ბარბარემ საწამლავი დალია და რამდენიმე კვირის შემდეგ, 1819 წლის 20 მაისს გარდაიცვალა.

ამბობენ, იმპერატორის დედა, მარია ფიოდოროვნა, თავის სეფექალს ბოლო წუთებამდე არ მოშორებია და ლოგინში უგონოდ მწოდიარეს ლოცვებს უკითხავდაო. სამეფო კარმა გარდაცვალების

ოფიციალურ კერძოდ ქართველი დაასახელდა. ნამდვილი მამის ვინაობა რომ არ ბარბარეს გამოქვებული და მარია ბავშვის მამობა აღიარა თავადმა ვლადიმერ გოლიცინმა (ბარბარეს მეგობარმა).

ამბობენ, მხატვარმა ივანე კრამსკომ „უცნობი ქალი“ სწორედ ბარბარე თურქესტანიშვილის კამეას მიხედვით შექმნა. ძვირადდირებული კამეა თავადის ასულს, მისივე პორტრეტით, სიყვარულის ნიშნად მიურთმევის იმპერატორისთვის.

**თავის წიგნში რუსი ქურნალისტი – იგორ ობოლენსკი სწორედ ამის შესახებ წერს:**

„ახლა, როცა ტრეტიაკოვის გალერეაში ვარ, სურვილი მიჩნდება, მომსახურე პერსონალს შევეხმიანო და შევთავაზო, შეცვალონ პორტრეტის სახელწოდება და დააწერონ, რომ დიდი ოსტატის ტილოზე გამოსახულია საკმაოდ ცნობილი ქართველი თავადის ქალი, ბარბარე თურქესტანიშვილი, რომლის ბედისწერამაც ივანე კრამსკოს ამ პორტრეტის შექმნისაკენ უბიძგა.“



ივანე კრამსკო. „უცნობი ქალი“





ალექსანდრე  
ჯორჯიძე

თემითა ეს ინფორმაციით ღაცვისთვის ფოტო-მასაცა, ხმელიც «იაღინის» (2017 წ. №2) ჩანახილსთვის მოგვაწოდა სოხუმის ვასტანგ ჯობიერიამ, აღათ, უფრო სკანდალურია. მაგან საჭირო ჩავთვალეთ, მითი, ხმელიც უკავშირდებოდა სოხუმს, ფაქთო საზოგადოებასაც სკონდოდა.

პეტრიკაცია, ხმელსაც ვბეჭდავთ, მოგვიმზადა ვასტანგ ჯობიერიას ვაჟმა - ალექსანდრე (საშა) ჯობიერიამ. იგი გვიამბობს თავის იღი ბაბუაზე, აფხაზეთში ყონბილ ექიმ-ეპიდემიოლოგზე (1913 წლიდან) - ალექსანდრე გრიგორიასა და მისი ეპოქის სხვა საინტერესო აღმიანებზე.

ალექსანდრე გრიგორია - პროფესიონი, მედიცინის მეცნიერებათა ღოქუმი, აფხაზეთში ბალნეოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტუტის ღამასასებელი და ათეული წლების მანძილზე მისი ღიაქერმი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ეპუსაცი, აფხაზეთში «წითელი ჯვრის» გამასასებელი, 87 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ალექსანდრე გრიგორია ქათასის გებეგნილიცან იყო. გიმნაზიაში სწავლის შემდეგ ტომსაც უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი ღამათავა - იქვე გაიახა ოქინაცებას. ალექსანდრე გრიგორია საქართველოში დაინტერესდა სხვადასხვა უკლევით. მეფის ჩესეთის ერთსაც დაიოცა ექსპერიენტში. პოტკა-აჩუქერი მსახურმბელი ექიმად, თოვიქის წოდებით.

ალექსანდრე ჯობიერიას ნებიდან გვასესებს გასეინ საექინის 20-იანი წლების ერთაშემს საზოგადოების წევებს - შეხეაშიძეებს, დაიანებს, ემსვახებს, გრიგორიებს, მოქახებს, ოდენბეგებს...

ალექსანდრემ, ხმელსაც ოჯახში ბავშვობიცან ესმის იღებელი ისტორიები თავის სახელოვან წინაპეტებზე და ხმელიც თავისი გრიგორი ლიქიდური გამგებელებით, ჩერენებით შექიბა საჭირო მასაც და ფოტოებთან ეხთად მეცად საინტერესო საკითხავი შემოგვთავაზა.

საექინის უნივერსიტეტის დამწერების სპეციალისტი - ალექსანდრე (საშა) ჯობიერია ფრობს ჩამენიმე უცხოურ ენას, გაცაცებულია ხელოვნების ისტორიით, ფოტოგრაფიით, მოგზაურებით.

## ჩემი დიდი რამა ალექსანდრე (საშა) გრიგოლია - აფხაზეთში მოღვაწე უნივერსიტეტი ექიმ-ეპიდემიოლოგი

### „სულუნი წორწილი“

ალექსანდრე (საშა) ჯორჯიძია

ყველაფერი გაცნობისთანავე დაიწყო: ალექსანდრე გრიგოლიას დანახვისთანავე მოეწონა სენაკელი თავადის, სარდიონ დადიანის ქალიშვილი - მენიკი. მათ შორის გაჩენილი თბილი გრძნობა მაღა სიყვარულში გადაიზარდა. რომანტიკული შეხვედრების სახსოვრად ოჯახს შემორჩა სავიზიტო ბარათი წარწერით: „სამწუხაროა, რომ ერთმანეთს ხშირად ვერ ვხვდებით“.

ალექსანდრე გრიგოლიასა და მენიკ დადიანს ქორწილი, მათი ბედნიერების დღვე, სოხუმში, სასტუმრო „ორიენტალში“ (დღევანდელი „რიწა“) აღუნიშვნავთ.

იონა გრიგოლიას, ალექსანდრეს ბიძაშვილს, რომელიც შერვაშიძეების მოურავი და სოხუმში ერთ-ერთი გავლენიანი და შეძლებული პიროვნება ყოფილა, თავის თავზე აუდია ქორწილის ხარჯები. სუფრაზე ნეფე-დედოფლისთვის კალათებით მიურთმევია ოქრო-ვერცხლი, სტუმრების გასაოგნებლად კი მისი მითითებით სახტუმროს დარბაზის შუაგულში დამონტაჟებული შადრევნიდან წყლის მაგივრად შამპანურს ამოუხეთქავს.

უდამაზესი წევიდის „საუაუნის ქორწილი“ სხვა უხევი საჩუქრებითაც გამოირჩეოდა: იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის დედამ, მარია ფიოდოროვნამ საპატარდლოს, რომელიც მისი ნათლური იყო, 6-კარატიანი ბრილიანტით გაწყობილი ოქროს სამაჯური გამოუგზავნა (სამწუხაროდ, აფხაზეთის ომამდე დიდი ხელი ადრე მოუპარავთ; ოჯახს შემორჩა მხოლოდ ფოტო; სამაჯუროან ერთად დაკარგულა იმპერატორის მიერ ნახუქარი ვერცხლისფერი წიგნაკი, მენიკის ჩანაწერებით).

დადიანებისა და გრიგოლიების ოჯახთან დაახლოებულა პირმა, პრინცმა ოლდენბურგმა ახალდაქორწინებულთათვის ოდესიდან გამოიწერა ავეჯი, რომელიც იონა გრიგოლიამ სოხუმში ყეთებით ჩამოიტანა. ავეჯის ამწერბიც ებრაელი იუდილევიჩი, რესეტიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს. თვითონ ყუთებიც კი იმდენად ძვირფასი მუხის ხის იყო, მისგან შემდეგ გრიგოლიებმა სახლისთვის კარები გააკეთებინეს.

ოლდენბურგისგანვე იყო იატაგზე დასადგმელი ძვირადლირებული საათებიც და მოვერცხლილი სამოვარიც.

მიურატებისგან (სალომე დადიანი-მიურატი მენიკის დეიდა იყო) საჩუქრად მიიღეს ჩიტისთვალის, ამ უნიკალური ხისგან დამზადებული საძინებელი და სამეულები.



„ალექსანდრე გრიგოლია“. მხატვარი: დავით გაბიტაშვილი



სამწუხაროდ, ყველაფერი ეს და დანარჩენი სხვაც, სოხუმში დარჩა და განადგურდა. ენგელსის ქუჩაზე, №24-ში მდებარე გრიგოლიების სახლს 5-ჯერ მოხვდა ჭურვი.

## პერი დალიანი - სუკო პროცესუანტი

მენიკ დადიანი პროგრესულად მოაზროვნე ქალი იყო. შეძლებული მამის შვილს ქუთაისის გიმნაზიის შემდეგ პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი დაუმთავრებია. თავიდანვე გამოირჩეოდა გაბედულებითა და პირდაპირობით.

ყოფილი ასეთი შემთხვევა: სარდიონის ოჯახს სტუმრობდა სადამსჯელო ექსპედიციების უფროსი, ცნობილი ჭალათი ალექსანდრე ნავარსკი. მენიკის ოთახში შემთხვევით შესულ ნავარსკის მაგიდაზე მარქსის „კაპიტალი“ დაუნახავს.

ნავარსკის მენიკისთვის ირონიულად უკითხავს:

- თავადის ქალო, ნუთუ ვერ ხვდებით, რა ცეცხლს ეთამაშებით?
- თუმცა ეს ამბავი ნავარსკის რატომდაც არ გაუხმოვანებია.

რევოლუცია მენიკ დადიანის მოელი სანათესაო დააზარალა, შეიწირა ბევრი მისი ახლობელი – დადიანების, ჩიქოვანების, დებულებების გარიდან. სიკედილს ძლივს გადაურჩა მენიკის მმა გრიშა, მეფის ოფიცერი, რომელსაც თავში კონდახი ჩაარტყეს. უგონოდ მყოფი მენიკის მმა გლეხის ქალმა იპოვა და გადარჩინა. ეს ისტორია მათი ქორწინებით დასრულდა.

გრიგოლიების ოჯახს ახლო ურთიერთობა პქნონდა ამბორსი ხელაიას ოჯახთან. ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ გეიმანის (ენგელსის) ქუჩაზე („აფხაზეთში ქართული საზოგადოების“ თაფჯჯდომარის, ამბორსი ხელაიას არაოფიციალური მდივანი ალექსანდრე გრიგოლია ყოფილა).

ამბორსი ხელაიამ მონათლა გრიგოლიების ორივე შვილი – მეგი და ვახტანგი, რომელიც 12 წლის ასაკში „ისპანეთი“ გარდაიცვალა. ვახტანგის დაქრძალვაზე ამბორსი ხელაიამ წარმოქვა სიტყვა, რომელიც უურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა.

შვილის გარდაცვალებისას მენიკ დადიანმა გონება დაკარგა, წაიქცა და ხერხემალი დაიზიანა. მოელი წელი საწოლს იყო მიჯაჭვული და ამის გამო საბოლოოდ ჯანმრთელობაც შეერყა. ერთ დროს მაღალი ქალი წელში მოიხარა.

მაგრამ მენიკი, სულით ძლიერი ქალი იყო. მოელი ცხოვრება აკრიტიკებდა საბჭოთა წყობას, ანგარიშს არ უწევდა მათ ხელისუფალთ, პროტესტის ნიშნად ქალაქშიც კი არ გადიოდა. მხოლოდ ზოგჯერ მანქანით თუ გაემგზავრებოდა სტუმრად დასთან ოქუმში, სოხუმში ცნობილი დასტაქრის, გიორგი (ჟორა) გმხვარის დედასთან.

მენიკი თავის შესაქცევად ლექსებს რომ წერდა, იქაც აბუჩად იგდებდა საბჭოთა წყობას. განსაკუთრებით, ხრუშჩევის პერიოდს, თუმცა ქმარმა ჩანაწერები გაუნადგურა, ამას კი არ გვაპატიებენო. მოსკოვში სასწავლებლად წასულ თავის შვილიშვილს, ვახტანგ ჯორჯიების დაუბარა: იცოდე, გავზოლეუმში თუ შეხვალ, სახლში არ დაბრუნდეთ.

## კავკის შემოს მაჭანიცე

ლავრენტი ბერიას თავისი შვილისთვის, სერგოსთვის მოსწონებია გრიგოლიების ქალიშვილი მეგი. ოჯახში მოსალაპარაკებლად გაუგზავნია გენერალი ვარლამ ქაქუხაია და კრემლის კომენდანტის მოადგილე, კიჭო გაგუა. ალექსანდრე გრიგოლია პირდაპირ პასუხს მორიდებია და უთქამს: ვნახოთ, მენიკი რას იტყვისო. კიჭო გაგუასაც თავი მოუწონებია, მენიკისთვის უთქამს, მახარობლები ვართ, ბერია თავისი შვილისთვის ასულის ხელს გოხვოთო.

მენიკი არც დაფიქრებულა, მკახედ წამოუდახია: როგორ, მედროგის შვილს გავაყოლო ჩემი ერთადერთი ქალიშვილი (ბერიას მამა ფაეტონებს აქირავებდა თურმე!).

მაჭანკლებს ელდა ეცაო, რას გვიშვებით, გვდუპავთო? თუმცა მენიკის სიტყვები არ გაახმოვანეს, ბერიას სხვა საპატიო პასუხი მიუტანეს და ამით თავიც გადაირჩინეს.

„Настоящие хамы“, იტყვოდა თანამდებობებზე შემთხვევით წამოსკუპებულ საბჭოთა ადამიანებზე, რომლებიც დრომ წამოატივებივა და, მისი წრისგან განსხვავებით, უკვე თვლიდნენ, რომ ელიტას, ე.წ. ნაღებ საზოგადოებას ისინი წარმოადგენდნენ.



ალექსანდრე გრიგოლია (შუაში) ოჯახთან, ახლობლებთან ერთად



მენიკ დადიანი და ალექსანდრე გრიგოლია



**მენიკ დადიანი და ალექსანდრე გრიგოლია  
(შუაში) მეგობრებთან ერთად**

მენიკ დადიანი და ალექსანდრე გრიგოლია  
(შუაში) მეგობრებთან ერთად

## არივი ძმა მახვილისა

ალექსანდრე გრიგოლიას ორი ძმა ჰყავდა: მექი (მელქისედეკი) და რაჟდენი.

რაჟდენმა, პროფესიით ადვოკატმა, 1924 წელს ოქუმში თვითმკვლელობთ დასრულდა სიცოცხლე, რადგანაც იცოდა, რომ აუცილებლად მასაც მოაკითხავდნენ.

რაჟდენის მეუღლე ეკატერინა ალექსანდრეს ასული მანდრიკა, წარმოშობით კაზაკი, იყო იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნას ფრეილინა.

უფროსი ძმა, მექიც, ადვოკატი იყო. იმსანად მოხდა ასეთი რამ: ბათუმის პორტში მდგარ იტალიურ ხომალდს დაეჯახა საბჭოთა გემი. იტალიურმა მხარემ ადვოკატად მექი გრიგოლია აიყვანა. ადვოკატმა პროცესი მოიგო, რისთვისაც იტალიურებმა დიდი გასამრჯელო მისცეს, რაც არ აპატიეს „წითლებმა“, თანაც იყო 1938 წელი. თავის დროზე მექი აფხაზეთის მენშევიკურ-ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. ესეც გაუხსენეს... და დახვრიტეს.

მექი გრიგოლია პირველი ქართველი იყო, ვინც ქართულად თარგმნა დიმიტრი გულიას ლექსები.

## პრინცი ალექსანდრე გავრიში

საქართველო თავისი მდიდარი ენერგეტიკული, პიდრომინერალური და ბიოკლიმატური რესურსებით მრავალ მეცნიერებს იზიდავდა. ამ მიმართულებით 1875-76 წ.წ.-ში აფხაზეთში ექსპედიციები ჩაატარეს რუსმა მეცნიერებმა, პრესაში დაიბჭედა მათი საინტერესო გამოკვლევაც.

უკვ 1915 წელს პრინცმა ოლდენბურგმა, რომელიც ძალიან იყო დაინტერესებული აფხაზეთის, კერძოდ, გაგრის საკურორტო პოტენციალით, თავისთან სათაბიროდ მიიწვია სოხუმში მოღვაწე, მაშინ ძალზე ახალგაზრდა ექიმ-ეპიდემიოლოგი ალექსანდრე გრიგოლია და დაავალა, შეესწავლა რეგიონში არსებული პიდრომინერალური რესურსები.

პრინცს მხარში ედგა სამეფო კარის კამერპერი,\* გენერალი გიორგი შერვაშიძე, ნიკოლოზ II-ის დედის, იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას მეორე ქმარი.

პრინცმა ოლდენბურგმა აფხაზეთით ჯერ კიდევ წლების წინ დააინტერესა სამეფო კარი, მთავრობისგან მიიღო ფულადი დახმარება და იმდროინდელ გამოჩენილ მეცნიერებთან და მკვლევარებთან ერთად გაგრის სანაპიროს ხომალდით მიადგა.

ოლდენბურგმა თავის თავზე აიღო გაგრის კეთილმოწყობა, მისი გადაქცევა მაღალი საზოგადოების კურორტად, „რუსულ ნიკად“. გაგრამ პრინცის ყურადღება მიიქცია როგორც განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის, ასევე, გამორჩეული კლიმატური პირობების გამო.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე გრიგოლია ოლდენბურგის შემოთავაზებამდეც, დიდი ხნით ადრე, იკვლევდა აფხაზეთში არსებულ ბუნებრივ წეაროებს, მათ თვისებებს, საკუთარი სახსრებით აწყობდა ექსპედიციებს. პრინცთან შეხვედრის შემდეგ კი უფრო მოტივირებული ალექსანდრე გრიგოლია ახალი ენერგიით შეუძგა პიდრორესურსების შესწავლას.

საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთის საკურორტო რესურსების ათვისებისთვის ალექსანდრე გრიგოლიას გარდა მუშაობაში ჩართო სხვა ადგილობრივი მეცნიერები, მათ შორის, ქართველი ექიმები ნიკოლოზ რუსებამე და პეტრე ჯაფარიძე.



**მარცხნიდან: ალექსანდრე გრიგოლია, ლავრენტი ბერია, ნიკიტა ხრუშჩოვი (ექსპედიციაში)**

## „აფხაზეთის მორგანი“\*\*

მაშინდელი აფხაზეთის დაბლობები თითქმის ჭაობიანი იყო. ხალხი იტანჯებოდა და იხოცებოდა მალარიით, ტოვებდა ვაკე ადგილებს და მთებს ეხიზებოდა.

მოსკოვში იყო მაღარიის ინფექციურ დაგადებათა ცენტრი, საიდანაც იმართებოდა დანარჩენი რეგიონები. მაღარიასთან ბრძოლის საქმე აფხაზეთშიც დაიძრა.

ქართველი ექიმები უშალოდ საოლქო კომიტეტის მდივანთან, ნესტორ ლაგობასთან თანამშრომლობდნენ.



ამ წლებში აღექსანდრე გრიგოლიამ აფხაზეთში დააფუძნა „წითელი ჯვრის“ საზოგადოება და დიდი ხნის მანილზე, ფაქტობრივად, თავად უძღვებოდა საქმეს. აღექსანდრე ლუკიო, როგორც გრიგოლიას ეძახდნენ, თავს არ ზოგადდა, რომ აფხაზეთში მაღარია დაემარცხებინა.

ქინაქინა, რომელიც მთავრობას საზღვარგარეთიდან ოქროს ფასად ჩამოჰქონდა (ჯერ თბილისში, შემდეგ სოხუმში), თითოეული მცხოვრებისთვის უნდა მიეწვდინათ.

„ალექსანდრე გრიგოლია ადიოდა მაღალმთიან სოფლებში, ისეთ მიუვალ ადგილებშიც, სადაც ასვლას მილიციაც ერიდებოდა. თავდადებულ ექიმს მოსახლეობისთვის საკუთარი ხელით მიპონდა ესოდენ ძვირფასი და სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი წამალი“, – ამბობდა მასზე ნებტორ ლაკობა.

მართლაც, აღექსანდრე გრიგოლიას ძალისხმევამ მრავალი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს.

ნიკოლოზ რუხაძემ იტალიიდან სპეციალური ბალონებით ჩამოიყვანა გამბუზია (თევზის სახეობა), რომელიც მაღარიის გადამტან კოლოს ანადგურებდა.

მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ მაღარია აფხაზეთში დაამარცხეს, რაც სახელმწიფოსთან ერთად აღექსანდრე გრიგოლიასა და ნიკოლოზ რუსაძის დიდი დამსახურებაა.

„გრიგოლია აფხაზეთისოთვის იგივეა, რაც ამერიკისოთვის მორგანი“ — ამბობდა ნესტორ ლაპობა.

չափութեան բաշխութեան առաջարկին

სოხუმში, ენგელსის ქუჩაზე არის სახლი, სადაც ცხოვრობდა და იღწვოდა ცნობილი კურორტოლოგი, საქართველოს ბალნეოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის განყოფილების დირექტორი, სოხუმის კურორტოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი ალექსანდრე გრიგოლია. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც შეისწავლა აფხაზეთის სუბტროპიკული კლიმატი, ასენი და დაასაბუთა, რომ მთისა და ზღვის პაგის კონტრასტული ნაზავი სასარგებლობა ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით, გულით ავადმყოფებისათვის; რომ სოხუმი უნდა იქცეს ბალნეოლოგიური კურორტების ცენტრად.

პროფესორმა ალექსანდრე გრიგოლიამ აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინა 125-ზე მეტი მინერალური წყარო, მათ შორის, მარტო გუდაუთაში 24 უნიკალური თვის სებების მქონე მინერალური წყალი. მისმა საექსპედიციო ჯგუფმა ცდები ჩაატარა აუდპარისა და ზვანდრიფშის წყაროებზე. დასკვნა იყო ასეთი: ზვანდრიფშის წყარო ქსოვილს ავიწროებს, ხელს უშლის მის აღდგენას, აუდპარის წყალი კი პირიქით – ხელს უწყობს ქსოვილის განვითარებას.

არაერთგზის ჩატარებულმა ცდამ ცხადყო, რომ აუდიტარის წყლით განზავებულ პლაზმაში მოთავსებული კურღვლის გული 24 საათის შემდეგ ფერჭასა და შემდეგ რეგენერაციას იწყებდა!

XX ს-ის 30-40-იან წლებში თვით სტალინი იყო დაინტერესებული აფხაზეთის კურორტებით. დადგენილებაც მიიღო აფხაზეთში საკურორტო ქსელის გაფართოების შესახებ. ამ საქმეში ლავრენტი ბერიაც ჩაერთო.

კურორტოლოგიაში მიღწეული წარმატებისთვის უპარტიო (პარტიაში პრინციპულად არ შედიოდა) ალექსანდრე გრიგოლია სტალინურ პრემიაზე წარადგინეს (მედალი მიიღო, ფული კი ვერა, რადგან სტალინი მაღლე გარდაიცვალა და ხრუშჩევია გააუქმა მისი დადგენილება).

ალექსანდრე გრიგოლია სიცოცხლის ბოლომდე დაუდალვად შრომობდა სხვადასხვა სფეროში. მისი გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის კურორტოლოგიის ინსტიტუტში ნაწილობრივ შეჩერდა სამეცნიერო-პალეოითი სამუშაოები. ზემოთ სენინგლი წყაროებიც თანდათან დაიკარგა და დაჭაობდა.

ალექსანდრე გრიგოლია არახოდეს დალატობდა პიონერატეს ფიცს. როდესაც აფხაზეთში გერმანელი ტყვეები იყვნენ, უანგაროდ მკურნალობდა მათ. საერთოდაც, მთელი მისი ცხოვრება ენთუზიაზმზე იყო აგებული. „ფული ხელის ჭუჭყაო“, – იტყოდა ოურმე. ყველაფერზე წინ ადამიანის სიცოცხლეს, პატიოსნებასა და დირსებას აყვნებდა.

თამაბად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში კურორტოლოგია, პიდრო-მინერალური და ბალნეოლოგიური დარგები, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, ეს, უცილესად, ჩემი დიდი ბაბუის, პროფესორ ალექსანდრე როგოლიას დამსახურება იყო.



ალექსანდრე გრიგოლიას მიერ დაბარსებული  
სოხუმის კურორტოლოგიის სამეცნიერო-  
პალეოგითი ინსტიტუტი



Կայուն է պատճենը, առաջ է գալիքը, առաջ է պատճենը:

696 ხანელის

...ვისაც გამდიდრების სურვილი არ აწესებს, ქილა  
ბო პოვნისთანავე შემოყვარება.

...ბევრი აძლევს თავს უფლებას, სხვას ჭკუა ასწავლოს,

რადგან ჭეშა არ ჰყოფნის, სხვის ცხოვრებაში არ ჩაერიოს.

...რაც უფრო ვფარავთ ნაკლს, მით უფრო შესამჩნევი ხდება იგი.

...რა თხელ ყინულზე დგას ის, ვისაც ახალგაზრდობა და სილამაზე საიმედო კაპიტალი ჰგონია.

...ისე ნუ ვიზამთ, ფრენის გადამეტებულმა სურვილმა სული დაგვიმძიმოს.

...ყველა შეცდომის სათავე საკუთარ თავზე ჩვენი წარმოდგენებია.

...ვინც დინებას ნაფოტივით დაბლა მიჰყვება, არც აინტერესებს სათავის ამბები.

...როდესაც სინდისს უფლებას ვაძლევთ, რაღაცებზე თვალი დახუჭოს, არ გაგვიკვირდეს, თუ მალე წაძინება მოინდომოს.

...შური ჩვენში მცხოვრები ცხოველია: ვკვებავთ – გველეშაპად იქცევა; ვაშიმშილებთ – მღილივთ იდარღილებს ჩვენში.

„უგუნდური კაცის ბუნებაა: უკვდავებაც ლოთისაგან კი არა, მოკვდავი ადამიანისაგან სურს, მიიღოს.

...უპირველესად, ჩვენს სულს შია, სცივა, სწყურია, ეკონომიური მხარე მხოლოდ ამძაფრებს ამ შეგრძნებებს.

...ესეც ოვალის სურვილისგან არის, თორებ თუ სულიერს ვესწრაფვით, რად ვეჯიბრებით მატერიალურით გატაცებულებს.

...ყველას არ შეუძლია, კარგად წეროს, მაგრამ ყველას შეუძლია, წეროს გულწრფელად.

კუნძულობთ ყველის შენყარების ნერინეში

...ეწყლო ღრუბლის ხეტიალს პგავს წმინდა სულის გარეშე ვითომ დკონის გზით სიარული.

...სიკვდილით რატომ გამოვისყიდო ჩემი სული, თუკი სიცოცხლით შემიძლია მისი შეძენა?

...თუ დავშეგვირდებით, საოცარ დროში, უფლის შეწყალების წელი ადგი ვცხოვობთ.

...საოცარია: მკვდრეთით აღმდგარი იქნო არაფერს ჰყვება საიქო ცხოვრების შესახებ.

...մարդունք սրպլութեա, ռուց գմերտ զշմեցոծրութեա.

...წარმომიდგენია, რა ძნელი იქნება განკითხვისას მისი გაქცევა, ვისაც შველა და ქველაფრი ვასებზე ჰქინია.

...რატომ ველოდებით ადამიანისგან იმის გაკეთებას, რაც მხოლოდ ღმერთს  
ხელმძღვანელობა?

...ბეღნიერებაა, თუ დვოის სახლი მიგაჩნია მშობლიურ სახლად, სადაც სიყვარულს მიჰყავხარ და არა მოვალეობას.



...როდესაც ადამიანებმა თვითონ დაიწყეს შექმნა, დაიჯერეს, რომ კოვლისშემძლები არიან და დაიგიწყეს თავიანთი შემოქმედი.

...ამაღლ ცდილობს ქანცგაცლილი კავობრიობა, ადამიანური გულისთქმებით ახსნას, თავისად მოირგოს დვთის სიტყვა. დვთის სიტყვას ვერ იტევს ადამიანური ვნებები. დვთის სიტყვა დვთის წმინდა სულიო აიხსნება მხოლოდ.

...დევოის რწმენაც კი თუ ყოველწამიერად არ ახლდება, თუ სხეულში სისხლის მიმოქცევასავით უწყვეტი არ არის ღმერთთან ურთიერთობა, რწმენაც თანდათან ნელდება, სუსტდება და, ბოლობოლო, ინავლება, ქრება საერთოდ. დვითის რწმენა ცოცხალი პროცესია, განგრძობადი, სუნთქვასავით აუცილებელი, განახლებადი და შეუძლებელი.

...რა ვქნათ, ვისაც ბრმად სწამს, მაგრამ ნუთუ ასე სასურველია ბნელში სიარული?

„ბედნიერნი არიან სულიერს მოწყერებულნი“. ბევრს სულიერება მარტო მწერლობა, ოვაცრი და, ზოგადად, ხელოვნება, მისადმი ღირებულება პერსონა. ყველაზე დიდი სულიერება კი გვთის გზების ძიება, ღვთის მცნებებით ცხოვრება.

...ქრისტემ თქვა, ხე ნაყოფით იცნობაო. არ უთქვამს, ფესვებით, ვარჯით ან ფოთლებით, მით უმეტეს, ყვავილებითო. ნაყოფით, მეგობრებო, ნაყოფით, ჩვენი კეთილი საქმეებით.

საზოგადოება მართვულიანი ფუნქციურითა

...პოეტობას მორწმუნის მოთმინება სჭირდება.

...ღრუბელზე უფრო იმკითხავებ, ვიდრე მიხვდები, ეჭვიან კაცს რა ეწყონება და რა გაუხარდება.

...დაღლილისთვის ფიცარნაგიც ბუმბულივითაა.

...ფანატიზმი სიყვარულსაც ამახინჯებს.

...სიღარიბე და სიმღიდოვნე კი არ არის ნაკლი, ნაკლი სიძუნწევა და გაუმაძღვრობა.

...რაღა სიარულისას ხელების უშნოდ ქნევა და რაღა წერისას ზედმეტი სიტყვების რახარუები.

...უზრდელთან ურთიერთობასაც ისევე უნდა ერიდო, როგორც ცოფიან ძაღლთან ალერსს.

...ყვარყვარიზმს რა დაასრულებს: ყვარყვარე ხომ თავად წუთისოფელია.

...საზოგადოებას სასჯელად ევლინება საშუალო ნიჭისა და დიდი ამბიციის მქონე ადამიანი და... ტესტადაც.

...შეიძლება, ვერც სიბრძნემ მოგიტანოს ფული და ვერც სიყვარულმა, მაგრამ სიბრძნე და სიყვარული უკვე სიმდიდრეა.

...ხშირად გვიჰირს გახსენება ერთ დროს ცნობილი სახეებისა, ქვეყანას რომ აზანზარებდნენ და გვეგონა (მათაც უგონათ), არასოდეს დავივიწყებდით. ესეც შენი წარმავლობა!

...თუ გინდა, ოჯახის სრულფასოვანი წევრი იყო, ნუ იცხოვორებ საკუთარ სახლში, როგორც მდგმური.

...საზოგადოება მაღალქუსლიიანი ფეხსაცმელივითაა: გაიძულებს, სულ გამართულად გეჭიროს თავი.

...յոշեցն յիշելու մռմյեսազո թռչածոնեա, տազու  
ձագյթո ցածած մեսեցրածո. Տուրուալյուր յիշելցեսաց, այս  
շոյովքը, ոցոց ջանձու այցե, ճամաարեցելցեծ յո ոցոց  
մոխանո. մատ յայտ եռծ ճամանուս և յալցենց մռնածորյ  
շմայտ դցաս, ռոմելուց մուլ զորթյալյուր սամյառու





ზურაბ სოტეკილავა

«იაქწის» მეიოთხვეებს შეკახსენებით, ჩმდ წინა ნომერში ღაიპერაზ მსოფლიოში აღიახებულ ქათვეები ეხამაცეო უწოდის, ზეას სოცეტიავას 80-წლისთავისამზ მიძღვნილი ჰებრიუაცია. წერილის ავტორი სოხუმის სოემერი ბერძენი წიურალი კონსაკუინილი (ომის შემღება ათენში მცხოვრიში), ზეას სოცეტიავას სოუმის მეგობაში.

ეჯინაის მხ ებზემცდაში ღაბეჭვისთანავე გავეგზავნით მოსეუმში მქონება ჩვენს სახელმძღვან თანამემამეცს (გვიშავმებომდა მომლების ესტონება მეგობარა, კონსერვაციონის პროცესობრივი მემკვიდრეობა). ბაქონის ზექაბამ მაღილების ნიშანი ეჯინაის ეხოთ ებზემცდაში აკომბინიროთ ეკანვე გამოგვიგზავნა (ჩელიუ ტესტს ესტონისთვის ბორიშის შემოგვითვაც). «იაკენის» ეს ნომერი, საკახაებოდ, ბაქონი ზექაბის ეკანასკნელი აკომბინიროთ, ჩელიუ ტესტი ძვირდას ჩერიქვიად ღარიბა.

ბერინება ვაკვლით თავს, ჩოდ ჩვენს გამოწენიდ თანამემამეცეს სიცოცხლის ეკანასანერი ღლები გავერამაზეთ; «იარქანიან» ერთა ბავშვობის ტემინილი ქადაგი მას მოაგონა სოსემერა აღესანდება ჭანუქითა, ვის სიცოცხლას იყო პატივი იყო სოციურიავს თბილი ოჯახში სუვერენი და ექინარის გაღაცევა.

- იმ ღლებს, შეხვერხაზე ჩრდილო გამთანხმდა, ჩემი სოხუმიული ასაგზის ამაყი ვიყავი, სუსენტებს ამეცავინებს, მოთხეს და ცოტა ხნით სასეუქმი მომინი ღოლინი. მოთ უფრო ავლელი, ჩილა კახები გაიღო და ბატონი ზეჲაბი ჩემეკ მძიმე ნაბიჯებით, ხმაზე ღაყინობილი ნამოვება. მომიბორისა კიდეს, შეეძლო ვეგძნობ თავს და ქვედებების მასპინძლობა ვეჯ გამომივა. მაშინ ვეჯ წარმოვიდგნი, ჩრდ შეხვერებინა ძალიან მაცე მოხდებოდა უკედაზე ეკახეს. მათიცაც, ვიზიუდინა ათ ღლეში, 2017 წლის 18 სექტემბერს, სახეოვანი მაესტრო ეკვე აღსა იყ. გამოასვენეს ღირი თეატრიდან, განსხვავებული ხანგძლივი კაშით. აქემდებები მაუქებლებს შმინს მეც ვიყავი, - დვიამბო ბატონმა აღესანიჩე ჭანებულა.

არსებული მონაცემებით, ტეხურის, ხობისწყლისა და მაგანას მდინარეთა აუზების მაღალმთიან აღგილებში მრავალია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ენდემური ცხოველი (მურა დათვი, ტყის კატა, გარეული ღორი, როჭო, კავკასიური შურთხი...).

სამეცნიეროში გავრცელებულია ამფიბიების 9 სახეობა, რომელთაგან 4 კავკასიის ენდემური სახეობაა.

სულ ახლახან ჩხოროწყუს მდგომებში აღმოჩინეს უხერხემლო ცხოველების 4 ახალი სახეობა, ობობასნაირებისა და კიბოსნაირების წარმომადგენლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ისევ ელის ახალ-ახალ აღმოჩინებს.

აუცილებელია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, რათა გადარჩეს ფლორისა და ფაუნის ის იშვიათი სახეობები, რომლებიც ბუნებაში ადამიანის უხეში ჩარევისა და კლიმატური პირობების, ეკოლოგიური ბალანსის მკვეთრი ცვლილებების შედეგად საფრთხეშია.

მაგრამ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობების ბუნების მშვენიერებისა და მასში მიმდინარე პროცესების აღქმას, დანახევას.

P.S. ყველა, ვინც ამჩნევს გაზაფხულის ღამაზ ფეხებსა და შეიგაძლის მის სუნერს, ვისაც ესმის შაშვის გაცობა და მეჩების ჭიჭიკი და უჯს უგებს მას, ვინც ხედვს, ჩა მონომებით სუსტობს ფუსტაში ხან ეხო, ხან მეორე ყვავილს და მეხე ჩა თავდაუხოგავად შემობს, ვინც აუვიხება, ყვავილის ნასაკი ჩოგონი იქცევა ღოყანითებ ვაშლად, ვინც ამჩნევს, ჰასახა, მოჩაქახა ნაკარელი ჩოგონი გახდასახება აქაფებები მღინახება, ამ სამყალსგან ბოძებელი სიკეთის ფასი სწორე მათ იყინა და ემაღლებიან კიდეს ამისთვის ბუნებას.



ლვინა



ჯადვარი



კავკასიის წყალიკრეფია



სერგო წურწუმია

"ეხთსა კაცსა ეყოფოდის, ღიღებანი ჩმე მჭიდება", - აღბათ, მაინც ჩესტაველის სტანდარტით ენდა ღავინყოთ საჯაში.

ჟუბლიკაცია, ჩმელსაკ მყითხველი ბაეცნობა, ექსელუზიუხა ნაჩმაჩენს ბევრისთვის უწოდი, მაგამ, მასთაც ჩმე, ლისეული პირებისა და მოლვანის ამაგბა.

XIX ს.-ის ბოროს საბექძნეთის პატარა ქარაჯ აჩაკაუში\* დაბალებელი, მეჩე კი საქათველოში, უქმდო, სოხუმში სამედამო ემიგრაციის დამკვირებელი ემანუელ (მანოლისი) მისაფილის ქოვების გზა საინტერესოყოფა და შემოქმედებითიც, სევილიც და ნინალმებობებით სავსეა.

მნიშვნელოვანი მაინც ისაა, ჩმე მის სახელსა და ლვანის უკავშირება ჩესტაველის პოემა - ემანუელ მისაფილისიმ მშობლიური ბექძნები ენაზე ამეცუველა "ვეფხისუყაოსნის".

საქათველოში ამაზე ღიღები და საპატიო შემოქმედისთვის სხვა ჩა ენდა იყოს?

მაგამ იგი მხოლოდ ახდა, მხოლოდ 50 წლის შემდეგ, ისიც ჩესტაველის 850-ე წლისთავის საიუბილეო გამოიყავა და ფახით საზოგადოებამაც შეისყიდა ამის შესახებ (მთაგმნელი გაჩეაისვადა 1974 წელს, სოხუმში).

2016 წლის 6 დეკემბერს საქათველოს პარამენტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეღა "ვეფხისუყაოსნის"

ბექძნების თახმანის ნახევინება.

ამ მასთაც ჩმე ისურაჟელ ლონისტიკას მჩავაც სტემათან ეხთად თბილისში საგანგებოდ ჩამოსელი გამომცემელი - გჩიგმის ექიმაკავშირი ესწებოდა.

მაინც ჩა მოხდა, ამდენი ხნით ჩა მ შეაფეხს უკვე თაგმილი "ვეფხისუყაოსნის" წიგნად გამოცემა და 50 წლის შემდეგ ვინ იზეუნა იმისთვის, ჩმე ერინე ენაზე გვქონდა (პირველი) ჩესტაველის უკვლავი პოემა?

ჟუბლიკაცია იმაზეა, ჩა დაინუ სოხუმში, გაგებელის წლების მანძილზე, მეჩე დასხელდა ათენში და იმაზეც, ჩმელ ნაბიჯ-ნაბიჯ "ისახ" ამ ღიღები და ჩოტი ჩვენი წერილის აკუმაბაც, მჩავარმხივმა შემოქმედა, ჟუბლიკისტმა, პოემა, მთაგმნელმა, ექინად "განთიადის" პასუხისმგებელმა მღივანმა - ბაჟონმა სეჩენ წერილმა.

## კიბუკ ერთი „ვეფხისუყაოსანი“

სერგო წურწუმია

### ცისფერი სარკის ჟურნალი

ზის მოხუცი სოხუმის სანაპირო სკვერში, გასცემრის ცისფერი სარკის თავზე გაწოლილ შორეულ სივრცეს და ზღვის სურნელებით გაჯერებული პაერის ქროლვას თითქმის შვიდი ათეული წლის წინანდელ არტაკეში გადაჰყავს... კონსტანტინოპოლის სიახლოვეს, ბოსფორის ზურმუხტოვანი წყლის მოსარკეულ ზედაპირზე არეალილ, ზღაპარივით ქალაქში...

ქალაქში, სადაც მისი ბედნიერი, უზრუნველი ბავშვობის წლებმა ჩაირბინეს... სადაც სვებედნიერად იზრდებოდა და-მებთან ერთად...

შორს დარჩა ყოველივე. ბედმა ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში მიმოფანგა მისი ოჯახის წევრები და უმეტესნი უკვე ცოცხალთა შორისაც ადარ არიან. თავადაც ბევრი რამ იწვია და ბოლოს მაინც მშობლიურადქცეულ ამ ქალაქში დასახლდა. მერე შვილები, შვილიშვილები, სკოლა, საყვარელი საქმე, თეატრი, მწერლობა... შორეული ყაზახეთის სტეპებში გადასახლებაც გადაიტანა.

ის კი ამშვიდებს, რომ, როგორც იქნა, მრავალწლიანი მძიმე შრომა გაასრულა და დიდი ხნის ოცნება აისრულა; რომ ელინთა ენაზე აამეტყველა უკვდავი შოთა რუსთაველის პოემა - ქართველი ხალხის ისეთივე მარადიული სულიერი საზრდო, როგორიც პომეროსის პოემებია მისი მშობელი ბერძენი ხალხისათვის.

ორიოდე თვეში, სასიკვდილო სარეცელზე მყოფს, მიართვეს წიგნად შეკრული, მანქანურად ნაბეჭდი ეგზემპლარი...



მანოლის მეტაფიდისი (შუაში)  
მეგობრებთან ერთად. სოხუმი, 1960 წ.



## შორეული არცავებან სამუდამო ემიგრაციაში

1893 წლის 30 დეკემბერს შორეულ არტაპეში, ბოსფორისპირა კოპტია ქალაქში, ოქონოროს მიტაფიდისის თჯახში კიდევ ერთი ვაჟიშვილი – ემანუელ (მანოლის) მიტაფიდისი მოევლინა ქვეყანას.

თეოდოროსი მეღვინეობასა და აბრეშუმის მოყვანას მისდევდა და იმდენად შეძლებული კაცი შეიქნა, რომ საკუთარი ბარეა შეიძინა და ევქსინის პონტოს გადაღმა, რუსეთის იმპერიის ზღვისპირა ქალაქებშიც, გაიჩინა საქმე. თვით კონსტანტინოპოლში რამდენიმე ადგილას სთავაზობდნენ გურმანებს მიტაფიდისის ჩამოსხმულ ღვინოს.

მალე ეს წარმატებული მრეწველი საკუთარი ქალაქის მერად დაადგინეს და თეოდოროსი მეუღლესთან, ელენე გუნარისთან, გამჭრიას, ცოდნის დამფასებელ ქალთან ერთად წარმატებულად წარუდღვა სამი ვაჟისა და ორი ქალიშვილის აღზრდა-განათლების საქმეს.

მანოლისი გონებაგახსნილი, ნიჭიერი, სწავლისმოგარე ყმაწვილი შეიქნა და კონსტანტინოპოლში წარმატებით დაასრულა იმ დროის ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლებელი – ლიცეუმი „ზოგრაფიონი“. თავისუფლად ფლობდა ფრანგულს, თურქულს, კარგად იცოდა ლათინური და ძველბერძნული ენები, პომეროსს დედაში კითხულობდა. წერდა ლექსებს, ხატავდა, მუსიკით გატაცება კი, საერთოდ, ოპერის სიყვარულში გადაეზარდა.

1913 წელს, ოცი წლისა, ოდესაში მცხოვრებ ბიძებთან ჩავიდა. მალე რუსულ ენაზე თავისუფლად მეტყველებდა.

1915 წელს, მამის ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო. იქ დაიწყო ანგონ ჩეხოვის, ივანე ტურგენევისა და სხვა რუსი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნა მშობლიურ ენაზე. თარგმანებს ადგილობრივ ბერძნულ გაზეთებში ბეჭდავდა.

თურქეთში ბერძენთა შევიწროება გახდა ემიგრაციაში მანოლისის წასვლის მიზეზი. ჯერ თდესაში, მერე ბათუმში, ბოლოს კი უკვე დაქორწინებული, მეუღლესთან, ელიზავეტა კოკასთან ერთად (ტრაპეზუნდიდან ბათუმში ახლადგადმოსახლებული) სამუდამოდ დასახლდა სოხუმში.

ეს იყო 1925 წელს.

აზანთაში (გულრიფშის რაიონი), სადაც დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა (მუშაობდა ბერძნულ სკოლაში), შეეძინათ შვილები – თეოდორე და ელენე. ბერძნული ენისა და ლიტერატურის პარალელურად სოხუმის სხვადასხვა სკოლაში ასწავლიდა ისტორიასაც, ფიზიკასაც, მათემატიკასაც.

ამასთან, 1927-38 წლებში ბერძენ დრამატურგთან და რეჟისორთან, ფეოდორ კახონიდისთან ერთად თავისი მოკრძალებული წვლილი შეპქონდა ბერძნული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. და კიდევ: მანოლის მეტაფიდისი აქტიურად მონაწილეობდა სოფელ აზანთაში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებში. მეცნიერებმა სწორედ მისი დახმარებით ამოიკითხეს იქ აღმოჩნდილი უძველესი ბერძნული ნივთების წარწერები.


XX ს.-ის 50-იან წლებში მეტაფიდისების თჯახი, სხვა ბერძნებთან ერთად, გადაასახლეს შუა აზიაში, საიდანაც 7 წლის შემდეგ დაბრუნდა. შევლაფერი თავიდან იყო დასაწევები, ცხოვრებაც და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობაც.



მანოლის მეტაფიდისი  
სკოლის მოსწავლეებთან ერთად.  
სოხუმი. XX ს.-ის 30-იანი წლები



მანოლის მეტაფიდისი სოხუმის ბერძნული  
თეატრის მსახიობებთან ერთად.  
XX ს.-ის 50-იანი წლები



მანოლის მეტაფიდისის ხელნაწერი.  
ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნიდან“

ამ დროიდან თარგმნის რუსულ ენაზე ბერძნული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს; სოცემის აღდგენილ ბერძნულ თეატრში დგამს (უკვე რეჟისორის რანგში) არაერთ საინტერესო სპექტაკლს.

75 წლის ასაკში აიხდინა ცხოვრების სანუბგარი ოცნება და თავის ისტორიულ სამშობლოში – საბერძნეთში იმოგზაურა.

1974 წლის 25 მარტს 81 წლის ასაკში სოხუმში გარდაიცვალა საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი, თეატრალური რეჟისორი, დრამატურგი, მთარგმნელი და პედაგოგი მანოლის (ემანუელ) მიტაფიდისი.

## სიმონ ყაუხეჩიშვილის შეკვეთი

1966 წელი იდგა. არამარტო საქართველო, მთელი საბჭოთა ქვეყანა და მსოფლიო აღინშავდა დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. განსაკუთრებული ზეიმით ეს თარიღი უკავდავი პოემის ავტორის მშობლიურ რესპუბლიკაში აღინიშნებოდა. ათწლეულები იყო, რაც „ვეფხისტყაოსნის“ უკვე მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნიდნენ ცნობილი პოეტი. ზოგ უდიდეს ენაზე ორი თუ სამი თარგმანიც არსებობდა. მაგრამ პოემის ბერძნული ვარიანტი ჯერაც არ იდო წიგნის თაროზე. არც არავინ ჩანდა ისეთი, ამ მნიშვნელოვან ხარვეზს რომ ამოავსებდა.

იმ დროს სოხუმში შექმნილი რუსთაველის რეგიონალური საზოგადოება თაოსნობდა დიდი პოეტის საიუბილეო დონისძიებების ჩატარებას, რომელთა ფარგლებშიც ეწყობოდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალური თუ სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ნაწყვეტების კითხვა.

სოხუმში გამომავალ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ფურცლებზე (1966 წლის 13 ივნისი) დაიბეჭდა სტატია, რომელიც სოხუმის მასწავლებელთა სახლის მიერ ლიტერატურულ გამოფენას ასახავდა და ეძღვნებოდა რუსთაველის იუბილეს. სტატიაში საუბარია პოემის იქ გამოფენილი ვახტანგისეულ და სხვა უნიკალურ გამოცემებზე. ბოლოს ნათქვამია: „წარმოდგენილია 588 სალექსო სტრიქონის თარგმანი, მანოლის მიტაფიდისის მიერ ახალ ბერძნულ ენაზე შექმნილი, რომელიც რუსთაველის პოემის ბერძნულ ენაზე თარგმნის პირველი ცდაა“.

პოემის ტაქტები გადაუგზავნეს მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე დიდ ქართველ მეცნიერს, ბიზანტიოლოგ სიმონ ყაუხეჩიშვილს. მეცნიერმა თარგმანს რეცენზია მიუძღვნა. მეტიც: ევროპულ ენებზე შესრულებულთაგან ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა ნაშრომს და წააქეზა ავტორი, ბოლომდე მიეყვანა დაწებებული სამუშაო.

მანოლის მიტაფიდისი რვა წლის განმავლობაში (1966-1972 წ.წ.) თარგმნიდა პოემას. მისი შრომა სრულიად უანგარო იყო, მანოლის მეტაფიდისს პოემის თარგმანში არანაირი ანაზღაურება არ მიუღია...

თითქოს არაფერი აფერხებდა ახალი თარგმანის წიგნად გამოცემას. ავტორს აგულიანებდა ყაუხეჩიშვილის შეფასებაც: „სავსებით მზად არის გამოსაცემად და მისი უახლოეს ხანებში დაბეჭდვა საშური საქმეა!“

## რას წარმოიდგინდა?!?

დღეს თუ არა, ხვალ მაინც ხომ გამოსცემენო, ფიქრობდა, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე.

რას წარმოიდგენდა, რომ ის „ხვალ“ თითქმის ნახევარი საუკუნე გაიწელებოდა?!

როგორ იფიქრებდა, რომ მისი ადსრულების შემდეგ ამდენი წლის ნაღვაწი დიდი ხნით დავიწყებას მიეცემოდა და სადღაც,



ათენის გაზეთში დაბეჭდილი  
პუბლიკაცია მანოლის  
მეტაფიდისზე



მიკარგულ თაროზე შემოდებულს, ათწლეულებით  
მტვერწაყრილს, ადამიანის ხელი არ წაეკარებოდა...  
არადა, სწორედ ასე მოხდა!

გასული საუკუნის 80-იან წლებში აკადემიკოს ირაკლი აბაშიძისა და მაშინ ჯერ ახალგაზრდა მეცნიერის, ავთანდილ მიქაბერიძის დიდი მცდელობის მიუხედავად, ბერძნულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ათენში გამოცემა წარუმატებლად დასრულდა. მომავალი წიგნის ორიდან ერთი ხელნაბეჭდი მაშინ ასე დარჩა თბილისში (დღეს მეტაფიზიკის თარგმანი, ხელნაბეჭდის სახით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია).

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე ეგზემპლარი კი გასული საუკუნის 90-იან წლებში, აფხაზეთის საომარი მოქმედროდ, სანკტ-პეტერბურგში გაიღანეს.

ახლოვდებოდა მთარგმნელის დიდი დვაწლის, მართლაც რომ, ტიტანური შრომის დაფასების დრო. და ეს მოხდა პოემის თარგმნიდან 50 წლის შემდეგ: ათენში ახალბერძნულ ენაზე გამოიკა შროთა რუსთაველის „გეოგებისტებისანი“.



გრიგორის კირიაკოსი „ვეფხისტყაოსნის“  
პრეზენტაციის შემდეგ. ათენი, 2016 წ.

## ତେବେଳିକା ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରୀକ୍ଷା ମଧ୍ୟ ଶରୀରକୁ ପରିଦ୍ୱାରା ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାର ପରିମାଣ

გამოცემის ინიციატორი და სულისხამდგმელი ათენში მცხოვრები, ბატონი გრიგორის კირიაკოსია, მთარგმნელის, ემანუელ (მანოლისი) მიტაფიდისის შვილიშვილი, რომელსაც, როგორც გაირკვა, სანკტ-პეტერბურგში, ახლო ნათესავის ერთ-ერთ ოჯახში აღმოჟენია ბაბუის თარგმანის სრული ხელნაბეჭდი.

წიგნის გამოცემას წინ ხანგრძლივი და მუხლჩაუხრელი შრომა უძღვდა. თანაც ახლოვდებოდა დიდი შოთა რუსთაველის კიდევ ერთი საიუბილეო თარიღი – 850-ე წლისთაგი, რომლის აღნიშვნაც იუნესკოს გადაწყვეტილებით მსოფლიო მასშტაბით იყო გადაწყვეტილი. და სწორედ ამ თარიღს უნდა მიძღვნოდა იმ ნადვაწის გამოქვეყნება, რომლის სამზეოზე გამოტანა ვერ მოხერხდა მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში. გრიგორის კირიაკოსმა ათენში დიდხანს ეძება პროფესიონალი, რომელიც წიგნის რედაქტორობას გახწევდა.

აღმოჩნდა, რომ ხელნაბეჭდი ტექსტი არსებული სახით გამოსაქვეყნებლად მზად არ იყო, გადაბეჭდვისას დაეშვათ უამრავი ორთოგრაფიული შეცდომა, არეული იყო სასვენი ნიშნები და, ხანდახან, ტაქცებიც. საკმარისად შეინიშნებოდა გრამატიკული შეცდომებიც. საჭირო იყო ამ ჰვალაფრის ჩასწორება, ტექსტის გამართვა და აზრის ცხადყოვა.

ამ ურთელესი სამუშაოს ჩატარება იტვირთა ქალბატონმა თაღია კიფნიდიმ, რომელმაც  
ბატონ გრიგორისთან ერთად თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად  
იდვაწა. რედაქტირებულ ტექსტს ბატონი გრიგორისი ადარებდა  
რუსულ და სხვა თარგმანებს. ამის შემდეგ ერთობლივად,  
სათანადო სიზუსტით მართავდნენ ტექსტს.

გადაწყვდა, რომ წიგნის მხატვრობაც სრულებით ორიგინალური ყოფილიყო და არ გამოეყენებინათ აქამდე არსებული ილუსტრაციები.

2016 წლის 1 დეკემბერს წიგნი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე უკვე დატვირთვილი იყო.

ბერნიური ვაშ, მომ ამეამად ეს გხაფა ღამსახურებულად შეავსო  
სოსტემება მოთხოვმნება - უმანური (მანორის) მიწათმიტისი.



მანოლის მეტაფიდისის  
ბერძნულად ნათარგმნი  
„ვეფხისტყაოსანი“



აღონის ირასეპი  
თარგმნა დალი მუხამედ

## უკან მოსხედე, ვარდების მდელოს ყელოსუენ...

### ჩეხური საგა



ძალიან შორს, აბიბინებული, ზღვასავით მოელვარე ყანებისა და ფიჭვის დაბურული ტყის ახლო-მახლო ჩაკარგულა ერთი პატარა მდელო.

ამ ლამაზ ადგილს კიდევ უფრო ამშვენებს ალისფერი ვარდის ბუჩქები. ასეთ სილამაზეს ვერსად ნახავთ.

ვარდები თითქოს ანათებენ ალისფერი შუქით და ირგვლივ უცხო სურნელს აფრქვევენ. ბევრმა სცადა მათი გადარგვა, ზოგმა განადგურებაც კი მოინდომა, მაგრამ ვარდის ბუჩქები (რომელიც თურმე სხვაგან ვერ ხარობენ) ისევ და ისევ შლიან ჯიუტად თავის ტოტებს და მდელოს შუაგულისკენ მიწვევენ.


ამ მყუდრო ადგილს, რომელიც ჩვენი წინაპრების დიდი სევდითა და დარდითა ნათელმოსილი, ვარდების მდელოს ეძახიან. ის ამაღლებულ ადგილზეა გადაშლილი, იქიდან კი ხელისგულივით მოსხანს ლიტომიშლის ულამაზესი ციხე-სიმაგრე და ამწვანებული კორდები, ტყიანი ფერდობები.

აქ, 400 წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ძველი ციხე-კოშკი იდგა, ცხოვრობდნენ პანი კოსტები, „ჩეხეთის სამმოს“ ერთგული მცველები. ციხე-სიმაგრის ახლოს, ქალაქში, მათ ჰქონდათ სამლოცველო სახლი, სადაც სალოცავად იკრიბებოდნენ, ხოლო ქალაქის უმეტესი მოსახლე „ჩეხეთის სამმოს“ რელიგიურ თემს განეკუთვნებოდა.

გადიოდა დრო. „მმები“ უშფოთველად ცხოვრობდნენ სამშობლოში, შრომობდნენ და ლოცულობდნენ. მაგრამ ერთხელაც, 1618 წელს, შავი დრუბელი ჩამოწვა ჩეხეთის მიწაზე. ერთი რელიგიური ომი მეორეს ენაცვლებოდა, ბოლოს კი, ბელოგორსკის ბრძოლის შემდეგ, უმძიმესი დრო დაუდგათ იმათ, რომელიც კათოლიკობას არ აღიარებდნენ.

თემის ყველა წევრი ლიტომიშლიდან უნდა გაესახლებინათ; მათ შორის, „ჩეხეთის სამმოს“ წევრებიც. სანამ სამშობლოს დატოვებდნენ, „მმებმა“ გადაწყვიტეს, ჩუმად შეკრებილიყვნენ, საიდუმლოდ ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება, ელოცათ სამშობლოსთვის და მერე ჩუმად გასცლოდნენ იქაურობას.

ეს შეკრება მოხდა მოროშიცის ტყეში, ვარსკვლავიან დამით, ბებერი ფიჭვების ქვეშ. „მმებმა“ ილოცეს, გულს





ამოაყოლეს მშობლიური ჩეხეური საგალობლები და გამოეთხოვნენ თავიანთ მამულს.

თან წაიღეს ერთი პეშვი ცრემლით დალტობილი მიწა, ხოლო იმ ადგილას, სადაც მათი ცრემლი ეპურა, წითელმა ვარდებმა იფეთქა.

მას შემდეგ გაჩნდა ის უცნაური ვარდების მდელოც.

გადიოდა დრო. მრავალი ომი და მშვიდობა იხილა ჩეხეთის მიწამ. ზოგს კიდეც გადაავიწყდა „ჩეხი ძმები“ და მათი თემი.

ტყემ ამასობაში უფრო იმძლავრა; ვარდების მდელო კი ისე ჩაიკარგა ფიჭვებსა და ნაძვებში, თითქმის გაუჩინარდა.

უცნაური ამბები ხდებოდა „მდელოს“ ადგილას, მის შემოგარენში. დააპირებდა თუ არა ვინმე მის მოხევას, ან სახნისი ტყედებოდა, ან ცხენი კვდებოდა. მოკლედ, თითქოს უჩინარი ხელი მფარველობსო, ვერავინ ვერ შეძლო მისი მოსპობა.

როგორც ამბობენ, ბოლოს იქ სელი დათესეს. ეს ყანაც ამობიძინდა, მოიმკეს, გაანიავეს და, როცა უნდა დაეფქვათ, სელი თვითონ აალდა და ერთიანად დაიწვა.

ვინც იქ სელი დათესა, არც მას დაადგა კარგი დღე. მთელი მისი კარ-მიდამო ცეცხლმა შთანთქა.

მას შემდეგ ვარდების მდელოს არავინ მიჰკარებია.

ჩეხეთში არის ასეთი წინასწარმეტყველება: რომ დადგება დრო და ამ ადგილას გაიმართება დიდი, სისხლისმღვრელი ომი. მერე უკვე შვიდი მეფე შეთანხმდება და მარადიული მშვიდობაც დაისადგურებსო.


და ეს ყველაფერი მოხდება იმ ვარდების მდელოზე, სადაც ერთ დროს ომის მოძულე „ჩეხმა ძმებმა“, ვიდრე დევნილებად იქცეოდნენ, სიყვარულის ცრემლი დაღვარეს.

ახლაც ყვავიან ალისფერი ვარდები მინდორზე, ახლაც შრიალებს გარშემო ტყე და ჭრელი პეპლები დაფარვატებენ ყვავილებზე.

და ძალაუნებურად გახსენდება წინაპრები, მათი ცრემლიანი თვალები, სამშობლოსთან განშორების უსაზღვრო სევდა და სიმღერა:

ღმერთმა გაქურთხოს, ჩეხეთის მიწავ,  
რა ნაღვლიანი გემშვიდობები!

ფიქრი თითქოს იმ დროში გადაგაფრენს, როცა სამშობლოდან განდევნილი ადამიანები უკანასკნელად ჩერდებიან, რომ უკან მოიხედონ, მწარე ცრემლები დატოვონ მშობლიურ მიწაზე, სადაც შემდეგ ალისფერი ვარდები ამოიზრდებიან სამშობლოს მარადიული სიყვარულის ნიშნად.





## ჭაველა ქართველი ანდერსენი (1805-1875 გ.გ.)



სახლი თბილისში, სადაც დაიბადა  
ანდერსენი

უყვარდა ზღაპრები; სიზმარში ხედავდა მზეთუნახავებს, ჯინებსა და წალკოტს. თვითონაც ნატრობდა, ნეტა, ბადი მოგვცაო!

დედა ამშვიდებდა:

— ხომ გვაქვს ბადი სხვენზე, ფანჯარასთან რომ მწვანილებიანი ყუთია! იქ შენთვის ნაირფერ ყვავილებსაც დავრგავ!

ანდერსენები ძალიან დარიბად ცხოვრობდნენ თბილის ყველაზე განაპირო უბანში. პატაწინა სახლში ექვსი ოჯახი შეაუტულიყო. ანდერსენებს ერთი პატარა ოთახი ეჭირათ, სასადილოც ის იყო, საძინებელიც და სახელოსნოც.

### მშობლები

დედა — მარია, ჯან-ლონიო სავსე შავთვალა ქალი, სისუფთავისა და წესრიგის მოყვარული, მრეცხავად მუშაობდა. მიაჩნდა, რომ სისუფთავეზე უკეთესი სილამაზე არ არსებობდა. მისი წეალობით, სახლშიც იატაკს კრიალი გაუდიოდა. მთელი დღეები მუხლამდე ცოვ წეალში იდგა და სხვებს სარეცხეს ურეცხავდა, სადამოს სახლში კემსავდა და აკერებდა. მეტი ლაზათისათვის სკივრზე ჭრელაჭრულა ფინჯნებსა და ლამბაქებს ალაგებდა, რასაც ქრისტიანი აღტაცებაში მოჰყავდა.

მამა — ჰანს ანდერსენი იყო ხარაზი, თუმცა გულს ერ უდებდა ამ ხელობას. სამაგიეროდ, მისი მარჯვე თითები ოსტატურად აკეთებდნენ ათასნაირ სათამაშოს.

ბავშვობაში სწავლაზე ოცნებობდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერსად ჩააბარა. საბოლოოდ ხარაზის დაზგას მიეჯაჭვა. მთელი დღე პატაწინა სარეცლიდან შემოსულ შუქზე დაგლეჯილი ფეხსაცმლის ლანჩებს ჩაპკირკიტებდა. ხშირად წაიღებდა ოცნება: აგერ, ხომალდის ქიმზე დგას, წინ შორეული სამხრეთის ქვეყნებია; აგერ კი, ლათინური სკოლის ფართო, სინათლით სავსე ოთახები!

დაზგის ზემოთ წიგნების თარო მიექვედებინა. იქ ელაგა: „ათას ერთი დამის“ ზღაპრები, კომედიები, სიმღერების კრებული და რამდენიმე რომანიც კი.

ჰანსი შეიღლს ეუბნებოდა:

— გაჭირვებამ არ შევაკრთოს, ყველაფერი მოიკელი, ოღონდ ერთს მიაღწიე — ისწავლე!

მიაჩნდა, რომ ცხოვრება ჩაცმა-დახურვა და ჭამა კი არ არის, სულია უპირველესი საზრუნავი.

ომში სხვის ნაცვლად წავიდა, იქნებ, მოცემული ფულით როგორმე ოჯახს შევეშველოო. მაგრამ ფული გაუფასეურდა, თვითონ კი დაავადებული დაბრუნდა, თოფიც არ გაუსვრია. მალე გარდაიცვალა კიდეც.



ქმაწვილი ანდერსენი

### პირველი განათლება და შექმნის წომი

პირველი დედამ ჰანს ქრისტიანი მიაბარა გოგონების კერძო სკოლაში, სადაც ერთი ქვრივი მასწავლებელი წენელით აიძულებდა ბავშვებს დამარცვლით კითხვას. დედის გაფრთხილების მიუხედავად, მასწავლებელმა მაინც მიტყება ჰანსი. პატარა პროტესტის ნიშნად სკოლიდან წამოვიდა.

მალე დედამ ბიჭუნა სხვა სასწავლებელში მიაბარა. ახალგაზრდა პედაგოგი — კარსტენი მხიარული კაცი აღმოჩნდა. რადგან ჰანს ქრისტიანი მოსწავლეებს შორის ყველაზე პატარა იყო, ხელს ჩასჭიდებდა, ეზოში დაასეირნებდა და მის ტიკტიკსაც ყურს უგდებდა.

ინციდენტის გარეშე არც იქ ყოფნას ჩაუვლია. ერთადერთმა



გოგონამ, სარამ დასცინა მხოლოდ იმის გამო, რომ პანს ქრისტიანმა თავისი ოცნება გაუმხილა, მსურს ლექსები შევთხაო.

მაგრამ მალე პანს ქრისტიანმა თავისი არაჩვეულებრივი მესიერების, ნიჭისა და გულისხმიერების წყალობით ყველას გული მოინადირა.

მოხდა ყველაზე უარესიც: ვალების გამო კარსტენი იძულებული გახდა, სკოლა დაეხურა და ბავშვები დაეთხოვა.

სახლში პანსმა მოიწყინა და მამამ გადაწყვიტა, ხელნაკეთი სათამაშოებით მოეწყოთ თოჯინების თეატრი. მამა-შვილი, ძირითადად, კომედიებს დგამდა. ბიჭი ყველა როლს იმასხოვრებდა და ასრულებდა.

პანსი ბებიას დაჟყავდა მოხუცთა პოსპიტალშიც, სადაც ერთობოდა, დროს მხიარულად ატარებდა. თავშესაფარში მყოფი დავრდომილი ქალები სიამოგნებით ისმენდნენ პანს ქრისტიანის გამოგონილ ამბებს, ლექსებსა თუ სცენებს კომედიებიდან და მისი გასაოცარი ნიჭით აღფრთოვანებულნი იყვნენ.

როცა ბიჭუნა გაჩუმდებოდა, რომელიმე დედაბერი მოყვებოდა ხან სასაცილო, ხანაც საზარელ ზღაპარს; ბოლოს კი ყველანი ერთად დეალგურ სიმღერასაც წამოიწყებდნენ.

პანს ქრისტიანის ცხოვრებაში კარგი ამბავიც მოხდა: მან შექსპირი წაიკითხა! თავშესაფარში ორ წენარ მოხუცს, ბუნკეფლოდებს დაუმეგობრდა. სწორედ მათ აჩუქეს შექსპირის კარგა მოზრდილი ტომი. ჯერ არ შეეძლო, დრამატურგის სიდრმეს ჩასწვდომოდა, მაგრამ აღფრთოვანებული იყო იქ მოყოლილი თავგადასავლებით.

მალე თვითონაც მოუნდა რადაცის შეთხვა. იმ პირველ ნაწარმოებებზე სრულყოფილი არაფერი ეგონა პარარა პანსს. ბუნკეფლოდები, რომელთაც თავის ნაცოდვილარს უკითხავდა, მოწონების ნიშად ბიჭუნას თავს უქნევდნენ.

## ფაზრისილან სცენაზე, ბიბიოთურაში...

უსაქმურად რომ არ ყოფილიყო, მეზობლების რჩევით დედამ პანს ქრისტიანი სამუშაოდ წაიყვანა მაუდის ფაბრიკაში, სადაც ბიჭუნა ძალიან იღლებოდა. ერთ-ერთ შესვენებაზე მან სიმღერა წამოიწყო. მუშებს მოეწონათ მისი წერიალა ხმა და მერე უკვე ხშირადაც ამღერებდნენ.

ცოტა ხანში დედამ ბიჭუნა სხვა ფაბრიკაშიც მოაწყო სამუშაოდ. პანსი სასუნებელი თუთუნის შემფუთველს შეველოდა, მაგრამ მალე ხველება აუტყდა და იქიდანაც წამოიყვანეს. არც მდგბავის შეგირდობა გამოღვა მისთვის წარმატებული.

1819 წლს ოდენსეში კოპენაგენში მსახიობები ჩამოვიდნენ. პანს ქრისტიანი, რომელიც მსახიობობაზე ოცნებობდა, თეატრმა სიგიფედე გაიტაცა. გადაწყვიტა, კოპენაგენში წასულიყო. ბოლოს დაიყოლია დედაც, რომელსაც ძალიან აშინებდა შვილის მსახიობობა.

14 წლის ანდერსენს კოპენაგენში ნაცნობი არავინ ჰყავდა. ყველაფერი თვითონ უნდა მოეფიქრებინა. ასე გადაწყვიტა ერთ-ერთი სტამბის მეპატრონესთან მისვლა. უნდოდა, მისთვის ეთხოვა სარეკომენდაციო წერილი, რომელსაც მერე გადასცემდა ქალაქში ცნობილ ბალერინას. პრიმა მსახიობმა შეშლილ მათხოვრად მიიღო უცნობი ბიჭუნა და უხეშადაც გაისტუმრა. მაშინ სასოწარევეთილმა ყმაწვილმა უკანასკნელი გროშებით „პოლი და ვირჯინის“ ბილეთი იყიდა და, როგორც წლების მერე გაიხსენებს, სპექტაკლზე გულამოსკნილი ვგიროდიო.

მალევე გაზეთებიდან შეიტყო, რომ კოპენაგენში ჩამოვიდა სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ჯუზეპე სიბონი. ამჯერად გადაწყვიტა, როგორმე მასაც შესვედროდა. შეაღწია კიდევ მაესტროსთან და თავი წარუდინა. სიბონი და მასთან თავშეერილი საზოგადოება ინტერესით შეხვდა ამ უცნაურ ბიჭს; როცა მისი სიმღერაც მოისმინეს, დიდად მოიხილებოდა. ჯერ დააპურეს, მერე სახელდახელოდ თანხაც შეუგროვეს. სიბონიმ გადაწყვიტა, სიმღერის გაკვეთილები ბიჭუნასთვის თვითონ ჩაეტარებინა.

პანს ქრისტიანი ბალეტმაც გაიტაცა. სპექტაკლ „არმიდაში“ მეშვიდე ტროლებს\* განასახიერებდა. სიხარულით აღარ იყო, მაგრამ მალე დაითხოვეს. რატომდაც სიბონიც აუზივლდა, ანდერსენმა ხმა დაკარგაო!

ახლა პანსმა ახალი მფარველები გაიჩინა.

ასე დაუმეგობრდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარს. შეეძლო, წიგნები ამოერჩია და სახლში წაედო წასაკითხად. იგი, რომ იტყვიან, ყლაპავდა წიგნებს. ხელახლა კითხულობდა შექსპირს, უცნობოდა თანამედროვე დანიურ ლიტერატურას, სხვა ცოცხალ ავტორებს. ქედს იხრიდა ელენშლეგერის\*\* წინაშე.




პანს ქრისტიან ანდერსენი



ჯუზეპე სიბონი,  
იტალიელი მომღერალი

\* – სკანდინავიურ თქმულებებში – ზებუნებრივი არსება, ადამიანისადმი მტრულად განწყობილი.

\*\* – დანიული პოეტი და დრამატურგი.



მეზღაპრე ანდერსენი

## იმ პირველი აღიარებით

ჰანს ქრისტიანს უფრო და უფრო იგაცემდა ლიტერატურა, ინტენსიურად მუშაობდა, თხზავდა ლექსებს, ქმნიდა პიესებსაც, თუმცა იგრძნობოდა მიბაძვა და პლაგიატობა. თავი აღადინადაც წარმოიდგინა, პოეზიას კი ჯადოსნურ ლამპრად მიიჩნევდა.

ანდერსენს მატერიალურად ძალიან უჭირდა, დამხმარეც არავინ ჰყავდა. ერთი თანაუგრძნობდნენ, გაჭრებისა და არისტოკრატების ოჯახებში კი მას დასცინოდნენ.

სასოწარკვეთილი, ლამის, თვითმექლელობამდეც მივიდა, მაგრამ ბოლოს თავს მაინც შემოუძახა:

— მე ხომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია სამყაროსთვის!

ემანუელი ახალი ენერგიით შეუდგა საქმეს. ტრაგედია „ალფსოლს“ ყველას უკითხავდა. ბოლოს პიესა თეატრის პროფესიონერს, რააბეკს წარუდგინა შესაფასებლად. რააბეკმა ჯერ შებლი შეიძმუხნა, მერე კი ლიმილიც გამოესახა სახეზე. ვინ იფიქრებდა!

— ამ ბიჭში არის რაღაც! როცა უცოდინარი ადამიანი ასე წერს, უდავოდ დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს!

ანდერსენმა გადაწყვიტა, გამოეცა კრებული სათაურით „ემანუელური ცდები“. იზრუნა ხელმომწერებზეც. შიგადაშიგ მასზე პრესაში იწერებოდა წერილები, რეცენზიები, რასაც მომავალი მწერალი მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა. პატარ-პატარა პონორარებსაც იღებდა.

ერთ დღესაც ჰანს ქრისტიანი თეატრის დირექტორის სხდომაზე გამოიძახეს და განუცხადეს:

— დირექტორი საჭიროდ ჩათვალა, სწავლის გაგრძელების საშუალება მოგცეთ. გადავწყვიტეთ, რეკომენდაცია გაგიწიოთ: თქვენ იმსახურებთ სამეცო სტიპენდიას!

იონას კოლინმა, აყვანილმა მეურვემ, აცნობა, რომ ის ლათინურ სკოლაშიც ივლიდა. ამ დროს ჰანს ქრისტიანი 17 წლის იყო.

## სამუშაო სწორებიანები

ჰანსი გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას (ბინად ჩასახლეს ერთ კეთილ ქალბატონთან). მაგრამ რექტორი მეისლინგი, ლათინურის დიდი მცოდნე და ხელმოცარული ლიტერატორი, პირველივე დღიდან რატომდაც მტრულად შეხვდა ანდერსენს. ყოველნაირად ამცირებდა და აბუჩად იგდებდა, დასცინოდა „ბატონ მთხვევლ ანდერსენს“. ამასთან, ბიჭუნას თითქმის აშიმშილებდა, მისთვის არც გათბობა იყო, არც თავისუფალი დრო. ჰანს ქრისტიანი მალულად მაინც წერდა ლექსებს და საყოველთაო ყურადღებასაც იქცევდა.

არდადებებს ხან ოდენსეში ატარებდა, ხან კოპენჰაგენში. ოდენსეში ხალხი სიყვარულით ხვდებოდა „ხარაზის ცოლის მარიას“ შვილს, რომელიც უკვე სახელგანთქმულიც გამხდარი იყო. ის ხომ სამეცო სტიპენდიანები იყო!

ანდერსენი თანდათან დიდ წარმატებებს აღწევდა. იგი ბევრს კითხულობდა და უბის წიგნაკს ახალ-ახალი ჩანაწერებით ავსებდა. უნივერსიტეტისთვისაც ემზადებოდა.

## „მინდა, კურო ანდერსენიკით“

დანიაში ლიტერატურული ცხოვრება დუღდა. ანდერსენი გაფაციცებით აკვირდებოდა ყველაფერს. მერე კი ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს ხალისით უყვებოდა გამოგონილ ამბავ-ზღაპრებსა და ხალხს აცინებდა.

1828 წელი ანდერსენისთვის უბედინერესი იყო — იგი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ცხოვრობდა სხვენზე, მაგრამ სხვენზე ცხოვრებაც შეიძლება რომანტიული გახადო, თვლიდა ჰანსი.

ამ პერიოდში შექმნილმა ახალმა ნაწარმოებებმა, „მოგზაურობა ამაგერზე“, წარმატება მოუტანა. თვით კოლინის შვილები, ედვარდი და ინგებორგიც კი, რომლებიც აღრე აბუჩად იგდებდნენ, ანგარიშს უწევდნენ მას. სტუდენტი ჰანსი ხომ უკვე



ანდერსენის ძეგლი დანიაში



მწერალიც იყო!

ახალი სიყვარულიც ეწვია ცისფერი თვალებით. ეს კოლინის უმცროსი ქალიშვილი, ლუიზა იყო, რომელსაც „ჩემი ცხოვრების წიგნი“ მიუძღვნა. მაგრამ კოლინებმა მოიფიქრეს და ლუიზა სასწრაფოდ დანიშნეს ვექილზე, ვინმე ლინზე.

რაც უფრო მარტივია, მთი უკეთესია, მთავარი მაინც შინაარსია, ამბობდა ანდერსენი. ნიშანდობლივია, რომ იგი დანიში არსებულ ვერც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას ვერ მიემხრო. საკუთარი გზა უნდა მოექმება. არ სურდა, ვინმეს დამსგავსებოდა.

ანდერსენის ლიტერატურული ცხოვრება მაინც თავისი გზითა და წარმატებით გრძელდებოდა. მისი ფანქარი თითქმის დაფრინავდა ფურცელზე, ახალი წიგნი „ჩრდილოვანი სურათები“ დღითიდევ ივებოდა, უვალდებულ ცხოვრებაში ირეოდა განუმეორებელი ზღაპრები.

— მე მინდა, ვწერო ანდერსენივით, — იმეორებდა ანდერსენი.

1831 წელს ანდერსენს კოლინმა გერმანიაში სამოგზაუროდ წასვლა მოუხერხა. მეფე ფრედერიკმაც დაუფინანსა მოგზაურობა. ეწვია პარიზს, რომს, ნეაპოლს... პარიზში შეხვდა პაინრიპ პაინეს. რომის ნახვისას უთქვამს, ეს ჩემი მეორედ დაბადების დღეაო!

მაგრამ ერთ დღესაც იტალიის ცამაც დაკარგა ფერი. მან კოლინისგან დედის გარდაცვალების ამბავი შეიტყო.

### „ბეჭირი მეზღაპრე“

ანდერსენი მეგობრების შვილებს ზღაპრებს უყვებოდა. წერდა „იმპროვიზატორს“, პარალელურად მუშაობდა ზღაპრების პირველ წიგნზე. 1835 წელს ვიტრინებზე გამოჩნდა „ბავშვებისთვის ნაამბობი ზღაპრები“. მაშინ ამით არავინ აღფრთოვანებულა.

„ზღაპრებისგან წარმატებას ნუ ელი!“ — ეუბნებოდნენ დიად.

მისი დროის დიდმა მეცნიერმა ერსტედმა\* კი უწინასწარმეტყველა: „დაიმახსოვრე: „იმპროვიზატორი“ სახელს გაგითქვამს, მაგრამ ზღაპრები უკვდავყოფენ ამ სახელს.“

ანდერსენმა ზედიზედ გამოსცა ზღაპრების მეორე და მესამე კრებულები. „ჩემი ზღაპრები იმდენადვეა განკუთხნილი უფროსებისთვის, რამდენად ბავშვებისთვის“.

„პატარა ალი“ და „მეფის ახალი ტანსაცმელი“ აბუჩად იგდებდა ადამიანებს, რომლებიც ბრძად ქედს იხრიან მოდის წინაშე და აშინებთ საგუთარი აზრი. მისი ზღაპრები „მახინჯი იხვის ჭუჭული“, „პატარა გოგონა და ასანთი“, „ქალთვეზა“, „გულადი კალის ჯარისკაცი“ და სხვა დღემდე აღელვებს დიდსა თუ პატარას.

მისი შემოქმედებით მოხიბლული იყვნენ დიკენსი, ჰიუგო, ბალზაკი, პაინე...

როცა დიდებასა და სიმძიდრეს მიაღწია, ქვეყანას მაინც ღატაცი გარეუბნების თვალით უყურებდა. ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ არაფერი ახარებდა.

— თანდათან უფრო ვრწმუნდები დიდებისა და სახელგანთქმულობის ამაოებასა და არარაობაში! — წერდა ანდერსენი.

კა, ნეტავ, ისევ ფეხშიშველა ბიჭუნა იყოს, მსოფლიოს დასაპყრობად რომ ემზადება! არავინ იცოდა, რა პირქეშ ახრდილებს ებრძოდა „ბედნიერი მეზადაპრე“.

„რამდენი ადამიანია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უგულო და უნამუსო, ციფი, ლიპი ჩრდილი. აბა, ერთი ნახეთ, როგორი იღბალი აქვთ! მათმა მოქნილმა, გრძელ-გრძელმა ხელებმა იციან, როგორ ჩაებდაუჭოო იქროს, პატივს, ორდენებს. მათი გველის ენა ადვილად პოულობს გზას დიდებულ პირთა და მაღალი წრის მზეთუნახავთა გულებისაკენ... ამ ჩრდილებმა იციან ლაზათიანი სრიალი პარკეტზე, ხანდახან პოეზიაზეც კი ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ და მერე როგორ! გეგონებათ, ეს-ეს არის, პოეზიის სამეფოდან დაბრუნდნენო, სინამდვილეში კი მის წინარსაც არ გასცილებიან. ასე ცხოვრობენ, უსირცხვილოდ სარგებლობენ სხვისი აზრებით, სხვის ხარჯზე ისქელებენ ჯიბეს, ეშმაკურად იგებენ სხვის საიდუმლოს და ხალხიც პატივისცემით შევჭრებეს მათ; ისინი ხომ მოდურ კოსტიუმებს იცვამენ და თითებზეც წმინდა წყლის ბრილიანტის ბეჭდები აქვთ წამოცმული“, — წერდა ანდერსენი.

ზღაპარი არასდროს არ კვდება! — ანდერსენის ამ სიტყვებთან ერთად ცოცხლობს დიდი პოეზი-მეზადაპრის ხსოვნაც.

ანდერსენი გარდაიცვალა 1875 წლის 4 აგვისტოს.

დაკრძალულია ასისტენის სასაფლაოზე, კოპენბაგენში.



პანს ქრისტიან ერსტედი, ანდერსენის მეგობარი, ცნობილი ფიზიოსი



ანდერსენი ბავშვებს უკითხავს თავის ზღაპრებს



ელენე კვანტალიანი

«დაფულონი» ექინაციისთვის მიმზიდებული ჩებიყება. ამჯერად მან «გვაპოვნინა» კიღევ ეხოთ საინტერესო ავტორი, საკუთარი სათქმელით, აზროვნების სიცალით.

ეღენე კვანტალიანმა თავი ასე გადავაწონ: თბილისში დაბადებული სოხუმის, 87-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, ოცნებობს აქეუქონიანი საქართველოს, ექინაციის ცოდნაზე.

გვინდა სიამოვნებითაც ალვნიშნოთ, რომ ნიჭიერი მოზახის ნანა ჩმოებებთან ეხთად ნანა ჩმოებენილი ნახატებიც იგივე ავტორის მიერა შესჩედებული (მსგავსი შემოქმედებითი კანონი). «დაფულონისთვის» პირველია. ეღენე კვანტალიანის ნანა ჩმოებებს შორის, რომელიც მან მოგვაწოდა, გამოვაჩინეთ «მოვლენა...» და «ჩამაჯერ...»

ეგით სიამოვნებით მათ და გიკვის, რომ ასეთი მძაფერი განცემებისა და ტკივილიანი სტილის ავტორის უმცესობის მომღიმაში, კეთილი გოგონაა. ეს მისთვის თითქმის თავდაცვითი ინსტუქცია, ასაკის მოქედავად, გაღარახოს ცხოველებისეული წინააღმდეგობები, ჩააქმნას სუში ხანძაში, მისი პერსონალური მოქმედებული ტალებს.

ნების აკცენტითა და სიორგანიზაციის წვერმით გამოჩეულის მემკონიერებული თავის გაცემასაც გვიჩვება.

## მოგვიარეობა...

### ელენე კვანტალიანი

შენ რა, ზღვაზე არასდროს ყოფილხარ? არ გირჩევ, საშიშია.

ჩემი ოცნება იყო, ზღვის სანაპიროზე ყოფნა, დიდხანს ცურვა. და ეს ავიხდინე.

ყვითელგაც მიყვარს, მაგრამ მხოლოდ წუთი ვძლებ წყლის ქვეშ, იშვიათად, მეტსაც. პირში ჰაერს ვიგუბებ, თვალებს ვახელ და თანაბრად ვიწყებ სუნთქვას. აქეთ-იქით ვიყურები. დრმად ამდვრეული წყლის გარდა ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ესეც მაკაყოფილებს. თუ ვიგრძენი, რომ მეტი აღარ შემიძლია ან ნაპირიდან დედის ხმა მოქვემდი, პირიდან ჰაერს ვუშვებ და წამების შემდეგ თავს ზევით ვწევ.

ტივტივამდე მისული გულადმა ვწვები. გტივტივები ნარინჯისფერი ტივტივის მსგავსად. ტალღები მარწევენ ნაზად, მშვიდად. უფრო მეტად ვდუნდები და თავს უფრო ღრმადაც ვძირავ წყალში. ისე, რომ შებლი დამისველდეს.

თვალებს ვახელ. ვხედავ უძრუბლო ცას, მარჯვნივ მზეს, მარცხნივ მთვარეს და მხოლოდ ორ გარსკვლავს, რომლებიც ციმციმებები.

ისიც მომწონს, როცა ვცურავ და ნაპირს ვშორდები. ასე მგონია, ადამიანები მიყურებენ და ერთმანეთს ეუბნებიან:

— აი, იმ პატარა ბიჭს ხედავთ?

ყოველთვის ვოცნებობდი, ასე ცურვა შემძლებოდა.

ისე, ზღვას ნელ-ნელა გავუთამამდი. თავიდან ფეხებზე ტალღა რომ შემხებოდა, მყისვე უკან ვხტებოდი, ვფართხალებდი, კონტროლს ვკარგავდი, ბექრ წყალსაც ველაპავდი.

ისევ დედის ხმას გამოვყავარ ნაპირზე.

თავიდან დედას ძალიან ეშინოდა, წამდაუწუმ ჩემს სახელს გაიძახოდა. სანაპიროზე ასე გამიცნო შეელამ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დედაც შეეგუა ჩემს სითამამეს.

დღეს კი რაღაც დამთავრდა და მის მაგივრად სხვა დაიწყო... გადვიძებისას რამე ვიგრძენი? არა. ისე

მეძინებოდა, დოგინიდან ძლიერს ამაგდეს. ცუდ ხასიათზე ვიყავი? არა. გული ცუდს მიგრძნობდა? არა...


ზღვა დელავდა. უზარმაზარი ტალღები იყო.

სანაპირო ხალხისგან დაცლილიყო. დედამ გამაფრთხილა, ზღვაში არ შევსულიყავი. მაგრამ ტალღების სიყვარულით ცდუნებას ვერ გავუმელი და წყალში თავით გადავეშვი.

შორს არ გავსულვარ და წამებში ყველაფერი შეიიცვალა. ძლიერმა დინებამ, მოვარდნილმა ტალღებმა უცებ დამითრია და გაუზერებლად უკან და უკან დამქაჩა.

ზვირთის ბიძგი ისეთი ძლიერი იყო, წინააღმდეგობა ვერ გავუწიე, ვერ მოვერიე. შემეშინდა.

მერე ტალღა ჩემს ზემოთ ამაღლდა. ვერც ვიკივლე და მაშინვე მის ქვეშ აღმოვჩნდი. თავს არ ვზოგავდი, ხელებს ვიქნევდი; ტალღა კი თავდაყირა მატრიალებდა,





თავის ჭერზე მატარებდა, ხან წინ, ხანაც უკან.

გათამამებული ბავშვივით იქცეოდა.

პაერის ჩასუნთქვის ნაცვლად მარილიან წყალს ვყლაპავდი, ამოხველებას ვცდილობდი, მაგრამ ისევ და ისევ ზღვის სიმლაშეს „ვაგემოვნებდი“.

ბოლოს, როგორც იქნა, თავი დავადწიე ტალღებს, ამოვისუნთქე და, რაც ძალა და ღონე შემრჩენოდა, დავიყვირე:

— დედაა!!!

ქალი ტიროდა, ყვიროდა, სახე მოღრეცოდა, იკეცებოდა, იკრუნჩხებოდა, ზღვაში შემოვარდნას ცდილობდა. მაგრამ ვიდაცის ხელი აკავებდა. მორბოდა ჩემპენ, ერთ ადგილას გაშეშებული.

ჩაჭიდებული ხელი მეც ვიგრძენი, მაგრამ უკვე ვიცოდი, ძალა რომ გამომლოდა.

მერე თავზე ისევ ახალმა ტალდამ გადამიარა და ხელებგაწვდილი, თვალებგახელილი ფსკერზე ჩამირა. ვხედავდი, ზემოდან მომავალ სინათლეს, რომელსაც ვშორდებოდი, ნელ-ნელა ვშორდებოდი. დაგუბებულ პაერს უკვე პირიდან ვუშვებდი. პაერის ბუზები წყლის ზედაპირთან ქრებოდა.

სულელები, მექებენ.. ხელი, რომელსაც ვეჭირე, ჩემს გაშევებას ვერ პატიობდა საკუთარ თავს. დედასაც ვხედავდი, ქვაზე ჩამომჯდარი რომ ტიროდა და ტივტივაზე დაიდებულ შვილს ელოდებოდა. რამდენჯერმე დამიძახა, თორნიკეეე! მერე ხელი უსასრულობისკენ გაიშვირა და დაამატა:

— უკან დაბრუნების დროა, დედი!..

მე ისევ ტივტივაზე ვიყავი ჩამოკიდებული, ზურგით სანაპიროსკენ და პორიზონტს გავყურებდი. მზე ჩადიოდა და შემოგრმის მეორე დღეც დგებოდა. დედის ხმა მესმოდა, მაგრამ დაბრუნება აღარ მინდოდა.

— ნუ გაშინია, ცურვა ვიცი! — გავძახე და პორიზონტისკენ ჩაყინოთულმა გავცურვ.

წყალი აღარ იყო ამდგრეული. ჩემს წინ ვხედავდი დელფინებს, რომლებიც ხმებს გამოსცემდნენ.

ორგვლივ თევზები დასრიალებდნენ. უველა სხვადასხვა ფერის იყო, მაგრამ ტანს ერთნაირად არხევდნენ.

წყალში ჩვეულებრივად ვსუნთქავდი. შეიძლება, უფრო უკეთაც, ვიდრე ხმელეთზე. ხელებს ვუსმევდი და თევზებს წყლის ფსკერისკენ მივყვებოდი...

მერე მომეჩვენა, რომ სამყარო ამოტრიალდა და ამ დროს გამომედვიძა კიდეც.

## ჩამატრე!..

ვიწვი, მაგრამ შენ ვერ მხედავ. მე მანამ ვიწვოდი, სანამ შენ დამინახავდი...

შიგნით ვიწვოდი, გულ-ზუცელი მესარშებოდა, ფილტვები კვამლით მევსებოდა, პირსაც ვერ ვალებდი.

და თუ გავადებდი, ირგვლივ კვამლს, შავ ნისლს ვაფრქვევდი.

შენ გგონია, მე ეს მომწონდა?! მაგრამ შენმა ქცევამ, აი, სანამდე მიმიყვანა...

პირი ბოლომდე გამაღებინა.

ვიწვი, მაგრამ შენ უკვე მიყურებ, შენ უკვე მხედავ და შენ შეშფოთდი!

თავიდან გავთბი, მერე კველაფერი ამეწვა, ხველება ამიტყდა; ხელებს ვიქნევდი, რომ ეს ცეცხლი თავიდან მომეშორებებინა, ჩამექრო, მაგრამ მდგომარეობა უფრო დავიმიმე.

ახლა სხვაც დავწვი... მიშველე! ჩამაქრე!

გესმის, დახმარებას გთხოვ, ადამიანო!

ახლა კი ვიგუდები. ვედარც ვსუნთქავ და, ალბათ, შენც ვედარ გასუნთქებ.

უველგან ცეცხლია და შავი კვამლი. ნისლი უკვე არ არის. ტკაცატკუცის ხმა ისმის.

ქარი ქრის. ცეცხლი ბობოქრობს.

მე ვდგავარ და ვიფერფლები. დამეწვა ტანი, სულით დავეცი. მიკიდია, მტკიცა, ჩამაქრე...

თავი ჩიბუხი მგონია. ისეთი ბოლია, თითქოს ბუხრის წინ მჯდომარეობა გოლიათმა კაცმა დიდი სიგარა გააბოლა და ახლა ბუხარში ალმოდებულ ხმელ შეშას უყურებს.

მაგრამ მე არ ვარ ხმელი, სიბერემდე შორია, სულ ახალგაზრდა ვარ...

სად ხარ?! ჩამაქრე!..





1. რამდენ ხანს დაჟყო ნოემ თავის აგებულ კიდობანში?

- ა) ერთი კვირა;
- ბ) ერთი ოვე;
- გ) ერთი წელიწადი.

3. რომელია ყველაზე დიდი პლანეტა მზის სისტემაში?

- ა) ვენერა;
- ბ) იუპიტერი;
- გ) სატურნი.

5. რომელი ქვეყნის ირონიული სახელწოდებაა *Uncle Sam* („ძია სემი“)?

- ა) აშშ-ის;
- ბ) ინგლისის;
- გ) პოლანდიის.

6. რა ეროვნებისა და რა პროფესიის იყო ნოსტრადამუსი?

- ა) გერმანელი ასტროლოგი;
- ბ) ფრანგი ექიმი;
- გ) პოლანდიელი ფიზიკოსი.

2. ბიბლიის თანახმად, მზე, მოვარე და ვარსკვლავები უზენაესმა რომელ დღეს შექმნა?

- ა) მეოთხე დღეს;
- ბ) მეხუთე დღეს;
- გ) მეექვე დღეს.

4. როდის აღვნიშნავთ ქართველები ეროვნულ დღესასწაულს „დიდგორობას“?

- ა) 11 აგვისტოს;
- ბ) 12 აგვისტოს;
- გ) 13 აგვისტოს.

7. რა ჰქონდა ქალის დაბალ ხმას (იგი ძალზე იშვიათია და შთამბეჭდავი)?

- ა) ტენორი;
- ბ) კონტრალტო;
- გ) სოპრანო.

8. აფხაზეთის რომელ რაიონშია სოფელი აჩირხვა და რას ნიშნავს სიტყვა „ჩირხვა“ ქართულად?

- ა) ოჩამჩირის; ნიშნავს ლამაზ ნარგავს;
- ბ) გულრიფშის; ნიშნავს – მაღალ მთას;
- გ) გუდაუთის; ნიშნავს – თეორ ქვას.

10. „საქართველოსთვის ჩვენ ბევრჯერ მოვავდით, და როცა მოვკვდით, ყოველთვის ვცხონდით!“ – რომელი ცნობილი ქართველი პოეტის ლექსიდანაა ეს ამონარიდი?

- ა) მუხრან მაჭავარიანის;
- ბ) ტარიელ ჭანტურიას;
- გ) შოთა ნიშნიანიძის.

9. რომელმა უდიდესმა პოსტიმპრესიონისტმა მსატვარმა (მათ ასეც უწოდებდნენ) შექმნა ცნობილი ნახატი: „საიდან მოვედით? ვინ ვართ? საით მივდივართ?“

- ა) ვან გოგმა;
- ბ) პოლ სეზანმა;
- გ) პოლ გოგენმა.

# საქონლი

<p><b>ერთეულები</b></p> <p>ნოდარ დემბაძე - გული ..... 3</p> <p>ზოვისასის იალიცი ..... 6</p> <p>აირი ვეივსონ გამა აკაკი (გეგრელიშვილი) - გახტორიოს შეთქმულება, ანუ ერთად დგომის შაბა ..... 7</p> <p>ნება, ვინ მოჰქმება? ანა კალანდაძე - ხელისახი ლესვია ..... 10</p> <p>სარიო თაქილი ლიანა სამადალაშვილი - მხატვალი ფილმი "მიმოხი" 40 ნოტა ..... 12</p> <p>ციტიცი ..... 17</p> <p>ო. ენა ჩამო სულხან-საბა ორგელიანი - გრძელი და მდიდარი ..... 18</p> <p>პერსა დაზი ახვლედიანი - სოხუმი ქოველითის ერთი გუნდი იყო ..... 20</p> <p>ცენტრ 032-ის პრამსკოის "უცხოები ქალი" ..... 24</p> <p>ვინს ცეკვას კმილი ალექსანდრე ჯორჯიშვილი - ჩემი დიდი გაბზა (ცხობილი ეპიდემიულოგი - ალექსანდრე გრიგოლია) ..... 26</p> <p>ფიქჩები ნუნე ჯავედიძე ..... 30</p>	<p>ნაციი ნათელი ზურაბ სოჭკილაგას ხსოვნას ..... 32</p> <p>თახბმანი შავ პრევერტი - ჩიტი რომ დახატო ..... 33</p> <p>ჩავითან ჭილიშვილი გახტანბ კოტეტიშვილის სიტყვა ..... 34</p> <p>13 იავ ეს 13 ღო ნანა ჭარტურია - შარტაგას გუნდის ტყვედ აყვანას ის მთავრობის სახლის ვანერილან უშარებდა ..... 36</p> <p>იქმის ნახტომი ..... 40</p> <p>პერსა ანა ონიანი-ლაშვილი - აკვანი ..... 41</p> <p>ბანება მაჩანებელი მარინა ქორდანია - რით არის უნიკალური კოლხეთი? ..... 44</p> <p>ჩასთაველი - 850 სერგო ზურაუშვილი - კილევ ერთი „ვეზეისტყაოსანი“ ..... 46</p> <p>თახბმანი ალის ირასტი - შპან მოიხედვ, ვარდების მდელოსპენ... ..... 50</p> <p>ჩრდილი ბავშვებაში ჰანს ძრისტიან ანდერსენი ..... 52</p> <p>ლიტერატური ელენე კვანტალიანი - გოვდივარ... ..... 56 ჩამაძრე!.. ..... 57</p> <p>ლავახა სალამუხას ..... 58</p>
--	--

**ჩვენი მისამართია:**

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.  
ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;  
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 2 (37). 2017 წ.  
ათქიო № 2 (10). 2017 წ.

ტირაჟი: 500 ც.  
ფასი სახელშეკრულებო.



**საქონლი გამოცის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და  
უმაღლესი საბჭოს მხარცაჭერით**



"ԹԱՐՈՒ". ԸՆՔԻ ԽՄԵԼԵԿՅԱՆ. 12 ԵՎՈՒ. Հ. ԵՄԵԼԵԿՅԱՆ